მედიაგარემო 2022

საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში

მარიამ გერსამია
მაია ტორაძე

MCERC
MediaVoice

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი
ცენტრი „მედიახმა“

მედიაგარემო 2022: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში

მარიამ გერსამია
მაია ტორაძე

თბილისი
2022

მედიაგარემო 2022: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში

Media Environment 2022: Threats and Supportive Instruments in Georgia

© ავტორები: მარიამ გერსამია, მაია ტორაძე, 2022

© ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი "მედიახმა", 2022.

ელ-ფოსტა: info@mcerc.ge; ვებ-გვერდი: www.mcerc.ge

რეცენზენტი: მამუკა ანდღულაძე, სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

კვლევა მომზადდა პროექტის - **„მედიაგარემო 2022: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები პოლიტიკური პოლარიზებისა და კრიზისების დროს"** - ფარგლებში, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით.

აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ცენტრი მადლობას უხდის მკვლევარს ირაკლი გობრონიძეს კვლევაში შეტანილი კონტრიბუციისთვის. ასევე, თბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის, „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები", მაგისტრანტებს მონაცემების დამუშავებაში ჩართულობისთვის.

ნაშრომის ციტირების წესი: გერსამია მ., ტორაძე მ., მედიაგარემო 2022: საფრთხეები და მხარდამჭერი მექანიზმები საქართველოში, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი „მედიახმა", 2022.

გარეკანის დიზაინი: ლისა ღლონტი

ISBN: 978-9941-8-5063-9

სარჩევი

შესავალი

2022 წლის საკვანძო მოვლენები

1. ლიტერატურის მიმოხილვა **10**

1.1. მედია საომარი კომუნიკაციების დროს 10

1.2. პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია 14

2. კვლევის მეთოდოლოგია **17**

3. ანალიზი და შედეგები **18**

3.1. უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომის გავლენა ქართულ მედიაგარემოზე 18

3.2. პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც საფრთხე მედიის სანდოობისთვის 25

3.3. რუსული ჰიბრიდული ომი და პოლარიზაცია ქართულ მედიაში 29

3.4. მედიის შევიწროების „კანონიერი გზები" საქართველოში 31

3.4.1. „მთავარი არხის" დამფუძნებლის დაპატიმრება 31

3.4.2. ცვლილებები საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ" 33

3.5. გამოხატვის თავისუფლების გამოწვევები: წყაროებთან ხელმისაწვდომობა 36

3.6. ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა 46

3.7. ჟურნალისტების უსაფრთხოება: ფიზიკური და ვერბალური ძალადობა 50

3.8. მიკროფონი, როგორც აგრესიის ტრიგერი 55

3.9. მედიის სიცოცხლისუნარიანობა და ფინანსური გამოწვევები 57

3.10. სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და მედიაგარემოს მედეგობა 62

დასკვნა **65**

რეკომენდაციები **68**

ბიბლიოგრაფია **73**

დანართები **79**

კვლევაში ჩართული მედიასაშუალებები

ავტორების შესახებ

ცენტრის შესახებ

სიმართლე მარტივად საუბრობს

გრიგორი სკოვოროდა
(1722-1794) უკრაინელი ფილოსოფოსი და პოეტი

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია 2022 წელს ქართულ მედიაგარემოში არსებული საფრთხეებისა და მხარდამჭერი მექანიზმების შეფასება. წინა წლის კვლევის მსგავსად, მედიაგარემო გაანალიზდა კვლევაში ჩართულ მონაწილეთა შეფასებასა და შემდგომ შედარებით ანალიზზე დაყრდნობით.

კვლევა გამოკვეთს თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკური პოლარიზება და კრიზისები მედიის სიცოცხლისუნარიანობაზე; რა ზეგავლენა აქვს გლობალურ და ლოკალურ კრიზისებს (მათ შორის, რუსეთის ომს უკრაინაში) მედიაგარემოზე; კვლევაში ყურადღება გამახვილებულია თუ რამდენად დაცულია ჟურნალისტების უსაფრთხოება საქართველოში, როგორ მიმდინარეობს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და რა კეთდება დაუსჯელობის დასასრულებლად. იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც წინა წლებშიც გამოხატული იყო, კვლევა აანალიზებს თვითცენზურის და გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

კვლევაში გაანალიზებულია, თუ როგორ ახერხებს მედია ინსტიტუციური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას (მაგ: ფინანსურ მდგრადობას, კონტენტის წარმოებას, წყაროებთან ურთიერთობასა და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის გაზრდას) პოლიტიკური პოლარიზაციის კონტექსტში. ამ პროცესში შეფასებულია, თუ რა ხელისშემშლელი და მხარდამჭერი მექანიზმები არსებობს მედიაში სხვადასხვა აქტორის მხრიდან. კვლევა მოიცავს სოლიდარობის ჟურნალისტიკის, როგორც მხარდამჭერი მექანიზმის, შეფასებას, მათ შორის: როგორ ვლინდებოდა 2022 წელს: 1. სოლიდარობა მედიის მიმართ; 2. ურთიერთსოლიდარობა მედიასაშუალებებს შორის; 3. სოლიდარობა მედიის მხრიდან სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ.

კვლევის დასაწყისში გამოყოფილია ის საკვანძო მოვლენები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინა მედიის დღის წესრიგსა და მედიაგარემოზე. კვლევის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არის, რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ფართომასშტაბიანი ომისა და ჰუმანიტარული კატასტროფის შედეგად, ქართულ მედიაგარემოში არსებული გამოწვევების შეფასება. ამ კუთხით, რუსული პროპაგანდის პირობებში, გაანალიზებულია დეზინფორმაციის გავლენისა და მისი შემცირების შესაძლო მექანიზმები. გამოკვეთილია ხელოვნური პოლარიზაციის, როგორც პროპაგანდის ხელშემწყობი მექანიზმის, პირდაპირი კავშირი რუსულ ჰიბრიდულ ომთან, რომელიც ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიის, სანდოობას მიზანმიმართულად აქრობს.

2022 წლის საკვანძო მოვლენები

24 თებერვალი

პირველი სამხედრო ინტერვენციიდან რვა წლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ უკრაინაში დაიწყო სრულმასშტაბიანი ომი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო და, მათ შორის, ქართული მედიის, დღის წესრიგი;

28 თებერვალი

უკრაინამ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი წარადგინა;

1 მარტი

ძალაში შევიდა ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში (თავი VIII, მუხლი 63), რომლის მიხედვითაც აიკრძალა აზარტული თამაშების, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და მათი ორგანიზატორების შესახებ რეკლამა, სასპონსორო განცხადება და პროგრამაში პროდუქტის განთავსება.

3 მარტი

უკრაინის კვალდაკვალ, საქართველომ და მოლდოვას რესპუბლიკამ ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადი წარადგინეს.

16 მაისი

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებელს და დირექტორს ნიკა გვარამიას თბილისის საქალაქო სასამართლომ, პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით, 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, რამაც მედიაგარემოს გაუარესების ახალი ტალღა გამოიწვია. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა მეორე ინსტანციის სასამართლომ.

16 ივნისი

ევროკომისიამ, საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, შეფასებითი ანგარიში გამოაქვეყნა. კომისიამ რეკომენდაცია მისცა ევროკავშირის საბჭოს, რომ საქართველოს მიეცეს პერსპექტივა - გახდეს ევროკავშირის წევრი. იმისთვის, რომ საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი, კომისიის რეკომენდაციით, მან უნდა დააკმაყოფილოს მთელი რიგი პრიორიტეტული საკითხები.

23 ივნისი

ევროპულმა საბჭომ მიიღო უკრაინისა და მოლდოვასთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების, ხოლო საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის აღიარების გადაწყვეტილება, რაც ნიშნავს, რომ საბჭო მზად არის, ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრისთანავე მიანიჭოს საქართველოს წევრობის კანდიდატის სტატუსი. 12-პუნქტიან რეკომენდაციებს[1] შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას, „დე-ოლიგარქიზაციას“ და მედიაგარემოს გაუმჯობესებას[2] .

7 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას (წამყვანი კომიტეტის მიერ მიღებულია მესამე მოსმენით) და რომლის მიხედვითაც ფართოვდება კომუნიკაციების კომისიის მიერ ზედამხედველობის განხორციელების მანდატი.

---

[1] Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COM(2022) 405 final, (17.06. 2022), Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, available at: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf (last seen: 12.12.2022)

[2] ევროკომისიის რეკომენდაციებში ნათქვამია: „უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისთვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების წინააღმდეგ“. იხ. ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდის ლინკი: http://bit.ly/3WBQ0xH (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მედია საომარი კომუნიკაციების დროს

2022 წელი დაიწყო რუსეთის ფართომასშტაბიანი ომით უკრაინაში, რომელმაც ჰუმანიტარული კატასტროფა და კრიზისი გამოიწვია. ომმა ზეგავლენა მოახდინა მედიასა და პოლიტიკურ გარემოზე შავი ზღვის რეგიონში, მათ შორის, საქართველოში. ჟენევის მეოთხე კონვენციის თანახმად, რომელიც ომის დროს სამოქალაქო პირთა დაცვას ეხება, ჟურნალისტები არ შეიძლება იყვნენ სამიზნეები. გრიფენის (Griffen, 2022) კვლევის მიხედვით, ეს პრინციპი დაირღვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინაში - საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის (International Press Institute) მიერ ჯერ კიდევ ივნისში დაფიქსირებული მონაცემებით, ჟურნალისტებზე 365 თავდასხმა განხორციელდა. მიუხედავად საერთაშორისო გარანტიებისა, ომის შედეგად, ჟურნალისტებს შორის არის მსხვერპლი[3]. საერთაშორისო პრესის ინსტიტუტის (International Press Institute) განახლებული მონაცემებით, 2022 წლის 24 თებერვლიდან დღემდე, 707 საგანგაშო შემთხვევა (alert) დაფიქსირდა. მათ შორის მკვლელობები, ვერბალური, ფიზიკური და ონლაინ თავდასხმები, დაპატიმრებები, დაჯარიმებები და სხვ[4]. UNESCO-ს მონაცემების მიხედვით, 2022 წლის განმავლობაში უკრაინაში 10 ჟურნალისტი დაიღუპა, მათ შორის, ორი ქალი და საერთაშორისო ჟურნალისტები აშშ-იდან, ირლანდიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, ლიეტუვადან[5].

პავლიკის (Pavlik, 2022) მოსაზრებით, სწორედ უსაფრთხოებიდან გამომდინარე ჟურნალისტებმა კონტენტის წარმოებისთვის დაიწყეს ალტერნატიული გზების ძიება - სოციალური ქსელის Telegram-არხების, საჯარო და ღია-წყაროების (OSINT) და სათვალთვალო (CCTV) კამერების ჩანაწერების გამოყენება. ომის დროს პროფესიული საქმიანობისას ჟურნალისტების უსაფრთხოე-

[3] Griffen, S. (2022), Analyses the cost to journalism. British Journalism Review, 33(2), pp.21–24. doi:10.1177/09564748221103429.
[4] IPI Tracker: 707 media freedom alerts linked to Russia-Ukraine war, (2022), International Press Institute (IPI), available at: https://ipi.media/ipi-tracker-russia-ukraine-war-visualisations/ (last seen: 15.12. 2022)
[5] UNESCO observatory of killed journalists – Ukraine, (2022), available at: https://en.unesco.org/themes/safety-journalists/observatory/country/223833 (last seen: 15.12.2022)

ბის ერთადერთი გარანტია არის არა დამოუკიდებლად მუშაობა, არამედ მათი სამხედრო ნაწილებში ფიზიკური ინტეგრირება, რაც ართულებს ჟურნალისტურ საქმიანობას. ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ომის მიმდინარეობამ ზეგავლენა მოახდინა მედიაკონტენტის სწრაფ წარმოებასა და გავრცელებაზე. პავლიკი ყურადღებას ამახვილებს დეზინფორმაციის გამოწვევებზე, როცა წყაროს სანდოობის გადამოწმება მოითხოვს მეტ დროს და მნიშვნელოვნად ამცირებს იმ მასალის მოცულობას, რომლის გავრცელებაც უსაფრთხოა[6].

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა გამოკვეთა სამოქალაქო ჟურნალისტის როლი განსაკუთრებით ომის დაწყების პირველ თვეებში, როცა სარედაქციო ფილტრის გარეშე დანახულმა ომის რეალობამ „ცივი შხაპის“ ეფექტი შეასრულა. ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში, რეალურმა ომმა და კიბერ-შეტევებმა (რომლის ნაწილადაც შეგვიძლია მოვიაზროთ დეზინფორმაციის კამპანიები) შეცვალა თავად ჟურნალისტური კონტენტის წარმოების და გადაცემის პროცესი და გამოკვეთა მოქალაქე ჟურნალისტების როლი. საქართველოში ამ პერიოდში გააქტიურდა Telegram-არხები, რომელზეც ასევე დაიწყო ქართულ ენაზე ინფორმაციის გავრცელება.

მახორტიკი (Makhortykh, 2022) ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ალგორითმზე-ორიენტირებული (algorithm-driven) აუდიტორია უბიძგებს რეპორტიორებს - შექმნან ტრავმული და პოლარიზებული კონტენტი უკრაინის ამბების გაშუქებისას, რაც, შესაძლოა, დამაზიანებელი იყოს. სამოქალაქო ჟურნალისტიკის შესწავლისას დოსენკომ და სხვებმა (Dosenko et al., 2022) დაასკვნეს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ყირიმში მცხოვრებთათვის, სამოქალაქო ჟურნალისტიკა მედეგობის პასიური ფორმაა იმის საპასუხოდ, რომ ანტირუსულად განწყობილი ჟურნალისტები ყირიმიდან იძულებით დევნილები არიან, მოქალაქე ჟურნალისტები კი ცდილობენ, გაავრცელონ ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევებზე და შეავსონ არსებული საინფორმაციო ვაკუუმი[7]. ამ ფენომენზე დაკვირვებით, ჟენგი (Zheng, 2022), BBC-ის რეპორტაჟებზე დაყრდნობით, ასაბუთებს, რომ ამჟამად პრესა პასუხისმგებელია უკრაინელების გამხნევებაზე. საყურადღებოა, კონფლიქტის დროს, მედიის როლის შეცვლა. ის ამ დროს ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალებაა[8].

[6] Pavlik, J. (2022), The Russian War in Ukraine and the Implications for the News Media, Athens Journal of Mass Media and Communications.

[7] Dosenko, Anzhelika and Iuksel, Gaiana and Sydorenko, Nataliia and Sytnyk, Oleksii and Dubetska, Oksana, (2022), Crimean Citizen Journalism: Genesis and Trends in Communication Network, International Journal of Computer Science and Network Security (2). pp. 63-74. ISSN 1738-7906

[8] Zheng, N. (2022), The Content Analysis of BBC Live News Reports of the RussiaUkraine War, In 2022 International Conference on Science Education and Art Appreciation (SEAA 2022) (pp. 1269-1276). Atlantis Press

ამ კუთხით მნიშვნელოვანია სოლიდარობის ჟურნალისტიკის როლის გაძლიერება. სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციის ინიციატორი პროფესორის, ანიტა ვარმას განმარტებით, „სოლიდარობის ჟურნალისტიკა სამართლიანად აშუქებს სენსიტიურ თემებს, წარმოაჩენს დაზარალებული ადამიანების ამბებს და სცილდება ჩინოვნიკების ან გარე ექსპერტების მოსაზრებებს ამ ადამიანების ან ჯგუფების შესახებ. სოლიდარობის ჟურნალისტიკის მიზანია, იმ ადამიანების სიმართლე, რომელიც მათივე გამოცდილებას ეყრდნობა, განაზოგადოს და მიიტანოს გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ორგანოებამდე“[9]. MCERC-ის კვლევის ანგარიშში, რომელიც უკრაინის მიმართ ქართული მედიის სოლიდარობის დემონსტრირებას ეხება, სოლიდარობის ჟურნალისტიკის ოთხი მიმართულებაა ნახსენები. ესენია: საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ გამოხატული სოლიდარობა (1); სოლიდარობის ჟურნალისტიკა კლასიკური გაგებით, როცა თავად მედიის მხრიდან ხდება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სოლიდარობის დემონსტრირება (2); მედიაორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთსოლიდარობის გამოხატვა (3); კოლექტიური სტრესმედეგობის გაძლიერება - კრიზისულ სიტუაციაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ჩვენებით, პროსოციალური ქცევებისა და პოზიტიური მიკრო-მომენტების დემონსტრირების გზით (4)[10]. მკვლევარი პატრიკ ნორენი (Noren, 2022) აღნიშნავს, რომ სოლიდარობა ეფექტურია, როცა ის მრავალმხრივია და არა ცალმხრივი ან თუნდაც ორმხრივი და ამ მოდელს „სოლიდარობის მატრიცას“ უწოდებს[11].

სამუელ ვული (Wooley, 2020) თავის სტატიაში ყურადღებას მოწყვლად ჯგუფებზე ამახვილებს და ამბობს, რომ დეზინფორმაციის სამიზნეები ხშირად სწორედ ისინი არიან, ოღონდ არა მხოლოდ ონლაინ სივრცეში. ტრადიციული და სოციალური მედიის პარალელურად, ფიზიკურ გარემოში მიღებული გამოცდილება ძალიან დიდ როლს თამაშობს. მკვლევარი ამას სტრუქტურულ დეზინფორმაციას უწოდებს[12].

მკვლევრები (Geissler et al., 2022) ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ რუსული დეზინფორმაციის მოცულობა და გავლენა სოციალურ ქსელებში ძალიან დიდია [13]. ჰანლის და სხვების (Hanley et al., 2022) დაკვირვებით,

[9] Varma A.,(2021), What Solidarity Journalism Reveals to Us, available at: https://indypendent.org/2021/12/what-solidarity-journalism-reveals-to-us/ (last seen: 20.12.2022).

[10] გერსამია მ., გიგაური ე., მამასახლისი ს., ბოდოკია მ., ნაკოევი მ., (2022) რუსეთის ომი უკრაინაში და ქართული მედიის სოლიდარობა უკრაინის მიმართ, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის „მედიახმის“ კვლევა.

[11] Norén P., (2022), *The Three Pillars of Solidarity Journalism and Why It Is So Important,* Media and Communication Educational and Research Center “Media Voice”, available at: https://www.mcerc.ge/post/journalist-subject-society-the-three-pillars-of-solidarity-journalism-and-why-it-so-important (last seen: 13.12.2022)

[12] Wooley S., (2022), In Many Democracies, Disinformation Targets the Most Vulnerable, Center for International Governance Innovation, available at: https://www.cigionline.org/articles/in-many-democracies-disinformation-targets-the-most-vulnerable/ (last seen: 13.12.2022)

[13] Geissler, D., Bär, D., Pröllochs, N., & Feuerriegel, S. (2022), Russian propaganda on social media during the 2022 invasion of Ukraine, arXiv preprint arXiv:2211.04154.

რუსული წყაროების ციტირებაც კი ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს აუდიტორიაზე[14]. სოციალური მედია კი, თავის მხრივ, მოქმედებს ტრადიციული მედიის დღის წესრიგზე. ამ კონტექსტში, რა თქმა უნდა, სოციალური ქსელების ქართველი მომხმარებლებიც რუსული პროპაგანდის სამიზნეები არიან. ჩივისი (Chivvis, 2017) აღნიშნავს, რომ რუსეთის პროპაგანდისტული საინფორმაციო ოპერაციების მიზანია, უპირველეს ყოვლისა, წყლის ამღვრევა, ობიექტურ ჭეშმარიტებებში ეჭვის შეტანა და ისეთი პოლიტიკური დისკუსიის ფორმირება, რომელიც სარგებელს მოუტანს კრემლს[15].

ლიაროპოულოსის (Liaropoulos, 2022) აზრით, კრემლის დეზინფორმაციის სამიზნე ძირითადად უკრაინა და ნატოს წევრი ქვეყნებია, „რუსეთმა ვერ შეძლო დასავლურ აუდიტორიამდე მიღწევა, მაგრამ მაინც წარმატებულად გამოიყენა სოციალურ მედიაში გაბატონებული გაურკვევლობა და უნდობლობა, რითაც ხელი შეუშალა სიმართლის გავრცელებასა და ინფორმაციის ობიექტურ გაშუქებას“[16]. საქართველოში მედიაგარემოს ანალიზისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ „მას შემდეგ, რაც ევროკავშირში კრემლის მხარდაჭერილი საინფორმაციო საშუალებები აიკრძალა, მოსკოვმა თამაშის გეგმა და ფოკუსი შიდა აუდიტორიასა და მეზობელი ქვეყნების რუსულენოვან დიასპორაზე მიმართა”[17]. მკვლევრები გეისლერი, ბარი და სხვები (Geissler, Bär, et al, 2022)აღნიშნავენ, რომ პრორუსული პროპაგანდისტული მესიჯები დიდწილად სისტემატურად და კოორდინირებულად ვრცელდება.[18] საქართველოში წარმოებულ საინფორმაციო ომში კრემლის სამიზნეები ჟურნალისტებიც არიან და ეს სისტემური შეტევა სოციალურ მედიაში კიდევ უფრო ნათლად ჩანს. უკრაინის ფრონტსა და კრემლის პოლიტიკაში ცვლილებების ანალიზისას ჟურნალისტებისთვის მნიშვნელოვანია როგორც დასავლური წყაროების, ასევე იმ ბლოგერების მოსმენა, ვინც სიტუაციას რუსეთის შიგნიდან ხედავს და სისტემატურად ახდენს რუსული პროპაგანდის მეთოდების იდენტიფიცირებასა და მოვლენების პროგნოზირებას. პუტინის რეჟიმთან მებრძოლი ასეთი ბლოგერი ბევრი არაა. მათ შორის კი შეიძლება გამოვარჩიოთ მაქსიმ კაცი[19], რომელსაც აქვს საკუთარი YouTube

[14] Hanley, H. W., Kumar, D., & Durumeric, Z. (2022), "A Special Operation": A Quantitative Approach to Dissecting and Comparing Different Media Ecosystems' Coverage of the Russo-Ukrainian War. arXiv preprint arXiv:2210.03016.

[15] Chivvis Ch., (2017), Understanding Russian "Hybrid Warfare"And What Can Be Done About it, RAND Corporation, p. 3; available at: https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf. (last seen: 13.12.2022)

[16] Liaropoulos N., (2022), Information as an Instrument of Power - Lessons learned from the War in Ukraine, NATO OPEN Publications, vol.7, no.6, p. 20; available at: https://www.researchgate.net/publication/365635155_Information_as_an_Instrument_of_Power_-_Lessons_learned_from_the_War_in_Ukraine_NATO_OPEN_Publications_vol7_no6_2022 (last seen: 15.12.2022)

[17] Scott M., (2022), As war in Ukraine evolves, so do disinformation tactics, available at: https://www.politico.eu/article/ukraine-russia-disinformation-propaganda/ (last seen: 17.12.2022)

[18] Geissler D., Bär D., et al, (2022), Russian propaganda on social media during the 2022: Invasion of Ukraine, Cornell University, p. 2; online archive available at: https://arxiv.org/pdf/2211.04154.pdf (last seen: 17.12.2022)

[19] 2022 წლის თებერვლის მოვლენების შემდეგ, მაქსიმ კაცს რუსეთის დატოვება მოუწია და პოლონეთში გადავიდა, რადგან რუსეთში მისი აქტივობა, პუტინის რეჟიმის კრიტიკის გამო, შესაძლოა არალეგალურად ჩათვლილიყო. მისი ვიდეოები რუსული ცხოვრების და მენტალობის ნიუანსებს მოიცავს, რაც არც თუ იოლი დასანახია დასავლური მენტალიტეტის მქონე ადამიანისთვის. მაქსიმ კაცის YouTube არხი: https://www.youtube.com/c/maxkatz1/videos (ბოლო ნახვა: 15.12.2022)

არხი მილიონზე მეტი გამომწერით. ოპოზიციური პოლიტიკური შეხედულებების რუსი ჟურნალისტებისა და კომენტატორების მოსმენისას, მნიშვნელოვანია პერსპექტივის საკითხი. მიმდინარე პროცესების გააზრებისთვის არსებითია არა მარტო დასავლური პერსპექტივიდან მოვლენების დანახვა, არამედ იმპერიალისტური აზროვნების სტრუქტურის ამოცნობა. მედიის წარმომადგენლები გრძნობენ პროპაგანდის ლინგვისტურ თავისებურებებს, ყოველდღიურ რუტინაში ქმნიან მეხსიერებისა და დავიწყების სტრატეგიებს, შეუძლიათ ნიჰილიზმის დამარცხება და დემოკრატიის მედეგობის გაძლიერება. ამ ყველაფრის გამო, სანდო ინფორმაციის გამავრცელებელი მედია სწორედ იმპერიის და მისი მოკავშირეების სამიზნე ხდება.

1.2. პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია

პოლიტიკური პოლარიზაცია, წინა წლის მსგავსად, კვლავაც რჩება მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად. 2021 წლის მედიაგარემოს კვლევამ (გერსამია, ტორაძე, 2021) გამოავლინა, რომ უმთავრესი მედიასაფრთხე იყო პოლიტიკური პოლარიზაცია და პოლარიზაცია თავად მედიაორგანიზაციებს შორის, რომელიც იწვევს: 1. ჟურნალისტების და მედიასაშუალებების სტიგმატიზაციასა (პარტიული იარლიყების მიკერებას) და დისკრედიტაციას; 2. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლას[20].

მკვლევრები ადასტურებენ, რომ მედიის მომხმარებლები, არჩევანის არსებობის შემთხვევაში, იმ მედიამესიჯებისკენ იხრებიან, რომლებიც უფრო ესადაგება მათ პოლიტიკურ შეხედულებებს (Tóth, Mihelj, Štětka, Kondor, 2022)[21]. პოლარიზაციას, შესაძლოა, აძლიერებდეს სოციალური ქსელების ალგორითმი, რომელიც მომხმარებელს უფრო მეტად სთავაზობს იმის მსგავს ინფორმაციას, რომელიც მის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში, კვლევების მიხედვით, 2022 წელს ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა (81% შეადგინა)[22]. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის ზემოქმედების ველიც გაფართოვდა.

[20] Gersamia, M. ., & Toradze, M. . (2022). Media Environment in Georgia during the Crisis. GEORGIAN SCIENTISTS, 4(4), 220–242. Available at: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25 (last seen: 13.12.2022)

[21] Tóth, F., Mihelj, S., Štětka, V., Kondor, K. (2022), A media repertoires approach to selective exposure: news consumption and political polarization in Eastern Europe, The International Journal of Press/Politics, 19401612211072552.

[22] საზოგადოების განწყობა საქართველოში 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები, NDI-CRRC, (2022), ხელმისაწვდომია: www.ndi.org/georgia-polls, www.caucasusbarometer.org (ბოლო ნახვა: 16 დეკემბერი, 2022).

ნიკ ნიუმანი (2022) სწორედ პოლიტიკურ პოლარიზებას უკავშირებს ჟურ-ნალისტების შევიწროების ტენდენციას მთელს მსოფლიოში და აღნიშნავს, რომ 2021 წელს ორი უშიშარი ჟურნალისტისთვის - ფილიპინელი მარია რესასა და რუსი დიმიტრი მურატოვისათვის - მშვიდობის დარგში ნობელის-პრემიის მინიჭებამ ხაზი გაუსვა ამ პრობლემის აქტუალობას[23].

პოლიტიკური პოლარიზაცია მოქმედებს მედიის სანდოობაზეც. ჟურნალის-ტიკის შესწავლის როიტერსის ინსტიტუტის (The Reuters Institute For The Study of Journalism) 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, „მედიისადმი ნდობის დონე დაბალია (60%) განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პოლარიზაცია, ეკონომიკური არამდგრადობა და ჟურნალისტებზე თავ-დასხმები მეტად შეინიშნება“[24]. 2022 წლის მონაცემებით, საქართველოში მე-დიისადმი ნდობა იკლებს. კერძოდ, IRI-ის მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვით, მარტში მედიას ენდობოდა 60%, ხოლო სექტემბერში ნდობა 5%-ით შემცირდა[25].

სამხარაძე (2022) ნაშრომში, სხვადასხვა ანგარიშებზე დაყრდნობით (OSCE 2018; 2020; 2021; GIP 2021) მიუთითებს, რომ ქართული პოლიტიკური კონკურენცია (პოლიტიკური დებატები, წინასაარჩევნო კამპანიები, პარტიებ-ის საპარლამენტო საქმიანობა და ა.შ.) იდეოლოგიური დისკურსისგან დაც-ლილია და მას ანაცვლებს რადიკალიზაციის და უკომპრომისო დაპირის-პირების მაღალი ხარისხი.[26] პოლარიზაციის ეს მახასიათებლები მედიის დღის წესრიგზეც აისახება. მაგალითად, სამხარაძე (2022) აღნიშნავს, რომ 2022 წლის განმავლობაში, ქართული ოცნების მედიაბრიფინგების 80% უშუალოდ ეხებოდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, აქედან 92% მაპო-ლარიზებელ ნარატივის შეიცავდა.[27]

ასეთივე მაპოლარიზებელი სტრატეგია აქვს ხელისუფლებას მის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიისადმი, რადგან ოპოზიცია და მედია ხშირად ერთ დისკურსში მოიაზრება. 2021 წლის კვლევამ (გერსამია, ტორაძე, 2021) დაადასტურა, რომ საქართველოში პოლარიზაციას მედიასთან მიმართე-ბითაც აქვს ე.წ. დემონიზაციის ეფექტი. „პოლიტიკოსების ნაწილის მხრიდან

[23] Newman N., (2022), Journalism, Media, and Technology Trends and Predictions 2022, Digital News Project, Published by the Reuters Institute for the Study of Journalism with the support of the Google News Initiative. p. 28, available at: https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/2022-01/Newman%20-%20Trends%20and%20Predictions%202022%20FINAL.pdf (last seen: 17.12.2022)

[24] იქვე

[25] Public Opinion Surveys, Residents of Georgia, International Republican Institute, March and September, 2022, https://www.iri.org/search/?_search=Georgia (last seen: 20.12.2022)

[26] სამხარაძე ნ., (2022), რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პოლიტიკის მემორანდუმი #60, გვ. 6. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BHPp5F (ბოლო ნახვა: 20 დეკემბერი, 2022)

[27] იქვე

მედია აღქმულია, როგორც პოლიტიკური ოპონენტი და მისი დისკრედიტაცია-დელეგიტიმიზაცია ამ დისკურსში მიმდინარეობს“[28]. ხელისუფლების ამგვარი დღის წესრიგი მოქმედებს საზოგადოების განწყობის ფორმირებაზე. პოლიტიკოსები მედიას კვლავ ექცევიან ისე, როგორც პოლიტიკურ ოპონენტს. ეს ტაქტიკა 2022 წელს, უკვე კონკრეტული პარტიის მხარდამჭერების მხრიდან, მედიის წარმომადგენლების მიმართ აგრესიულ, ანტისოციალურ ქცევებშიც აისახა. ველზე მუშაობისას ჟურნალისტები გრძნობენ, რომ მოქალაქეების მხრიდან პოლიტიკური საკითხების მიმართ არსებულმა უკმაყოფილებამ ჟურნალისტებისკენ გადმოინაცვლა. პარტიებთან მედიის სიმბიოზური ურთიერთობა და პოლარიზაცია კლავს ჟურნალისტიკას, როგორც პროფესიას და აჩენს სიჩუმეს, რომელიც, თავის მხრივ, დემოკრატიის მედეგობას უქმნის საფრთხეს.

[28] გერსამია მ., ტორაძე მ., (2021), მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები, მედიის და კომუნიკაციის საგანმანთლებლო კვლევითი ცენტრი, გვ. 32.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაში 2022 წლის მედიაგარემოს გამოწვევები და მხარდამჭერი მექანიზმები გაანალიზებულია ქართულ მედიასაშუალებაში დასაქმებულების მხრიდან. მათ შორის არიან სხვადასხვა პოლუსზე მყოფი ჟურნალისტები, რომლებსაც პოლარიზაციით გამოწვეული საერთო წუხილები და განსხვავებული გამოწვევები აერთიანებთ.

კვლევის მეთოდოლოგიად შერჩეულია თვისებრივი კვლევის მიდგომა - ფოკუს-ჯგუფების დისკუსია და სიღრმისეული ინტერვიუები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია დისკუსიის გაიდლაინი, პირველადი ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვებით. დისკუსიის და ინტერვიუების მიმდინარეობისას გამოიკვეთა მეორადი კითხვები. მედიაგარემოზე დაკვირვება, წინა წლის (2021) კვლევის მსგავსად, მოხდა დისკუსიის მონაწილეთა და რესპონდენტთა თვალით დანახულ რეალობაზე დაყრდნობით.

მონაცემთა შეგროვების პერიოდად განისაზღვრა 2022 წლის ნოემბერი და დეკემბერი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი „ოფლაინ“ ფოკუს-ჯგუფი (მონაწილეების რ-ბა: 17) და ერთი ონლაინ ფოკუს-ჯგუფი (მონაწილეების რ-ბა: 5). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა 13 მედიასაშუალების წარმომადგენელი. მონაწილეთა შორის იყვნენ ჟურნალისტები, მედია-მენეჯერები, პროდიუსერები, მედიის დამფუძნებლები, საავტორო გადაცემის ავტორები და წამყვანები. ფოკუს-ჯგუფების პარალელურად, რამდენიმე მედიასაშუალების წარმომადგენელთან (მათი თხოვნის გათვალისწინებით) ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. სულ კვლევაში მონაწილეობდა 16 მედიასაშუალების 25 წარმომადგენელი, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია, ხოლო მედიასაშუალებების ჩამონათვალი იხ. დანართის სახით.

3. ანალიზი და მიგნებები

3.1. უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომის გავლენა მედიაგარემოზე

> უკრაინა - ექსკლუზივია!... იგი ისეა გამოწრთობილი, რომ უდიდესი გამძლეობა აქვს. თანამედროვე მსოფლიოში ის შეუფასებელია!
>
> **ლინა კოსტენკო**
>
> უკრაინელი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი

რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებულმა ომმა „პანდორას ყუთი“ გახსნა და დასავლეთმა ის საფრთხეები, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან წლების განმავლობაში მოდიოდა, ახლებურად გაიაზრა. უკრაინასთან ომმა საერთაშორისო საზოგადოება ერთი მიზნის გარშემო გააერთიანა და უფრო მეტად გამოკვეთა ის ინტერესები და ევროპული იდენტობა, რომელიც მას უკრაინასთან და საქართველოსთან აქვს. რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საინფორმაციო ომის შეტევის სამიზნე აუდიტორია გაიზარდა, რადგან „ომი, აუდიტორიის მტაცებელია, იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ეს ომი მაყურებლისა და მკითხველისთვის პირდაპირი საფრთხე“[29]. ამ კონტექსტში, საქართველოში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, რუსეთის მხრიდან ჰიბრიდული საინფორმაციო შეტევა კიდევ უფრო ფოკუსირებულად გაძლიერდა პროდასავლურ პოლიტიკურ ოპოზიციაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და, განსაკუთრებით, მედიაზე.

[29] Kitty A., (2005), *Don't Believe It, How lies Become News,* published by Desinformation Company, 2005, p. 140

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრისა და ომის დაწყების შემდეგ, ქართულ მედიაში გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომელიც მეტწილად რუსულ დეზინფორმაციასთან ბრძოლას დაუკავშირდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მედია ძირითადად შიდაპოლიტიკური თემებით ინტერესდებოდა და ყოველთვის აკლდა საერთაშორისო, გლობალური მოვლენების დისკურსი და სიღრმისეული ანალიზი, 2022 წლის თებერვლის თვიდან, მედიის დღის წესრიგი მეტწილად მოიცვა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ომმა.

ქართული მედია, ომის დაწყებისთანავე, სისტემატურად გამოხატავდა სოლიდარობას უკრაინისა და უკრაინელების მიმართ. MCERC-ის კვლევის მიხედვით, ომის დაწყებიდან პირველ 10 დღეში პრაიმტაიმში გასულ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებსა და თოკ-შოუებში გაანალიზებული 857 მასალიდან 80% უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა. კვლევამ მოიცვა: საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი, ტელეკომპანია „მთავარი არხი“, „ფორმულა ტვ“, „ტვ პირველი“, ტელეკომპანია „იმედი“ და ტელეკომპანია „რუსთავი 2“. ქართული მედიის მხრიდან სოლიდარობის გამოვლენის კვლევაში (გერსამია, გიგაური და სხვები, 2022) გამოკვეთილია სოლიდარობის ინდიკატორები[30].

ომის დაწყებიდან 10 თვის შემდეგ, დისკუსიაში მონაწილე ჟურნალისტების აზრით, მედიის მხრიდან სოლიდარობის დასაფიქსირებლად მხოლოდ მხარდაჭერის ვიზუალიზაცია (მაგ: უკრაინის დროშის ფერების გამოყენება სტუდიაში, ჟურნალისტების დრესკოდი) აღარაა გადამწყვეტი და მთავარი სიუჟეტების და საეთერო ბადის სტრუქტურაა, რომელიც არ უნდა იყოს რუსულ პროპაგანდაზე მორგებული. მაგალითად, ფოკუს-ჯგუფის მონაწილე („ფორმულა“, საავტორო გადაცემის ავტორი) იხსენებს შემთხვევას, როცა სოლიდარობის ვიზუალური ფორმა დამაბნეველი იყო სწორედ შინაარსის გამო: „გვაქვს შემთხვევები, როცა მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მხარდამჭერები, მედიით აკრიტიკებენ უკრაინის ხელისუფლებას, და ფონად ისევ უკრაინის დროშა ფრიალებს“.

უკრაინაში მიმდინარე ომის შემდეგ, ქართულ მედიაში უფრო ცხადად გამოჩნდა რუსული პროპაგანდის გავლენისა და ზემოქმედების კონტურები. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს. იმასაც კი, თუ ომის ამსახველ რომელ კადრებს იყენებს მედია ამბის თხრობისას.

[30] გერსამია მ., გიგაური ე., მამასახლისი ს., ბოდოკია მ., ნაკოევი მ., (2022) რუსეთის ომი უკრაინაში და ქართული მედიის სოლიდარობა უკრაინის მიმართ, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის „მედიახმის“ კვლევა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის აღბეჭდილი რუსული პროპაგანდა მედიაში, დისკუსიის მონაწილემ გაიხსენა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც შეიძლება პირდაპირ ანტი-უკრაინული მესიჯის მატარებელი არ იყო, მაგრამ, კადრები ისე იყო წარმოდგენილი, რომ არ ასახავდა რუსეთის მიერ წარმოებული ომის საშინელებას. „ნაჩვენები იყო, თუ როგორც ისვრიან უკრაინელები რაკეტებს, არ ჩანდა ჩამონგრეული კორპუსები, მძიმე კადრები იყო გამოტოვებული. არ ჩანდა ადამიანური ტრაგედია და ზარალი. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს საველე მეცადინეობა იყო“ - ამბობს “ფორმულას” საავტორო გადაცემის ავტორი.

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გაიზარდა მედიაზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა და პოლარიზაცია, რისი „მიზეზი ისიცაა, რომ, ხელისუფლება არ აღმოჩნდა უკრაინის მხარდამჭერი კოალიციის წევრი”, - ამბობს „პუბლიკას” წარმომადგენელი. დისკუსიის მონაწილეების აზრით, მედიის მუშაობას ართულებს ის, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, რუსული პროპაგანდისტული მესიჯების გამავრცელებელი ახლა თავად საქართველოს მთავრობაა: „სახელისუფლებო პოლიტიკა სრულ თანხვედრაშია რუსულ პროპაგანდასთან. ჩვენ (ჟურნალისტებს) გვიწევს ხალხის მხრიდან უკრაინისადმი სოლიდარობის ინტენსიურად ჩვენება იმის საპირწონედ, რომ ავსახოთ სახელისუფლებო პოლიტიკისა და რიტორიკისგან განსხვავებული სურათი“ („ტვ პირველი”, პოლიტიკური თოკ-შოუს წამყვანი). საქართველოს ხელისუფლების, პრორუსული ორგანიზაციების (მაგალითად, როგორიცაა „ალტ-ინფო“) და კრემლის წარმომადგენლების მესიჯების თანხვედრას ადასტურებს „აი, ფაქტის“ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიება[31], რომელმაც უკრაინასთან ომის კონტექსტში გამოავლინა მესიჯების სინქრონიზაცია ამ სამ მხარეს შორის.

საქართველოს მოსახლეობის უკრაინისადმი სოლიდარობის საჩვენებლად ჟურნალისტები იყენებენ სხვადასხვა წყაროს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, რასაც თავისი პოზიტიური ეფექტი აქვს: „მედიის მხრიდან საქართველოში უკრაინის მხარდამჭერი სოლიდარობის აქციების გაშუქებაც მასშტაბური იყო, რაც ნაწილობრივ ამუხრუჭებს ხელისუფლების წარმომადგენლების პრორუსულ რიტორიკას”, - ამბობს „ტვ პირველის” ჟურნალისტი.

რუსული დეზინფორმაციის გავრცელებაში თავისი როლი აქვს სოციალურ ქსელებს და ის, რიგ შემთხვევებში, ზეგავლენას ახდენს ტრადიციული მე-

[31] ასათიანი ი., კაჭკაჭიშვილი მ., მიხელიძე ნ., (22.12.2022), მთავრობა, როგორც რუსული დეზინფორმაციის გამტარი, საგამოძიებო სტუდია „აი, ფაქტი“, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3YRGZlX (ბოლო ნახვა: 23.12.2022)

დიის დღის წესრიგზე. ჟურნალისტების დაკვირვებით, სახელისუფლებო და ანტი-უკრაინული რიტორიკის სინქრონიზაცია ხდება სოციალურ ქსელებში ტროლების და ბოტების შეთანხმებული მუშაობით. ჟურნალისტებისთვის დეზინფორმაციის აღმოჩენა სოციალურ ქსელებში მანამდეა შესაძლებელი, სანამ თემა და მესიჯი ტრადიციულ მედიაში გახდება აქტუალური: „Telegram-სა თუ Facebook-ში ჩვენ უკვე წინასწარ ვხედავთ, რა მესიჯი იტესტება, რა თემებზე იქნება რუსული პროპაგანდის შემოტევის ახალი ტალღა. ქართულ სოციალურ მედიასივრცეში ორკესტრირებულად ვრცელდება დეზინფორმაცია ზელენსკიზე (თუ როგორ ხოცავს საკუთარ ხალხს და აქცევს მათ საზარბაზნე ხორცად; რომ რუსული არმია უძლეველია და სხვ.)" - ამბობს „ტვ პირველის" პოლიტიკური თოკ-შოუს ავტორი.

საქართველოში სწორედ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებისთანავე გააქტიურდა სოციალური მედიის ისეთი პლატფორმები, რომლებიც აქამდე პოპულარობით ნაკლებად სარგებლობდა. 2022 წლის ბოლოს, ქართველი ფრილანსერებისა და ბლოგერების შექმნილი Telegram-არხების საშუალებით, ათასობით გამომწერს ყოველდღიურად შეუძლია ქართულ ენაზე უკრაინის შესახებ სიახლეების გაცნობა. ქართული აუდიტორიისთვის შექმნილი Telegram-არხებიდან გამოირჩევა რამდენიმე ბლოგერის არხი, რომელიც სწორედ უკრაინაში ომის დაწყებისას შეიქმნა. ამ პროცესში დეზინფორმაციის ფილტრაცია და საომარ კომუნიკაციებში ქართულ ენაზე პროდუქტის შექმნა ართულებს სანდო ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებას. „ინფორმაციის გადამოწმება სირთულეებთანაა დაკავშირებული, რადგან ზოგჯერ ვიზუალური მასალა ყალბია. ხშირად ხდება, რომ უკრაინის წარმატებას მიიწერენ რუსები, მათ შორის, ტელევიზიებშიც. მაგალითად, იდენტურ სამხედრო წარმატებებზე ინფორმაციას ავრცელებენ როგორც უკრაინელები, ასევე რუსები. ბოლო დროს უკრაინელები ყუმბარებს უკრაინული დროშის ლენტებს აბამენ და დრონიდან გადაღებულ კადრებს რუსები ვეღარ იყენებენ", - ამბობს ქართველი ბლოგერი, რომლის აზრითაც, უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ Telegram-არხები, სავარაუდოდ, დაკარგავს პოპულარობას, რადგან ქართულ სინამდვილეში მას მომხმარებელი ნაკლებად ჰყავს. ამას ადასტურებს 2022 წლის კვლევები, სადაც Telegram-ის მომხმარებელი საქართველოში 1%-ია, ხოლო Facebook-ის - 97 % [32].

სოციალურ ქსელებში უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ყალბი ახალი ამბების რაოდენობა მასშტაბურად გაიზარდა, კონკრეტულ ამბავზე შესაძლოა მოდიოდეს რამდენიმე სხვადასხვა შინაარსის და კონტექსტის ყალბი ამბა-

[32] Public Opinion Surveys, Residents of Georgia, International Republican Institute, March and September, 2022, available at: https://www.iri.org/search/?_search=Georgia (last seen: 20.12.2022)

ვი", - ამბობს "აი,ფაქტის" ჟურნალისტი და იხსენებს შემთხვევას, რომელიც ბუჩას ტრაგედიას ეხებოდა. ჟურნალისტის დაკვირვებით, პირველწყაროს მოძიება უფრო მარტივი იყო Fecebook- ზე და რთულია Telegram-არხის შემთხვევაში.

დისკუსიამ გამოკვეთა, რომ საქართველოში ტრადიციული მედიის წარმომადგენლები ნაკლებად ენდობიან Telegram-არხებს, რადგან მას სამოქალაქო ჟურნალისტიკის პროდუქტად მიიჩნევენ და დამატებით, პირადი, სანდო წყაროებით ამოწმებენ ინფორმაციას (მაგ., ჟურნალისტებს მუდმივი კომუნიკაცია აქვთ უკრაინელ კოლეგებთან, ექსპერტებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მებრძოლებთან). საომარი კომუნიკაციების სპეციფიკიდან გამომდინარე, სირთულეები აქაც იკვეთება: „იმისთვის, რომ მოლოდინი იყოს სწორი, ვცდილობთ, გავაშუქოთ ომის რეალობა და არა სასურველი რეალობა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სამხედრო ექსპერტებს არ აქვთ სურვილი - გამოჩნდნენ, ფრთხილობენ კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებისას", - ამბობს "ჯორჯია თუდეის" ჟურნალისტი.

დეზინფორმაციის მასშტაბების გასააზრებლად, ჟურნალისტები საჭიროდ მიიჩნევენ რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედრო ექსპერტების სატელევიზიო გამოსვლების მონიტორინგსაც. საილუსტრაციოდ მათ მოიყვანეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპიკერის, გენერალ-მაიორ კონაშენკოვის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც ის უკრაინელების მხრიდან დაღუპულთა რაოდენობას ასახელებს: „ჩემი დაკვირვებით, მის მიერ დასახელებული დაღუპულ უკრინელთა სტატისტიკა უკვე უკრაინის მოსახლეობის რაოდენობას აჭარბებს, აღარაფერს ვამბობ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება უკრაინის საბრძოლო შეიარაღების განადგურებას",- ამბობს ტელეკომპანია "ფორმულას" თოკ-შოუს წამყვანი.

რუსეთში დაწყებული სამხედრო მობილიზაციის შემდეგ, საქართველოში ასი ათასობით რუსეთის ფედერაციის მოქალაქე შემოვიდა[33]. დისკუსიისას დაისვა კითხვა: როგორ ჩანან რუსეთის მოქალაქეები ქართულ მედიაში? ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ხდება რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის დადებით მოვლენად წარმოჩენა და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირება[34]. კრიტიკული მედია ამის პარალელურად აშუქებს ამბებს, სადაც აღწერილია სხვადასხვა კვლევით დადასტურებული

[33] ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia (ბოლო ნახვა: 13.12.2022)

[34] ვარდიაშვილი მ., (2022), საქართველოს მთავრობამ ფუნდამენტურ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება - ADB; ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/saqartvelos-mtavrobam-fundamentur-sakitxebze-unda-gaamaxvilos-yuradgeba---adb/117502 (ბოლო ნახვა: 25.12.2022).

მონაცემები. მაგალითად, ის, რომ რუსეთის მოქალაქეების ამ რაოდენობით შემოდინების შემდეგ გაიზარდა სოციალური უთანასწორობა და გაუარესდა სოციალური ფონი[35]. აქვე, ჟურნალისტებმა გაიხსენეს რუსეთის ის ტელევიზიები, რომლებიც პუტინისადმი ოპოზიციურად განწყობილ მედიად მიიჩნევა (მაგალითად, „დოჟდი“). ისინი უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ორ კვირაში თბილისში გადმოვიდნენ სამუშაოდ. მათ ტექნიკურ დახმარებას ქართული მედია უწევდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ქართველი ჟურნალისტები მაინც სიფრთხილით ეკიდებიან რუს ჟურნალისტებთან პროფესიულ ურთიერთობებს. „ჩვენ არ გვიჩნდება გამოქცეულ ჟურნალისტებთან კონტაქტის სურვილი. ისინი პუტინის რეჟიმს კი არ ებრძვიან, არამედ აქ უნდათ თავიანთი მედიარესურსების გამყარება“, - ამბობს „ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელი.

„აი,ფაქტის“ ჟურნალისტის დაკვირვებით, სხვადასხვა უწყებიდან ინფორმაციის გამოთხოვა და ინტერვიუებზე დათანხმება კიდევ უფრო გართულდა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. პრობლემაა მასალების მომზადება იმ თემებზე, რომლებიც ეხება ომის შემდეგ რუსეთიდან მიგრაციას და კონკრეტულ სტატისტიკას. დისკუსიისას აღინიშნა, რომ ომის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან მართული დეზინფორმაციის ნაკადი განსაკუთრებით მედიის დისკრედიტაციის მიმართულებით არის გააქტიურებული. ეს პროცესი განსაკუთრებით ჩანს სოციალურ ქსელებში, ტროლებზე დაკვირვებით.

რაც შეეხება უკრაინიდან რეპორტაჟებს, ქართული მედიის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე გააშუქეს მოვლენები ფრონტის ხაზიდან. მათი სურვილია, ადგილზე ჰყავდეთ კორესპონდენტი, თუმცა ამის ფინანსური შესაძლებლობები ნაკლებადაა. დისკუსიისას განსაკუთრებით აღინიშნა უკრაინის ომში საქართველოდან ქალი ჟურნალისტების მუშაობის პროფესიონალიზმი.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მედიის წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ უკრაინაში ომის დაწყებისთანავე დეზინფორმაციის კამპანიები გაძლიერდა მთელს რეგიონში. მაგალითისთვის მან მოიყვანა კომენტარი, რომელიც უკრაინის ისტორიის უცოდინარობას ავლენდა: „რა მოგვიდათ, ასეთი რა მოხდა: რუსეთი კიევის რუსეთში შევიდა“. აგრესიული რიტორიკა იკვეთება არა მხოლოდ ტროლებისა და ბოტების მხრიდან, არამედ არაინფორმირებულ მოსახლეობაშიც. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან ისეთ თემებზე, როგორიცაა, აშშ-ს ელჩის ვიზიტი რეგიონში, სახალხო დამცველის განცხადება და სხვ. „გამოწვევად რჩება რეგიონებში რუსეთისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება”, - ამბობს რეგიონული მედიის წარმომადგენელი.

[35] კაკაჩია კ., კანდელაკი ს., (2022), მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, პოლიტიკის მემორანდუმი, #61. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3WNbmIx (ბოლო ნახვა: 21.12.2022)

გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ რეგიონებში ძალიან დაბალია უკრაინის შესახებ ცნობიერება. ჟურნალისტებმა მაგალითად მოიყვანეს გორის რაიონი, სადაც მოსახლეობის ნაწილს ჰგონია, რომ ისტორიულად უკრაინა რუსეთის ნაწილი იყო. „საქართველოს და უკრაინის ისტორიის პარალელურად შესწავლა და ამაზე გადაცემების მომზადება ძალიან კარგად იმუშავებდა",- ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებელის თოკ-შოუს ავტორი. ამ კუთხით საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საგანმანათლებლო გადაცემების მომზადებას: „ამ კუთხით დონორების დახმარება საჭიროა. რუსეთის ჰიბრიდული ომის განეიტრალებისთვის ეს ერთ-ერთი ძალიან კარგი ინსტრუმენტი იქნებოდა".

ამ პროცესში, დისკუსიის მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მკაფიო პოზიციების დაფიქსირება. ვითარებას საგანგაშოდ აფასებს „ფორმულას" გადაცემის ავტორი: „პოლიტიკური ოპოზიციის გადარჩენა ვისაც უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციების გადარჩენა ვისაც უნდა, უნდა გადაარჩინოს მედია, რადგან რუსული ჰიბრიდული ომის მთავარი სამიზნე არის მედია. ქართული მედია ომშია, ოღონდ აქ კალაშნიკოვის ნაცვლად სხვა იარაღი მოქმედებს ", - აღნიშნავს „ფორმულას" გადაცემის ავტორი.

2022 წელს დაწყებულმა ომმა შესაძლოა თანდათან დაასრულოს რუსოცენტრიზმი, როცა „ყველაფერი რუსეთის გავლითაა შესაძლებელი". ეს კი გაათავისუფლებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რუსეთთან „გეო-პათოლოგიური ჩახუტების" სინდრომისგან. ამ კონტექსტში კიდევ უფრო იკვეთება ევროკავშირის, როგორც წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის როლი, რომელშიც მნიშვნელოვანია არა საზღვრების გაფართოება (როგორც ამას იმპერიალისტური რუსეთი აკეთებს), არამედ - ღირებულებების გარშემო გაერთიანება.

შეჯამებისთვის:

უკრაინაში ომის გაშუქება მედიისთვისაც „ლაკმუსის ქაღალდია" იმისთვის, რომ გაიაზროს, როგორ ხედავს რუსული დეზინფორმაციის საფრთხეებს. პროპაგანდა აუდიტორიას ყველაზე მეტად იმ თემებზე წამლავს, რომლის შესახებაც საზოგადოებას არასაკმარისი ცოდნა აქვს (მაგალითად, უკრაინის ისტორია, ასევე ევროპული ინსტიტუციები და მისწრაფებები). მედიამ ადგილობრივი ამბების რეპორტირებისას, უნდა შეძლოს საერთაშორისო კონტექსტის, საფრთხეებისა და მხარდამჭერი მექანიზმების იდენტიფიკაცია. შექმნას სანდო, რესურსული გარემო აუდიტორიისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ინფორმირებული საზოგადოების და დემოკრატიის გაძლიერებას.

3.2. პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც საფრთხე მედიის სანდოობისთვის

მსოფლიოში ისეთი ტენდენცია შეინიშნება, რომ პრესის გასაჩუმებლად აღარ სჭირდებათ ტირანები და დესპოტები. არჩევნებით მოსულმა ლიდერებმა აღმოაჩინეს, რომ სულაც აღარაა საჭირო ჟურნალისტები მოკლან, საკმარისია, უბრალოდ, მოკლან ჟურნალისტიკა.

კუნდა დიქსიტი
ნეპალელი ჟურნალისტი

2021 წლის მედიაგარემოს კვლევის მიხედვით (გერსამია, ტორაძე, 2021), საქართველოში პოლიტიკური პოლარიზაცია აძლიერებს თვითცენზურას, რომლის მიზანია ჟურნალისტის კრიტიკული კითხვები ჩაანაცვლოს სიჩუმემ და შიშმა. ხაზგასასმელია, რომ კრიზისებისას, „ჟურნალისტთა კოლექტიურ ორგანიზებას და სოლიდარობის ჩვენებას ასევე შეუძლია მედიაგარემოში პოლარიზაციის შემცირება და მედიაინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება“[36]. 2022 წელს გამოწვევად რჩება პოლარიზაციისა და თვითცენზურის ურთიერთმიმართება, რომელიც კრიზისების პერიოდში კიდევ უფრო ძლიერდება - პროფესიული საქმიანობიდან ქრება არა მარტო „მეორე მხარის“ კომენტარები, არამედ მახინჯდება მთლიანი სურათი და ხდება ჟურნალისტიკის პროფესიის დისკრედიტაცია.

მედიაგარემოზე ნეგატიურად მოქმედებს წლების განმავლობაში დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მედიაორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები სიმბიოზურ კავშირში არიან.

პოლიტიკური პოლარიზების და მისი მედიაზე გავლენის ფესვები შეიძლება საბჭოთა მემკვიდრეობაში ვეძებოთ. ამ მხრივ, პოლარიზების ლეგიტიმური ათვლა საქართველოში საბჭოთა კავშირის დანგრევისთანავე იწყება: ერთი პარტიის ნაცვლად, ჩნდება მრავალპარტიული სივრცე, რომელშიც „დამოუკიდებელი მედია“ იმთავითვე დაუკავშირდა ძველ საყრდენს - პოლიტიკურ პარტიებს. სწორედ ამ ისტორიული კონტექსტით ხსნის პოლარიზების მემკვიდრეობას ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე: „მაშინ მნიშვნელოვანი იყო, რომ ახალ პარტიებს თავისი სიტყვა მიეტანათ ადამიანებამდე და ყვე-

[36] Gersamia, M. ., & Toradze, M., (2022), Media Environment in Georgia during the Crisis, GEORGIAN SCIENTISTS, 4(4), 220–242. Available at: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25, (last seen: 12.12.2022)

ლა წავიდა ნაცადი, საბჭოთა გზით - ყველამ შექმნა საკუთარი „ისკრა“. შედეგად, საქართველოში ისევ შეიქმნა პარტიული მედია, რომელსაც მიეკედლნენ ე.წ. ექსპერტები. ამგვარად, პარტიული პოლუსები თავიდანვე გაჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს ქართულ პრესაში“, - ამბობს ტელეკომპანია „ფორმულას“ პოლიტიკური თოკ-შოუს ავტორი.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 31 წლის შემდეგ, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ უშუალოდ მედიის ველზე გადმოინაცვლა და, ჟურნალისტების აზრით, ის უფრო მეტად გახდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ვიდრე 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში იყო. მედიაგარემოს კიდევ უფრო პოლარიზებას და მედიის ინსტიტუციურ დასუსტებას ჟურნალისტები საქართველოში ოლიგარქიული სისტემის არსებობას უკავშირებენ. „მას შემდეგ, რაც ოლიგარქმა ივანიშვილმა შეავიწროვა და დაასუსტა ოპოზიციური პარტიების ველი, აღმოჩნდა, რომ ქართული მედია ისევ სიცოცხლისუნარიანი დარჩა და ახლა სწორედ მისი „შუაში გაკრეფის“ პოლიტიკა მიმდინარეობს”, - აღნიშნავს „ფორმულას” თოკ-შოუს ავტორი.

დისკუსიის მონაწილეებმა გაიხსენეს, რომ ბიძინა ივანიშვილს ყოველთვის სურდა ალტერნატიული მედიარეალობის შექმნა და „მედიასტანდარტების” დანერგვა. იგულისხმება გადაცემების მომზადების პრაქტიკა ტელეკომპანია GDS-ზე, სადაც დროებით „საექსპერტო სივრცე - 20/30“ ჩამოყალიბდა. ივანიშვილი თავად იყო ჩართული მედიაპროდუქციის მომზადებაში და ეთერშიც ჩანდა. „სწორედ ამის შემდეგ იწყება ფორსირებული უხეში მეთოდების გამოყენება - სახელმწიფო ინსტიტუტის უხეშად გამოყენება მედიის წასართმევად“,- ამბობს „ფორმულას” გადაცემის წამყვანი.

ოპოზიციური პარტიების შესუსტების ფონზე, ბოლო წლებში, მედია კიდევ უფრო გამოიკვეთა, როგორც საზოგადოებრივ აზრზე (როგორც ინდივიდუალურ, ასევე სტრუქტურულ დონეზე) გავლენის მქონე სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუცია და მნიშვნელოვანი გახდა, თუ რამდენად შეუძლია მას, როგორც ინსტიტუციას, კონტენტის ყოველდღიურად წარმოება, პროფესიული ნიშის შენარჩუნება. ამ ფონზე ჩანს, რომ მედია იბრძვის არსებობისთვის, თუმცა გადარჩენისთვის პროფესიულ კომპრომისებზეც მიდის და ბიზნესისა და პარტიულ ინტერესებს ითვალისწინებს. ქართული მედია არ არის ფინანსურად სტაბილური და თვითკმარი. „პოლიტიკური პოლარიზაცია სწორედ ის ინსტრუმენტია, რომელიც კლავს მედიას, როგორც ინსტიტუციას და ასუსტებს მის სიცოცხლისუნარიანობას. თავის მხრივ, ხელისუფლების მიზანიც სწორედ თავისუფალი ჟურნალისტიკის მოკვლაა”, - ამბობს “ფორმულას” თოკ-შოუს ავტორი.

დისკუსიის მონაწილეების აზრით, პოლიტიკური პოლარიზაცია პირდა-პირ კავშირშია მედიაპოლარიზაციასთან. მიუხედავად ხელისუფლების და მმართველი პარტიის მხრიდან კრიტიკული მედიის სტიგმატიზაციისა, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მუდმივად ცდილობენ და ხშირად არ გამოსდით, ხელისუფლება დაითანხმონ ინტერვიუზე ან დებატებში მონაწილეობაზე. პოლიტიკური დებატები მედიას ეხმარება სანდოობის გაზრდაში, საქართველოში კი კომუნიკაციის იმ სტრატეგიით, რომელიც ხელისუფლებას აქვს, სწორედ მედია ზიანდება.

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ პოლიტიკური თოკ-შოუს წამყვანის აზრით, პოლიტიკური პოლარიზაციის და ხელისუფლების მხრიდან ბოიკოტის პირობებში, ჟურნალისტი პროფესიულ მოვალეობას სრულყოფილად ვეღარ ასრულებს, რადგან ეთერში სულ ჰყავს “ერთი მხარე”. პოლარიზაციას აძლიერებს ხელისუფლების მიდგომა - არ მივიდნენ კრიტიკულად განწყობილი მედიის არა თუ დებატებში, არამედ საავტორო გადაცემებში ჟურნალისტთან პირისპირ. „დამკვიდრებული პრაქტიკაა: მმართველი გუნდის წარმომადგენელი მართავს ბრიფინგს, რომელიც კონკრეტული ჟურნალისტის დისკრედიტაციას ეხება. ბუნებრივია, საპასუხოდ, ვიწვევთ გადაცემაში ან ვთხოვთ კომენტარს, რაზეც უარს ვიღებთ და თემის გასაშუქებლად იძულებული ვართ, სტუდიაში მხოლოდ ოპოზიციის წარმომადგენელი მოვიწვიოთ. შედეგად, მაყურებლის თვალში, მედია მიკერძოებული ჩანს“, - აღნიშნავს ტელეკომპანია “ფორმულას” ჟურნალისტი.

პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებაში მედიის წარმომადგენლები ხედავენ როგორც მთავრობის, ასევე ოპოზიციის როლსაც. ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტის გადმოსახედიდან, პოლარიზაცია გაიზარდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, საქართველოში ჩამოსვლისა და დაპატიმრების შემდეგ, ვინაიდან თემამ დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

პოლარიზაციაზე მსჯელობისას, დისკუსიაზე გამოითქვა აზრი, რომ ეს ხელოვნურად პროვოცირებული პროცესი და კონკრეტული საომარი ვითარების - რუსული ჰიბრიდული ომის, გაგრძელებაა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მედიაგარემოს და პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენების ანალიზი არა დასავლური ჟურნალისტიკის განვითარების ბუნებრივი პროცესების, არამედ - კონტექსტის გათვალისწინებით.

ჟურნალისტები პოლარიზაციის გავლენას გრძნობენ ველზე მუშაობის დროს. მათი თქმით, პოლიტიკოსების (მმართველი გუნდის ან ოპოზიციის)

დამოკიდებულება და ტონი იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი არხის მიკროფონი უჭირავთ ხელში. პოლიტიკურმა პოლარიზაციამ დააზიანა ჟურნალისტის პროფესია, რადგან აღარ აქვს მნიშვნელობა, პოლარიზაციის რომელ „მხარეს" წარმოადგენს ჟურნალისტი. „რუსთავი 2"-ის რეპორტიორმა გაიხსენა შემთხვევა, როცა კრიზისების და აქციების გაშუქებისას, ყველა არხის ჟურნალისტი შეთანხმდა, რომ უსაფრთხოებისთვის მიკროფონებზე არხების მაიდენტიფიცირებელი ნიშნები მოეხსნათ. „მახსოვს კრიტიკული/ოპოზიციური მედიის ჟურნალისტს ქუჩაში გამვლელი ხელით შეეხო. რა თქმა უნდა, ერთმანეთი დავიცავით. ასეა, ჩვენ გვიწევს ერთმანეთის დაცვა", - იხსენებს ის. ჟურნალისტების უფლებების დაცვის კუთხით, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების დანერგვა. ასეთად ტელეკომპანია „მაესტროს" მიერ დასახელდა მედიაომბუდსმენის ინსტიტუტი.

მიუხედავად იმისა, რომ მედიაგარემოს გაუარესების დინამიკა ბოლო წლებში მუდმივად ფიქსირდება, განსაკუთრებით ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიების მაგალითზე, 2021 წლისგან განსხვავებით, ვითარება იმ მედიისთვისაც უარესობისკენ შეიცვალა, რომლებიც ადრე, პოლარიზაციის პირობებშიც, ახერხებდნენ მუშაობას, ჰქონდათ მიუკერძოებელი მედიის რეპუტაცია, წარმოადგენდნენ ყველასთვის სანდო წყაროს და ისინი არ ასოცირდებოდნენ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან. 2022 წელს გამოიკვეთა, რომ ხელისუფლება ასეთი მედიის პარტიულ სტიგმატიზაციასაც არ ერიდება. ხელისუფლების მხრიდან იგივე მიდგომა გაჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მისამართითაც.

შეჯამებისთვის:

პოლიტიკური პოლარიზაცია არის ერთ-ერთი მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი საფრთხე, რომელიც ამცირებს მედიის სანდოობას საზოგადოებაში. მედიის სანდოობის აღდგენაში არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად ჟურნალისტების როლი - დაიცვან არა მარტო პროფესიული სტანდარტები, არამედ „სხვადასხვა პოლუსზე" მყოფი კოლეგები იმ ძალადობისგან, რომელიც, რუსული დეზინფორმაციის უწყვეტი ნაკადის ფონზე, მიზანმიმართულად კლავს პროფესიას.

3.3. რუსული ჰიბრიდული ომი და პოლარიზაცია მედიაში

მნიშვნელოვანია, კარგად გავიაზროთ ჰიბრიდული ომის ფართო კონტექსტი, რადგან ხშირად შეუძლებელია ზღვრის გავლება ომსა და მშვიდობას შორის.

ვერონიკა ვიჩოვა
Kremlin Watch-ის პროგრამის ხელმძღვანელი

თუ 2021 წლის კვლევაში მედიაგარემოზე რუსეთის მავნე ზეგავლენა ფრაგმენტულად იყო ნახსენები, 2022 წელს ყველა თემასთან კონტექსტში სისტემურად გამოიკვეთა რუსული ჰიბრიდული ომის კვალი და ავთვისებიანი გავლენის ეფექტი.

დისკუსიის მონაწილეების აზრით, ქართულ მედიაში მიმდინარე პროცესები გააზრებული, წინასწარ დაგეგმილი რუსული ჰიბრიდული ომის ნაწილია და მას კონკრეტული გამტარი ჰყავს საქართველოში - ბიძინა ივანიშვილის სახით. მონაწილეებმა გაიხსენეს, რომ ეს გეგმა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2011 წელს თავის პროგრამულ წერილში ჩამოაყალიბა დოქტრინად, რომელსაც თანმიმდევრულად მიჰყვება, მათ შორის მედიასთან მიმართებაშიც. მედიისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ივანიშვილის და სააკაშვილის მმართველობის პერიოდის შედარებისას. ერთ-ერთი მონაწილის განმარტებით, „მედიაში მუდამ რჩებოდა-ხოლმე თავისუფალი სივრცეები მეორე, მესამე და რაღაც სხვა ტიპის ინტერესების გამოსახატად. დღეს ხელოვნური რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის ეს ამოცანა მუდმივად მომგებიან მდგომარეობაში ამყოფებს ივანიშვილს და მუდმივი წარმატებები მოაქვს რუსული ჰიბრიდული ომისთვის ადგილობრივი საზოგადოების დანაწევრების, საერთო იდეების გარშემო გაერთიანების უნარის მოსპობის, გამოუვალობის შეგრძნების, დასავლეთის მიმართ ნიჰილიზმის განვითარებისა და გაღრმავების კუთხით“, - აღნიშნავს ტელეკომპანია” ფორმულას” თოკ-შოუს ავტორი.

დისკუსიაზე პოლიტიკური პოლარიზაცია არაერთგზის შეფასდა, როგორც რუსული ჰიბრიდული ომის გაგრძელება, სადაც მანიპულაციის სამიზნეებად ქართული საზოგადოებისთვის მტკივნეული თემებია არჩეული. აღსანიშნავია, რომ თუ 2021 წელს მედიის წარმომადგენლები მხოლოდ

მინიშნებებით საუბრობდნენ მედიაში რუსულ კვალზე[37] და გამოთქვამდნენ წუხილს, რომ საქართველოში მედიისადმი დამოკიდებულება „რუსულ მოდელს" დაემსგავსა, წელს მათ მიერ მედიაგარემოს შეფასებებში უფრო ხშირადაა ნახსენები რუსეთის და მისი მუშაობის სტრუქტურის მავნე გავლენები. ასევე, თუ გასულ წელს მედიაგარემოში იგრძნობოდა „რუსეთის უხილავი ხელი", რომელიც ჟურნალისტიკაში აჩენდა შიშს და დაუცველობას[38], წელს, გამოკითხულთა აზრით, რუსული გავლენების დანახვა უფრო მკაფიოდ შეიძლება. საფრთხეების იდენტიფიცირებას უკრაინაში რუსეთის ომის კონტექსტმაც შეუწყო ხელი. მონაწილეთა შეფასებით, შესაძლოა, სწორედ რუსეთის უკრაინასთან დამარცხებამ მოახდინოს ზეგავლენა საქართველოში ხელოვნურად შექმნილ პოლარიზაციაზეც. მნიშვნელოვანია რუსული ჰიბრიდული ომის და მისი ადგილობრივი აქტორის გავლენის მოხსნა ან შესუსტება იმისთვის, რომ ბუნებრივი განვითარების კალაპოტი გამოიკვეთოს. ერთ-ერთი მონაწილის აზრით, მიუხედავად საბჭოთა მემკვიდრეობისა, საქართველოში (საზოგადოების ინდივიდუალისტური ბუნებიდან გამომდინარე) მეტია ალბათობა იმისა, რომ ბუნებრივი პირობების არსებობის შემთხვევაში, მრავალპარტიული გარემო ჩამოყალიბდეს.

პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ხელი შეუწყოს პოლიტიკაში ახალგაზრდა პოლიტიკოსების გამოჩენას და პოპულარიზაციას. ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ ამ პროცესის ხელშეწყობა თავად პოლიტიკური პარტიების მხრიდან არ ხდება და ამ კუთხით ბარიერებს აწყდებიან.

შეჯამებისთვის:

რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის ნაწილადაა აღქმული მედიის მიმართ გამოყენებული სხვა მეთოდები, რომლებიც მედიის, როგორც სუბიექტის სამართლებრივი თუ ფინანსური საარსებო სივრცის, ნელ-ნელა შეზღუდვას, მარყუჟის მოჭერას ისახავს მიზნად. ამ სტრატეგიის განხორციელება „ქართული ოცნების" მმართველობის პირველი წლებიდან დაიწყო და გაგრძელდა 2022 წელს მაუწყებლის შესახებ კანონში შესული ცვლილებებით[39]. პოლარიზაცია და მედიისადმი უნდობლობა რუსული სტრატეგიის განხორციელებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

[37] გერსამია მ., ტორაძე მ., (2021), მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები, მედიის და კომუნიკაციის საგანმანთლებლო კვლევითი ცენტრი, გვ. 45

[38] იქვე

[39] 2022 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში (თავი VIII, მუხლი 63), რომლის მიხედვითაც აიკრძალა აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს და მათი ორგანიზატორის შესახებ რეკლამა, სასპონსოტო განცხადება და პროგრამაში პროდუქტის განთავსება, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5316823?publication=0#DOCUMENT:1, (ბოლო ნახვა: 13.12.2022)

3.4. მედიის შევიწროების „კანონიერი გზები"

დემოკრატიას თავდაჯერებული დემოკრატები ქმნიან.

საბინა ლოითჰოისერ - შნარენბერგერი
ადამიანის უფლებათა დამცველი

ინფორმაციის თავისუფლად დინება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელი წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლების ეფექტიანი განხორციელება მოიცავს ინფორმაციის თავისუფლებისთვის შესაბამისი გარანტიების შექმნას. ამ მხრივ სახელმწიფოს აკისრია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ვალდებულელები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს და არ დაუშვას ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს სიტყვის თავისუფლებას. ქართულ მედიასივრცეს და მის სიცოცხლისუნარიანობას მიზანმიმართულად აზიანებს, ხელისუფლების მხრიდან ლეგიტიმური მიზნით შეფუთული საკანონმდებლო ცვლილებები, მისი აღსრულების ფორმები და ვადები, პოლიტიზირებული სადავო სასამართლო პროცესები. 2022 წელი გამორჩეული იყო მედიის შევიწროების უხეში მეთოდების გამოყენებით.

3.4.1. „მთავარი არხის" დამფუძნებლის დაპატიმრება

16 მაისს ტელეკომპანია „მთავარი არხის" დამფუძნებელს და დირექტორს ნიკა გვარამიას თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 წლით და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა, რამაც, ჟურნალისტების შეფასებით, მედიაგარემოს გაუარესების ახალი ტალღა გამოიწვია. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა მეორე ინსტანციის სასამართლომ. მანამდე საქართველოს სახალხო დამცველმა დაასკვნა, რომ დევნა (სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე მუხლით - უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო. ამ ფაქტს პოლიტიკურად მოტივირებული უწოდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციამ. ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კრიტიკული მედიის დირექტორის, ნიკა გვარამიას დაპატიმრებას მასშტაბური გამოხმაურება მოჰყვა. ნიკა გვარამიას დაპატიმრება შეაფასეს ორგანიზაციებმა: რეპორტიორები საზღვრებს გარეშე (Reporters Without Borders), რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში პირველად,

ოპოზიციური არხის დირექტორი დააპატიმრეს და განცხადებაში ხელისუფლებას მოუწოდა გადაწყვეტილების გადახედვისკენ[40], ჟურნალისტების დაცვის კომიტეტმა (Committee to Protect Journalists) ხელისუფლებას ნიკა გვარამიას განთავისუფლებისკენ მოუწოდა[41], Amnesty Internatioinal-მა ნიკა გვარამიას საქმეს უწოდა პოლიტიკურად მოტივირებული, რომლის მიზანია სიტყვის თავისუფლების ჩახშობა[42] , საერთაშორისო პრესის ინსტიტუტმა (IPI) დაპატიმრება შეაფასა მედიის თავისუფლებაზე შეტევად, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმედ და მოუწოდა ხელისუფლებას გვარამიას დაუყოვნებლივი განთავისუფლებისა და მედიის თავისუფლების დაცვისკენ[43] და სხვ.

იმ პირობებში, როცა ხელისუფლების წნეხი მედიაზე წარმოუდგენლად გაიზარდა, საქართველოში ისეთმა მედიასაშუალებებმა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებით ყოველთვის ინარჩუნებდნენ სანდო და პარტიებთან არააფილირებული მედიის იმიჯს, თავისი როლი დაინახეს ოპოზიციური მაუწყებლების მხარდაჭერაში, სოლიდარობის დემონსტრირებაში. დისკუსიისას აღინიშნა, რომ ასეთი მედიასაშუალებებისთვის მნიშვნელოვანი გახდა იმის დაფიქსირება, რომ არა მხოლოდ ე.წ. ოპოზიციური მედია, არამედ სხვა მედიასაშუალებებიც კრიტიკულად უყურებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. ამგვარად, მედიის მხარდამჭერთა სიაში ღიად გაჩნდა ისეთი გამოცემების ხელმოწერები და კრიტიკული განცხადებები, რომლებსაც საქართველოში საქმიანობის 20-წლიანი სტაჟი და მიუკერძოებელი მედიის იმიჯი აქვთ. სწორედ ასეთი ერთ-ერთი მაღალი ნდობის მქონე გამოცემის, „ნეტგაზეთის“, წარმომადგენლის აზრით, ნიკა გვარამიას დაკავებამ მედიაში კრიზისი უკიდურესად გააღრმავა, რადგან საქმის საფუძვლიანად შესწავლამ და ჟურნალისტურმა გამოძიებამ გამოავლინა, რომ „მთავარი არხის“ დირექტორის დაპატიმრება იყო პოლიტიკურად მოტივირებული. მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ განცხადებას შეუერთდა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და სხვა ისეთი გამოცემები, რომლებიც არაპარტიულ მედიასთან ასოცირდებიან. ესენია: „ნეტგაზეთი“, „ბათუმელები“, „პუბლიკა“, და სხვ[44]. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტები სწორედ მათ ამგვარ პოზიციას უკავშირებენ იმას, რომ ხელისუფლების მხრიდან აგრესიული რიტორიკა მათ მიმართაც გაიზარდა.

[40] Reporters Without Borders (2022), @RSF_inter [Twitter]. Available at: https://twitter.com/RSF_inter/status/1529044780809871361?s=20&t=_7pRp54_hFQKMlcWMx777A (last seen: 20.12.2022).

[41] Georgian pro-opposition journalist Nika Gvaramia sentenced to 3.5 years in prison,(2022), Committee to Protect Journalists, available at: https://cpj.org/2022/05/georgian-pro-opposition-journalist-nika-gvaramia-sentenced-to-3-5-years-in-prison/ (last seen: 20.12.2022).

[42] Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice, (2022), Amnesty International, available at: https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia-sentencing-of-pro-opposition-media-owner-nika-gvaramia-a-political-motivated-silencing-of-s-dissenting-voice/ (last seen: 20.12.2022).

[43] Georgia: TV channel director Nika Gvaramia sentenced to prison, (2022), International Press Institute, https://ipi.media/georgia-tv-channel-director-nika-gvaramia-sentenced-to-prison/ (last seen: 19:12.2022)

[44] მოუწოდეთ ზურაბიშვილს გვარამიას შეწყალებისკენ -NGO-ების და მედიის წერილი შარლ მიშელს, (07.11.2022), ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/639477/ (ბოლო ნახვა: 12.12.2022)

ერთობლივი განცხადება გაავრცელა ოთხმა ე.წ. ოპოზიციურმა არხმა, სადაც ნიკა გვარამიას დაპატიმრება პირდაპირ რუსული რეჟიმის მეთოდებს დაუკავშირეს და დასავლელ პარტნიორებს დახმარება სთხოვეს. განცხადებაში აღნიშნულია: „გვარამიას დაჭერა არის პირდაპირი, დემონსტრაციული გზავნილი დასავლეთისთვის, რომ საქართველო არის რუსული, ოლიგარქიული, მიტაცებული ქვეყანა და ის იმართება პუტინის მეთოდებით. გვარამიას დაჭერა ნიშნავს, რომ საქართველო უარს ამბობს ევროპასა და ნატოზე. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის განხილვის ფონზე"[45] . აღსანიშნავია, რომ მედიის წარმომადგენლებმა ხელისუფლების მხრიდან მედიის დევნა და გვარამიას დაპატიმრება შეაფასეს ხელისუფლების ანტიდასავლური პოზიციის დადასტურებად.

მედიის წარმომადგენლები საგანგაშოდ მიიჩნევენ სხვა კრიტიკული ტელევიზიების მფლობელების წინააღმდეგ წარმოებულ სასამართლო დავებსა და გამოძიებებს, რომლებიც, მათი აზრით, ასევე, პოლიტიკურადაა მოტივირებული.

3.4.2. ცვლილებები „საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ"

კვლევების მიხედვით, 2022 წელს საქართველოს მოსახლეობისთვის დემოკრატია, პირველ რიგში, კანონის წინაშე თანასწორობასა და სიტყვის თავისუფლებას ნიშნავს[46]. ამ ფონზე, გამოწვევად რჩება საკანონმდებლო გარემო და ცვლილებები, რომლებმაც 2022 წელს დააზიანეს მედიაგარემო და მედიის სიცოცხლისუნარიანობა.

ჟურნალისტების შეფასებით, წლის დასაწყისში საქართველოს კანონში "მაუწყებლობის შესახებ" ამოქმედებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მედიაბაზარი კრიტიკული მედიისთვის მთლიანად მოარღვია. კანონში ცვლილებების ძალაში შესვლამდე აზარტული თამაშების ორგანიზატორი კომპანიები სამაუწყებლო კომპანიების მსხვილი დამფინანსებლები იყვნენ. შემოსავლების მკვეთრ შემცირებას ადასტურებს კომუნიკაციების კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2022 წლის მეორე კვარტალში „სატელევიზიო და რადიომაუწყებლების ჯამურმა

[45] არ მისცეთ საშუალება ოლიგარქიულ რეჟიმს, საბოლოოდ მოკლად დემოკრატია - 4 ოპოზიციური არხის მიმართვა დასავლეთს, (16.05.2022), ონლაინ-გამოცემა ონ.გე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I9lrLX (ბოლო ნახვა: 25.12.2022)

[46] საზოგადოების განწყობა საქართველოში 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები, (2022), NDI-CRRC, ხელმისაწვდომი www.ndi.org/georgia-polls, www.caucasusbarometer.org (ბოლო ნახვა: 16.12.2022).

კომერციულმა სარეკლამო შემოსავალმა 19 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 4.1 მილიონი ლარით, 17.5%-ით ნაკლებია. სარეკლამო შემოსავლების კლება აზარტული თამაშების სამაუწყებლო რეკლამის შესახებ ახალი რეგულაციითაა გამოწვეული, რომელიც ძალაში 2022 წლის 1 მარტიდან შევიდა"[47]. მესამე კვარტალში კლების დინამიკა შენარჩუნდა და სატელევიზიო და რადიო მაუწყებლების ჯამურმა კომერციულმა სარეკლამო შემოსავალმა 16,3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 1,7 მილიონი ლარით, 9.3%-ით ნაკლებია. კომუნიკაციების კომისიის განცხადების მიხედვით, ორივე კვარტალში სატელევიზიო კომერციული სარეკლამო შემოსავლების მიხედვით, ყველაზე დიდი წილი „ტელეიმედს" ჰქონდა[48].

საკანონმდებლო ცვლილებებს შესაძლოა წინ უძღოდეს ლეგიტიმური მიზანი, თუმცა აღსრულების პროცესში დამდგარი შედეგი დემოკრატიული გარემოს დამაზიანებელი იყოს. მაგალითად, „საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ" ცვლილებების შეტანის საფუძვლად მიიჩნევდნენ საზოგადოების მოთხოვნას - ლუდომანიის ახალგაზრდებზე მავნე გავლენების შემცირების მიზნით, აკრძალულიყო აზარტული თამაშების რეკლამირება. თუმცა, რეკლამის აკრძალვის შემდეგ, სტატისტიკური მონაცემები აზარტული თამაშებით დაკავებული ადამიანების რაოდენობის შემცირების შესახებ, არ იძებნება. კანონში ცვლილებების მიღების ლეგიტიმური მიზნის მიუხედავად, მისმა დაჩქარებულ ვადებში ამოქმედებამ, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მედიის სიცოცხლისუნარიანობას.

დისკუსიის მონაწილეთა აზრით, კანონში განხორციელებული ცვლილებები იყო გააზრებული სტრატეგიული გეგმის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა კრიტიკული მედიისთვის ფინანსური წნეხის გაზრდას.

2022 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა ახალი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს „მაუწყებლობის შესახებ" კანონში მორიგი ცვლილებების შეტანას (წამყვანი კომიტეტის მიერ მიღებულია მესამე მოსმენით). არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის შეფასებით, ცვლილებები ასევე ნეგატიურად იმოქმედებს მედიაგარემოზე. არასამთავრ-

[47] კომუნიკაციების კომისიის განცხადება, 2022 წლის მეორე კვარტალში ტელევიზიებისა და რადიოების სარეკლამო შემოსავალი 19 მილიონი ლარი იყო, (2022), ხელმისაწვდომია: https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/2022-wlis-meore-kvartalshi-televiziebisa-da-radioebis-sareklamo-shemosavali-19-milioni-lari-iyo.page (ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2022).

[48] კომუნიკაციების კომისიის განცხადება, 2022 წლის მესამე კვარტალში ტელევიზიებისა და რადიოების სარეკლამო შემოსავალი 16,3 მილიონი ლარი იყო, (2022) ხელმისაწვდომია: https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/2022-wlis-mesame-kvartalshi-televiziebisa-da-radioebis-sareklamo-shemosavali-163-milioni-lari-iyo.page (ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2022).

ბო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა"[49] მიიჩნევს, რომ ცვლილებები ეწინააღმდეგება ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და მიემართება: 1. მაუწყებლის მიერ სასამართლოში გასაჩივრების მიუხედავად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლას; 2. პასუხის უფლებაზე კომისიის მიერ ზედამხედველობის განხორციელების მანდატს; „სიძულვილის ენის" რეგულირებას. არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიის ადვოკატირების კოალიცია" მიიჩნევს, რომ ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების ნაწილი შეიცავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს და გააუარესებს მედიაგარემოს საქართველოში[50].

ჟურნალისტების დაკვირვებით, 2022 წელს ხელისუფლებამ მედიასთან ბრძოლის ახალი მიდგომის დამკვიდრება დაიწყო. მმართველი გუნდის წარმომადგენლები, ჟურნალისტების მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, თვითრეგულირების ორგანოებს (მაგ: საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიას) ნაკლებად მიმართავენ და პირდაპირ სასამართლოში მიდიან იმისთვის, რომ ჟურნალისტი და ტელეკომპანია დააჯარიმონ. ამ პრაქტიკის დამკვიდრება, ჟურნალისტების აზრით, ემსახურება იმას, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მაუწყებლების დაჯარიმების რაოდენობა და უფრო მეტად შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

შეჯამებისთვის:

საჯარო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციისა და იდეების გავრცელებაში მედიას მთავარი როლი აქვს. მედია უზრუნველყოფს მნიშვნელოვან თემებზე დისკუსიას და ზრდის ინორმირებული საზოგადოების ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. ქართულ მედიასივრცეში ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობას განაპირობებს მმართველი გუნდის მიერ დაწესებული ფილტრი, რომელიც სისტემურად და სინქრონიზებულად აკონტროლებს ინფორმაციის დინებას კონკრეტულ მედიასაშუალებებთან და და ხელისუფლებისთვის სენსიტიურ თემებთან მიმართებით. მედიისა და საზოგადოებისთვის საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არის პოლარიზაციის გაძლიერებისა და დემოკრატიული უკუსვლის მკაფიო ინდიკატორი.

[49] საქართველოს2022, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" მიერ მომზადებულ შენიშვნები და რეკომენდაციები „მაუწყებლობის შესახებ"საქართველოს კანონში ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით (07-3/236/10), (2022), დემოკრატიული ინიციატივა, ხელმისაწვდომია: https://gdi.ge/uploads/other/1/1552.pdf (ბოლო ნახვა: 13.12.2022).

[50] მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ, (2022), ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/7bfc46e7, (ბოლო ნახვა: 13.12.2022).

3.5. გამოხატვის თავისუფლების გამოწვევები: წყაროებთან ხელმისაწვდომობა

სიტყვის და წერის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ არის საჭირო, რომ მოხელეთა ძალმომრეობა შეიზღუდოს. თუ მსაჯული უკანონობას ჩაიდენს, მოხელე ქრთამს აიღებს ან დასჩაგრავს ვისმე, ვინ გამოესარჩლება უძლურს? თავისუფალი სიტყვა. რაკი თავისუფალი სიტყვის შემწეობით უკანონობას გაიგებენ, ხალხი ეცდება თავიდან აიშოროს და დასაჯოს ამისთანა უკანონობის ჩამდენი (1906).

მიხეილ ჯავახიშვილი

ქართველი მწერალი, საბჭოთა რეჟიმმა დახვრიტა 1937 წელს

2022 წელს გამოწვევად რჩება საჯარო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა, რაც ყველაზე მწვავედ ვლინდება მმართველი გუნდის მხრიდან მედიის მიმართ ანგარიშვალდებულების არქონასა და ინფორმაციის მიწოდებისას შერჩევით მიდგომაში. პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, კონკრეტულ თემებთან და/ან მედიასთან მიმართებით ხელისუფლების მხრიდან წესდება შეზღუდვები, რითაც იზრდება ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის ბარიერები. ეს კი საბოლოოდ ამცირებს მედიის სანდოობას და საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხს.

პოლიტიკოსებსა და მედიას შორის მოშლილია ინფორმაციის მისაღებად საქმიანი კომუნიკაციის პრაქტიკა, რაც ართულებს ხარისხიანი მედიაკონტენტის მომზადებას, მასალის დაბალანსებას, კომენტარების და ინტერვიუების ჩაწერას (როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი გამოცემისთვის). ეს განსაკუთრებით აზიანებს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის სანდოობას. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების აზრით, სწორედ ესაა მმართველი გუნდის მიზანიც.

კომენტარების და ინფორმაციის არქონის შემთხვევაში, მედიას უწევს არასრულყოფილი მედიაპროდუქტის და „ხელოვნური ბალანსის“ შექმნა. „მედია ვერ ქმნის სრულყოფილ მასალას, რადგან მთავრობის წარმომადგენლები

თოკ-შოუებში აღარ მოდიან, ხოლო პრესკონფერენციებზე მათთვის არასასურველი მედიის დასწრება შეიძლება დაიბლოკოს. „ჩვეულებრივი ომი გამოაცხადა ხელისუფლებამ იმ მედიის მიმართ, რომელსაც თავის მტრად მარტო იმის გამო მიიჩნევს, რომ კრიტიკულ კითხვებს სვამს“, - აღნიშნავს ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ წარმომადგენელი.

კრიტიკული აზრის მქონე მედიის წარმომადგენლებისთვის ხელისუფლებას ერთიანი სტრატეგიული მიდგომა აქვს და ლოიალურად განწყობილ მედიაშიც კი მხოლოდ იმ გადაცემებში ჩნდება, სადაც მათი კრიტიკა არაა. მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელზე არის კრიტიკული დისკურსის მქონე გადაცემები, რომლებშიც ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვაზე დათანხმება პრობლემატურია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელმა გაიხსენა შემთხვევა, როცა, ონკოლოგიური ავადმყოფების პრობლემების გაშუქებისას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციის დაფიქსირება გადაცემაში, მაგრამ ჟურნალისტმა უარი მიიღო. „ანგარიშვალდებულება არ არსებობს მაშინაც კი, როცა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე ვმუშაობთ. მე შეზღუდული ვარ, დავსვა კითხვები ხელისუფლების წარმომადგენლებთან იმ თემებზე, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს. სამაგიეროდ, შესაძლოა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე სხვა ისეთ გადაცემაში მივიდეს, სადაც კრიტიკული კითხვა არ დაისმება და ამით აჩვენოს, რომ ის მედიაში უპრობლემოდ ჩნდება“, - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის თოკ-შოუს ავტორი.

მმართველი პარტიისთვის არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფორმატში მონაწილეობას სთავაზობს მათ კრიტიკული მედია. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ უარის შაბლონი პრეს-სამსახურებიდან ასეთია: „შემოთავაზებულ პროექტში ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას, რადგან თქვენ არ აღგიქვამთ მედიად, თქვენ პოლიტიკური მხარე ხართ“. ჟურნალისტები იძულებულნი არიან, დებატების ფორმატი შესთავაზონ არა ხელისუფლებას და ოპოზიციას, არამედ ოპოზიციის ორ წარმომადგენელს. ეს კი ნაკლებად საინტერესოა მაყურებლისთვის და დამაზიანებელი - ოპოზიციისთვის.

„დებატების მიზანი განსხვავებულ პოლიტიკურ იდეებს შორის ჭიდილია და ეს დისკურსი მედიაში არ ჩანს. ასეთ დროს მედია გამოსავალს ნახულობს იმაში, რომ იწვევს „ქართული ოცნების“ ყოფილ წევრებს, რომლებიც კვლავ ჩანან პოლიტიკურ ველზე, თუმცა ეს პოლიტიკური ინტერესისგან დაცლილი, ხელოვნური დისკურსია. ეს ყველაფერი მოქმედებს მედიის სანდოობაზე“, - ამბობს „მთავარი არხის“ ჟურნალისტი.

რეგიონული მედიის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვების გამო, სრულყოფილი და დაბალანსებული ჟურნალისტური კონტენტი ვეღარ იქმნება, საზოგადოება ერთი მხარის მიერ მოყოლილ ამბავს ისმენს სისტემატურად და შედეგად, მედიის სანდოობა ზიანდება.

ინფორმაციის მოპოვებისა (მათ შორის საჯარო ინფორმაციის) და მთავრობის წარმომადგენლების ეთერში მოწვევის პრობლემა არ აქვს ტელეკომპანია „პალიტრა ტვ"-ს, ამის მიზეზად ტელეკომპანიის წარმომადგენელი მიიჩნევს იმას, რომ არ არის „რომელიმე პარტიის მხარე". თუმცა, ხელისუფლების განსხვავებულ დამოკიდებულებას მედიისადმი შემდეგნაირად ხსნის „ფორმულას" საგამოძიებო გადაცემის ჟურნალისტი: „აქ იმაზე არ არის ლაპარაკი თუ რას აკეთებს „პალიტრა" კარგად და პროფესიონალურად, არამედ იმაზეა საუბარი თუ რას არ აკეთებს საერთოდ. ვგულისხმობ იმას, რომ „პალიტრა" არ მუშაობს საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებით". მთავრობის განსხვავებულ მიდგომას, დისკუსიის მონაწილეების აზრით, განაპირობებს ისიც, თუ რამდენად ლოიალურია ტელეკომპანიის დამფუძნებელი და მფლობელი მთავრობის მიმართ.

ტელეკომპანიებისგან ოდნავ განსხვავებული მდგომარეობაა საინფორმაციო სააგენტოში. მაგალითად, რესპონდენტების ჩაწერის პრობლემა არ აქვს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსს" იმ შემთხვევაში, თუ ხდება მათი პირდაპირი ციტირება. თუმცა, შეფერხება თავს იჩენს მაშინ, როცა კითხვები კრიტიკულია და ეს ეხება როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებს.

ფოკუს-ჯგუფის ყველა მონაწილე შეთანხმდა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულებას (ინტერვიუების მიცემას, გადაცემებში მონაწილეობას) კონკრეტული მედიისადმი განსაზღვრავს თემატიკა და არა ჟურნალისტების პროფესიონალიზმი და სტანდარტებისადმი ერთგულება. შეიძლება ითქვას, რომ ის ტელეკომპანიები, რომლებშიც მთავრობის წარმომადგენლები ჩნდებიან მათთვის მისაღებ გადაცემებში, ნაკლებად ზიანდებიან პოლარიზაციით, ვიდრე ის ტელევიზიები, რომლებიც ცალსახად კრიტიკულები არიან და/ან ამზადებენ საგამოძიებო მასალებს.

ჟურნალისტებისთვის პრობლემატურია, როცა მმართველი გუნდის წევრების ინტერვიუირებისთვის აღარ არსებობს ნორმალურ, საქმიან ფორმატში ურთიერთობის პრაქტიკა. ჟურნალისტისთვის ინტერვიუზე უარის თქმას, ხელისუფლების მხრიდან ცინიზმი, დამცირება და დაცინვაც ემატება.

ერთ-ერთი საპარლამენტო ჟურნალისტი იხსენებს, რომ ბრიფინგების დასრულებისას, ინტერვიუს თხოვნის შემდეგ, მას უთხრეს „რომ მოემზადოს სირბილისთვის“, ანუ ის უნდა გაეკიდოს რესპონდენტს. დისკუსიის მონაწილეები ფიქრობენ, რომ ეს პრაქტიკა მაყურებლის თვალში მათ არასასურველი კუთხით წარმოაჩენს (როგორც მომაბეზრებელ, უზრდელ ადამიანებს). ქცევის ამ მოდელის მუდმივად ჩვენება და პრაქტიკაში დამკვიდრება კი ხელს უწყობს ჟურნალისტის პროფესიის დისკრედიტაციას.

პრობლემაა ექსკლუზიური მასალისთვის განკუთვნილი ინტერვიუს ჩაწერა (რომელშიც, პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია კითხვა დაისვას მხოლოდ რესპონდენტის და არა კოლეგების თანდასწრებით). ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ სამუშაო პრაქტიკიდან ქრება ინტერვიუს ფორმატი და ეს, განსაკუთრებით სატელევიზიო მასალის მომზადებისას, არის პრობლემატური. „როცა ინტერვიუზე უარს ვიღებ, იმისთვის, რომ დავიცვა სტანდარტი, იძულებული ვარ, სიუჟეტში გამოვიყენო ის საჯარო კომენტარი, რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს კავშირში იმასთან, რაც რეალურად მაინტერესებს. ასე პასუხგაუცემლად ქრება კრიტიკული კითხვები“, - ამბობს „მთავარი არხის“ ჟურნალისტი.

ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შერჩევითი მიდგომა ბრიფინგებზე კითხვების გადანაწილებისას შეიმჩნევა. ჟურნალისტებმა გაიხსენეს შემთხვევა, როცა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების საკითხებში ევროკომისარის ოლივერ ვაჰრეის ბრიფინგის შემდეგ სულ სამი კითხვის დასმის შესაძლებლობა ჰქონდათ. აქედან პირველი ორი იყო სახელისუფლებო არხის ჟურნალისტების ერთმანეთის მსგავსი კითხვები.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს აქვთ პირადი ურთიერთობები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დასაქმებულ პირებთან (რაც, მეტწილად, განპირობებულია იმით, რომ PR-ის სფეროში პროფესიული მიგრაცია ძირითადად სწორედ მედიიდან ხდება), ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ინტერვიუზე თანხმობის მოპოვება, ნებისმიერი განმარტების მიუხედავად, პრობლემად რჩება. რადგან ინტერვიუზე ოფიციალურად შეთანხმება შეუძლებელია, ამიტომ არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტებს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირები „მეგობრულად“ სთავაზობენ, კონკრეტულ ადგილას ნახონ მინისტრი და წინასწარ შეუთანხმებლად სცადონ კომენტარის მიღება. ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა, ხადას ხეობაში რუსეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობასთან დაკავშირებული ცვლილებების გამო, სჭირდებოდა სამინისტროს კომენტარი: „დავუკავშირდი ჩემს ნაცნობს, რომელიც სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში მუშაობს და ვთხოვე

მინისტრის კომენტარი. ავუხსენი, რომ მხოლოდ ბალანსისთვის არ მინდოდა ეს კომენტარი, მჭირდებოდა კვალიფიციური ახსნა. ბოლოს მივიღე რჩევა, რომ მინისტრი აპირებდა მისვლას კონკრეტულ ადგილას და შემეძლო დავხვედროდი. ანუ, შემომთავაზა სირბილი კომენტარის მისაღებად“.

კრიტიკულად განწყობილი მედიისთვის ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა პრობლემაა მაშინაც კი, როცა ხელისუფლებისთვის მომგებიან ან „არაპოლიტიკურ“ მასალაზე მუშაობენ. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, კონკრეტული მედიის ბოიკოტირების პოლიტიკური გადაწყვეტილება მუშაობს. ჟურნალისტების მუშაობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, მისცენ თუ არა მედიას კომენტარი. ისინი ემორჩილებიან ერთიან დირექტივას.

„ფორმულას“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა თავდაცვის სამინისტროსგან მიიღო უარი, რომ მოემზადებინა სამხედრო გმირებზე პოზიტიური პროფაილები, რომლებშიც სამინისტროს საქმიანობის პოპულარიზაციაც მოხდებოდა. „ეს გადაწყვეტილება „ვერტიკალის თავშია“ მიღებული და მას ემორჩილება ყველა“, - ამბობს ჟურნალისტი. „ფორმულას“ პროდიუსერმა გაიხსენა შემთხვევა, როცა პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, კახა კუჭავას, ტელეკომპანია „ფორმულამ“ შესთავაზა აკადემიური ფორმატის ინტერვიუ საავტორო გადაცემაში. პირველადი თანხმობის მიუხედავად, პროდიუსერმა მოგვიანებით პარლამენტის თავმჯდომარისგან მიიღო განმარტება, რომელიც ასე ჟღერდა: მისი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, მივიდოდა გადაცემაში, მაგრამ გუნდში ამაზე წინააღმდეგობა შეიქმნა.

ტელეკომპანია „ფორმულას“ პროდიუსერმა გაიხსენა კიდევ ერთი შემთხვევა, როცა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში იმართებოდა აგროფესტივალი, რომელზეც ქართველი ფერმერები ქართული ცხვრის პოპულარიზაციაზე მუშაობდნენ: „ეს ძალიან კარგი პრეცენდენტი იყო იმის საჩვენებლად, რომ საქართველო ცდილობს ბაზრის დივერსიფიკაციას, არაა მიბმული მხოლოდ რუსეთზე და სოფლის მეურნეობის სამინისტროც დადებით კონტექსტში გამოჩნდებოდა. რადგან ჩვენი კორესპონდენტი არაბეთში იყო, შევთავაზეთ სიუჟეტის მომზადება. ასევე მივიღეთ თანხმობა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან, თუმცა, ამის შემდეგ, ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ხაზზე აღარავინ გამოვიდა. აი, ამიტომაც დავდევთ ქუჩაში კომენტარებისთვის მინისტრებს. სხვა არჩევანი არ გვაქვს“, - თქვა მან.

დისკუსიის მსვლელობისას გახმიანდა სავარაუდო სქემა, რომლითაც მმართველ გუნდში მსგავსი დირექტივების შესრულებას აკონტროლებენ.

ჟურნალისტების ინფორმაციით, მმართველი გუნდის წევრებს მედიასთან ურთიერთობაზე მითითებებს „სამეული“ აძლევს. კრიტიკული მედიის ჟურნალისტებისთვის ცნობილია, რომ არსებობს საკომუნიკაციო ჩათი, რომელშიც სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები არიან გაერთიანებულები და მათ ყოველ დილით მისდით ინფორმაცია იმაზე, თუ რა თემებზე იმუშავებს კრიტიკული მედია. ამას თან მოსდევს მითითებები, თუ რა უნდა თქვან, როგორ მოიქცნენ და ა.შ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან დამწყები, ე.წ. საპარლამენტო ჟურნალისტები. მათ „ანკესზე წამოგებას” ხელს უწყობს პოლიტიკოსების მხრიდან ინიცირებული, ერთი შეხედვით, მეგობრული, პირადი ურთიერთობების გაბმის მცდელობები (ფამილიარული მიმართვები და კომპლიმენტები, დაპატიჟება ყავაზე, საჩუქრები), რაც იმთავითვე აჩენს თვითცენზურას. მათი დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება, როგორც კი ჟურნალისტი კრიტიკულ კითხვას სვამს. ჟურნალისტების დაკვირვებით, გარკვეული ინსტრუქციები იკვეთება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იურთიერთოს ხელისუფლებამ კრიტიკულ მედიასთან არასამუშაო გარემოში. კერძოდ, ისინი ცდილობენ არასამუშაო გარემოში ჟურნალისტებთან დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა და ამით წაახალისონ თვითცენზურა. ერთ-ერთმა მონაწილემ გაიხსენა: „რესტორანში ყოფნისას, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, თურმე ჩუმად ჩემი სადილის ფული გადაიხადა. ეს არის თვითცენზურის გაჩენის მცდელობა“.

საზოგადოებას ხელი უნდა მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე, რადგან „ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, ინფორმაციის თავისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში ერთ-ერთი გარანტირებული, ფუნდამენტური უფლებაა“[51]. ჟურნალისტების მიერ საჯარო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა არის საზოგადოების დროული ინფორმირების ეფექტური საშუალება და ხელისუფლების კონტროლის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნის მექანიზმი. საჯარო ინფორმაციასთან წვდომისას, ჟურნალისტების მიმართ დაწესებული ხელოვნური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მაყურებელი არასრულყოფილადაა ინფორმირებული პოლიტიკური გარემოსა და მიმდინარე პროცესების შესახებ.

სამართლის სპეციალისტები განმარტავენ, რომ „საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია არის საჯარო, თუ ის არ მიეკუთვნება

[51] ტურავა პ., ავალიშვილი ლ., ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის *(მეორე გამოცემა)*, გვ. 6. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/courts/EBRD/Freedom%20of%20Information%20Guidebook%20%20Second%20Edition.pdf (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

საიდუმლო ინფორმაციათა სახეს... საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შემთხვევაში გასაჩივრების უფლებას საქართველოს კანონმდებლობა ორ ნაწილად ყოფს: ადმინისტრაციული საჩივრისა და სარჩელის შეტანის შესაძლებლობის სახით "[52]. 2022 წელს შეიცვალა საჯარო უწყებების დამოკიდებულება ჟურნალისტის მხრიდან ადმინისტრაციული საჩივრის დაწერაზე. კერძოდ, წინა წლებში, საჯარო პირები ცდილობდნენ ჟურნალისტს არ დაეწერა საჩივარი და რიგ შემთხვევებში, სწორედ ამიტომაც აწვდიდნენ ინფორმაციას. „ახლა ჟურნალისტებს პასუხობენ: „გვიჩივლეთ", - ამბობს რეგიონული მედიის „ჩემი ხარაგაულის" წარმომადგენელი.

ადმინისტრაციულ საჩივრებზე პასუხების მიღება, ასევე პრობლემურია. დისკუსიის მიმდინარეობისას „აი,ფაქტის" ჟურნალისტმა მოიყვანა მაგალითი, რომ საგამოძიებო მასალის[53] მომზადებისას შვიდი ადმინისტრაციული საჩივარი დაწერა იმის გასარკვევად, თუ რატომ უფორმებს ხელისუფლება ღიად პრორუსულ პლატფორმა „მარშალ-პრესს" ათიათასობით ლარიან ხელშეკრულებებს? ჟურნალისტი ადასტურებს, რომ შეფერხებას ამ შემთხვევაშიც კონკრეტული თემატიკა იწვევს: „შიდა წყაროებიდან გვითხრეს, რომ ხელისუფლებისთვის მტკივნეულ თემებზე მუშაობისას იღებენ დირექტივას, რომ ამა თუ იმ მედიას (ამ შემთხვევაში „აი,ფაქტს") ინფორმაცია აღარ უნდა მისცენ. ჩვენს შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ხელისუფლებამ მიიღო მას შემდეგ, რაც საგამოძიებო სტუდიამ ნამახვან ჰესზე მოამზადა მასალა", - ამბობს „აი,ფაქტის" ჟურნალისტი.

მმართველ გუნდს არაფორმალურად შეთანხმებული წესები აქვს იმასთან დაკავშირებით თუ რომელ მედიასაშუალებასა და რომელ თემებზე (არ) გასცემს საჯარო ინფორმაციას. კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასთან შეზღუდვა სისტემური და უწყებებს შორის სინქრონიზირებულია და განსაკუთრებით აქტიურად მუშაობს მაშინ, როცა საქმე ეხება მმართველი გუნდისთვის სენსიტიურ თემებს და/ან საგამოძიებო მასალებს. ტელეკომპანია „ფორმულას" საგამოძიებო ჟურნალისტმა გაიხსენა რეპორტაჟი[54], რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს შეეხებოდა: „საჯარო რეესტრში დადგენილი წესით საფასურის გადახდის შემდეგ, როცა მაქსიმუმ ერთ საათში ხდება-ხოლმე ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციასთან წვდომა საერთოდ შეგვიზღუდეს[55]".

[52] ტურავა პ., ავალიშვილი ლ., ჯორბენაძე ს., ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის (მეორე გამოცემა), გვ. 6. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/courts/EBRD/Freedom%20of%20Information%20Guidebook%20%20Second%20Edition.pdf (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

[53] ასათიანი ი., (12.12.2022), რატომ ვუხდით ფულს „მარშალპრესს?", საგამოძიებო სტუდია „აი, ფაქტი", ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3HZAAPM (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

[54] ოლიგარქის ტყე, (12.11.2022), შაბათის ფორმულა, „ფორმულა ტვ", ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3GkxSD1 (ბოლო ნახვა: 24.12.2022)

[55] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=41 (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2022 წლის ანგარიში ადასტურებს, რომ საჯარო ინფორმაციასთან ჟურნალისტების წვდომა არასახარბიელოა. კერძოდ: ჟურნალისტთა დაახლოებით 12%-მა შეძლო კანონით გათვალისწინებული ვადის დაცვით საჯარო ინფორმაციის სრულად მოპოვება; შემთხვევათა 50%-ში საჯარო ინფორმაციის განცხადება არ დაკმაყოფილდა ან დარჩა უპასუხოდ; 50% შემთხვევაში საჯარო ინფორმაცია გაიცა სრულად ან ნაწილობრივ. IDFI-ის კვლევა ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული საჩივრები, როგორც წესი, არ კმაყოფილდება, ხოლო ინფორმაციის მიღება გაჭიანურებულია. მაგალითად, „საერთო სასამართლო სისტემაში საჯარო ინფორმაციის დავის დასრულებას საშუალოდ 2.5 წელი სჭირდება“[56].

საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, საგამოძიებო ჟურნალისტებმა ახალ პრობლემურ ტენდენციაზეც ისაუბრეს. კერძოდ, საჯარო უწყებები უკვე ნებისმიერი სახის ინფორმაციასა და ინტერვიუზე ითხოვენ ინფორმაციის წერილობით გამოთხოვას საჯარო ინფორმაციისთვის დადგენილი წესით. ამასთან, მედიისთვის საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ/გონივრულ ვადებში მიწოდება პრობლემატურია იმისდა მიუხედავად, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული მოთხოვნა ინფორმაციის დამუშავებისა და მიწოდებისთვის 10-დღიანი ვადის მოთხოვნის კრიტერიუმებს. ამ მიდგომას საჯარო უწყებების პრეს-სამსახურის წარმომადგენლები განსაკუთრებით მაშინ მიმართავენ, როცა საქმე ეხება საგამოძიებო მასალის მომზადებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ იგივე მიდგომას ადასტურებენ რეგიონული მედიის წარმომადგენლებიც. საჯარო ინფორმაციის მისაცემად პრესსამსახურები ავტომატურად საჯარო ინფორმაციის მიღებისთვის დადგენილ ვადებს აწესებენ რეგიონებშიც. „სიტუაცია ყოველთვიურად უარესდება და ჩვენთვის ის განსაკუთრებით დამძიმდა 2022 წლის სექტემბრის შემდეგ. რეგიონის ჟურნალისტებისთვის უკვე პრობლემაა საჯარო უწყებების სხდომებზე დასწრება. თუ წინა წლებში გვატყობინებდნენ განსახილველ თემებსა და სხდომების განრიგს, 2022 წელს უმნიშვნელოვანესი სხდომები (მაგ: ბიუჯეტის განხილვის) რეგიონის მედიისთვის გასაიდუმლოებული დარჩა“, - აღნიშნავს „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის კრიტიკული დისკურსის მქონე გადაცემებისთვის ასევე რთულია საჯარო ინფორმაციის დროული მიღება. „საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფი-

[56] მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე: კანონმდებლობა v. რეალობა, (2022), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი(IDFI), გვ. 1-3. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Analysis/access_to_public_information_by_the_media_legislation_v_reality.pdf (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

ციალური ბლანკით ვაგზავნი წერილს და, მიუხედავად ვალდებულებებისა, თვეები გადის და ინფორმაცია არ მაქვს!“ - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემის ავტორი.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან ნაკლები პრობლემა აქვს ტელეკომპანია „მაესტროს“. მონაწილეთა აზრით, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედია, სავარაუდოდ, არც ითხოვს იმ ინფორმაციას, რომელიც რაიმე სახის პრობლემას შეუქმნის ხელისუფლებას.

რეგიონის ჟურნალისტებმა ახსენეს დამკვიდრებული პრაქტიკა, როცა ერთსა და იმავე ინფორმაციაზე საჯარო უწყება პასუხს სცემს არასამთავრობო ორგანიზაციას და ინფორმაციას ბლოკავს კონკრეტული მედიისთვის. ამის გამო, რიგ შემთხვევებში, ისინი ამჯობინებენ ხელისუფლებისგან არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით გამოითხოვონ ინფორმაცია. დისკუსიის მონაწილეების აზრით, ეს მიდგომა შეიძლება განპირობებული იყოს იმითაც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ნაკლები და არაოპერატიული წვდომა აქვთ აუდიტორიაზე, ვიდრე მედიას.

ამ მიდგომის საილუსტრაციოდ გამოდგება საგამოძიებო მასალები, რომლებიც ეხება ომის შემდეგ რუსეთიდან მიგრაციას. საგამოძიებო სტუდია „აი,ფაქტის“ ჟურნალისტი ამბობს, რომ სამი თვეა, საჯარო უწყებიდან ელოდება ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რუსეთის ფედერაციის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული ომის შემდეგ და რამდენმა დატოვა საქართველო. პასუხი ერთია, რომ ინფორმაციის დამუშავების რესურსი უწყებას არ აქვს. ამის პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციებს უკვე აქვთ კვლევები აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (მაგალითად, IDFI [57]-ის და GIP[58]-ის კვლევები სწორედ ამ საკითხებს ეხება).

წყაროებთან ხელმისაწვდომობა და საჯარო ინფორმაციის მოპოვება პრობლემაა ონლაინ მედიისთვისაც. „ნეტგაზეთის“ წარმომადგენელმა გაიხსენა შემთხვევა, როცა კრიტიკული კითხვის დასმისას პრემიერ-მინისტრმა, ჯერ კიდევ წლების წინ, ჟურნალისტს ზურგი შეაქცია და მაშინ ეს „ვიზუალური იგნორირება“ ახალი და შოკისმომგვრელი იყო. დღეს კი ეს დამკვიდრებული პრაქტიკაა.

[57] ტურიზმი თუ მიგრაცია? *(რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022* მარტი-ივნისი*)*, (2022), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

[58] კაკაჩია კ., კანდელაკი ს., (2022), მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, პოლიტიკის მემორანდუმი, #61. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3WNbmIx (ბოლო ნახვა: 21.12.2022)

დაბალია პოლიტიკოსების მხრიდან მედიასთან პროფესიული ურთიერთობის კულტურა და პრაქტიკა. ონლაინ მედიის წარმომადგენლებს პოლიტიკოსთა ნაწილი (ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც) პრიორიტეტულად არ აღიქვამს. „უმეტეს შემთხვევაში რთულია ინტერვიუების ჩაწერა მთავრობის წევრებთან, დეპუტატებთან და ოპოზიციის ლიდერებთანაც. არის შემთხვევები, როცა შეთანხმებულ ინტერვიუზე მას მერე ამბობენ უარს, როცა გაიგებენ, რომ ონლაინ-მედია ვართ და არა ტელევიზია", - ამბობს „ნეგტაზეთის/ბათუმელების" წარმომადგენელი.

2022 წელს ოპოზიციასთან მუშაობა გართულდა რეგიონული მედიისთვის. ჟურნალისტები ამას უკავშირებენ იმას, რომ, წინა წლებთან შედარებით, ოპოზიცია უფრო სუსტი და არაკვალიფიციურია. კომუნიკაცია განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" დაიწყო თავმჯდომარის შიდა-არჩევნების პროცესი. რეგიონულმა ჟურნალისტმა გორიდან გაიხსენა, რომ ქარელში მედიას ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შიდაპარტიული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია დაუმალეს იმიტომ, რომ არც ოპოზიციას მოსწონს მედიის კრიტიკული კითხვები. ზოგადად, ჟურნალისტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ კრიტიკულად განწყობილი მედიისადმი „ოპოზიციური მედიის" იარლიყის/სახელის მიკუთვნებაზე. ჟურნალისტების აზრით, ეს აზიანებს კრიტიკული მედიის იმიჯს.

ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის კუთხით, „იმედის" ჟურნალისტისთვის ხელისუფლებისგან ინფორმაციის მიღება და ინტერვიუს ჩაწერა ხდება პრესსამსახურის გავლით ან პირდაპირი კომუნიკაციისას, ხოლო ოპოზიციის შემთხვევაში, ძირითადად, პირდაპირი კომუნიკაციისას. პოლიტიკოსების მედიასთან დამოკიდებულებაზე, „იმედის" ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა ერთი და იგივე კომენტარის გაკეთებისას, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის ტონი მასთან მიმართებით იყო აგრესიული, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტების მიმართ კი არა.

მედიის სტიგმატიზაციას და პარტიული „იარლიყების მიკერებას" გავლენა აქვს გაშუქების მრავალფეროვნებაზეც. ძალადობრივ კონტექსტში თვითცენზურაც ძლიერდება და „თუ თვითცენზურას იწვევს შიში ან ტრავმა, მედია ვერ შეასრულებს ვერცერთ როლს და გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლად დინება საფრთხის წინაშე აღმოჩნდება"[59]. ამა თუ იმ პრობლემების გაშუქებისას, თვითცენზურა ჩანს წყაროებშიც. განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები თავს არიდებენ კრიტიკულ მედიასთან კომუნიკაციას. „ხალხი, კამერების გარეშე კომუნიკაციისას, უფრო გახსნილია. მათ ეშინიათ

[59] Journalist safety and self-censorship, (2020), edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, p. 157

კრიტიკულ მედიაში გამოჩენის და საკუთარ პრობლემებზე საუბრის, რადგან შედეგად შეიძლება დახმარება მოუხსნან ან სამსახურებიდან გააგდონ“, - აღნიშნავს „მთავარი არხის“ ჟურნალისტი.

შეჯამებისთვის:
ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა კლავს ხარისხიან ჟურნალისტიკას და აზიანებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. პოლიტიკური პოლარიზაციისა და კრიზისების დროს, ჰიბრიდული რეჟიმის გაძლიერებისა და დემოკრატიის უკუსვლის პროცესში, მედიას შესწევს ძალა „გადააზღვიოს“ ის ინსტიტუციები, რომლებიც არ და ვეღარ იცავენ ადამიანის უფლებებს და სხვადასხვა აქტორების მეტი ჩართულობით შექმნას - დემოკრატიის მედეგობისთვის აუცილებელი რესურსები. ეს რესურსები პირველ რიგში, უფრო ინფორმირებული საზოგადოებაა, რომელსაც შეუძლია გაუმკლავდეს კონკრეტულ თემებზე წარმოებულ დეზინფორმაციისა და მავნე ზეგავლენის მქონე პროპაგანდას.

3.6. ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა

ყველა მკვლელობა ტრაგედიაა, მაგრამ როდესაც
კლავენ ჟურნალისტს, საჯარო დებატები კარგავს
ხმას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი
შეიტანოს დემოკრატიის განვითარებაში.

ირინა ბოკოვა
იუნესკოს ყოფილი გენერალური დირექტორი

ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობისას ყველაზე მეტად იკვეთება ის, თუ როგორ ასრულებს ხელისუფლება თავის ვალდებულებას - დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. დაუსჯელობა კიდევ უფრო აძლიერებს შიშის ატმოსფეროს პროფესიულ წრეებში, აძლიერებს და ამკვიდრებს ჟურნალისტების შესახებ არსებულ სტიგმებს, სტერეოტიპებს და სიძულვილის ენას.

„ტრავმირებული ჟურნალისტიკა" - ასე შეიძლება ეწოდოს ქართული მედიის იმ მდგომარეობას, რომელიც 2021 წლის 5 ივლისის ტრაგიკული მოვლენების[60] შემდეგ კვლავაც მოუშუშებელი და აქტუალურია ჟურნალისტებისთვის. მედიის წარმომადგენლები 5 ივლისს მომხდარ ტრაგედიას სხვადასხვა კონტექსტში, მთელი დისკუსიის მანძილზე იხსენებდნენ. მოუშუშებელ ტკივილს წინა წლებში ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოუძიებლობა და დაუსჯელობაც აძლიერებს. მნიშვნელოვანია, რომ ევროკომისიის ზემოთ ხსენებულ 12-პუნქტიან რეკომენდაციებში ხაზგასმულია ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებების ჩატარება[61].

დანაშაულის გამოუძიებლობა და დაუსჯელობა კიდევ უფრო თვალშისაცემია პოლიტიკური კრიზისებისა და პოლარიზაციისას. წინა წლებისგან განსხვავებით, მედიის წარმომადგენლებს ამოეწურათ იმედი, რომ მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულები ბოლომდე გამოძიებულ იქნება და დაუსჯელობა დასრულდება. გამოძიება ნელი ტემპებით მიმდინარეობს გასულ წელს მედიასაშუალებებით გავრცელებულ ე.წ. „სუს-ის ფაილების" საქმეზე, რომელშიც გამოიკვეთა ჟურნალისტების უკანონოდ თვალთვალი. 2022 წელს, უკანონო მოსმენებზე, 10 ჟურნალისტის საჩივარი გაიგზავნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში[62]. ხელისუფლების გარდა, მედიაზე წნეხი გაიზარდა დომინანტი და გავლენიანი რელიგიური ორგანიზაციის, საქართველოს საპატრიარქოს მხრიდანაც.

5 ივლისს დაზარალებული ერთ-ერთი ჟურნალისტი „ფორმულადან" იხსენებს: „ვერბალური ძალადობა, მუქარები თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. 1300-მდე ასეთი მესიჯი გავაგზავნეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. აქ მთავარი აქტორი არა მარტო სახელმწიფო, არამედ საქართველოს საპატრიარქო და მისი მრევლია. დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებამ იცის იმ პირთა ვინაობა, რომლებიც 5 ივლისს ფიზიკურად გაუსწორდა ჟურნალისტებს, იციან ორგანიზატორებიც, მაგრამ არ არის პოლიტიკური ნება, რომ დაუსჯელობა დასრულდეს". ჟურნალისტების აზ-

[60] 2021 წლის 5 ივლისს მომხარი ტრაგიკული მოვლენები, როცა რადიკალურმა, ანტიდასავლურმა ჯგუფებმა, დემონსტრაციის გაშუქებისას/პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, ჟურნალისტები მიზანმიმართულად დაარბიეს (დაშავდა 50-ზე მეტი მედიის წარმოამდგენელი და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა სასტიკად ნაცემი ოპერატორი ლექსო ლაშქარავა.

[61] Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COM(2022) 405 final, (17.06. 2022), Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, available at: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf (last seen: 12.12.2022), ქართული თარგმანის ბმული იხ. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე: http://bit.ly/3WBQ0xH (ბოლო ნახვა: 12.12.2022)

[62] უკანონო მოსმენების საქმეზე 10 ჟურნალისტის საჩივარი ევროსასამართლოში გაიგზავნა, (13.07.2022), რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31941548.html (ბოლო ნახვა: 18.12.2022).

რით, ეს მწვანე შუქის ანთებაა, რომ ჟურნალისტებზე ძალადობა გაგრძელდეს. რეგიონული მედიის წარმომადგენლებიც არაერთხელ ახსენებენ 5 ივლისს სწორედ დაუსჯელობის კონტექსტში: „გადაღებაზე ვიდექი, პირდაპირ ეთერში ჩართვისთვის ვემზადებოდი და გამვლელმა ჯერ ხელი მომიქნია, შემდეგ მიკროფონი გამომგლიჯა. როგორც გავარკვიეთ, ის 5 ივლისის შემდეგ დააკავეს და შემდეგ გამოუშვეს. შედეგად, ისევ იძალადა და ისევ იძალადებს“, - იხსენებს „ტვ პირველის“ რეგიონული ჟურნალისტი. საგამოძიებო ჟურნალისტი „აი,ფაქტიდან“ იხსენებს, რომ საფუძვლიანი გამოძიება ჩაატარეს 5 ივლისის მოძალადეებზე, მაგრამ, ამის მიუხედავად, არავინაა დასჯილი.

ერთი წლის გადმოსახედიდან, მედიის მიმართ აგრესიის გამოხატვა განსაკუთრებით გაიზარდა სწორედ 2021 წლის 5 ივლისის შემდეგ და ამას ხელისუფლების რიტორიკამ შეუწყო ხელი. ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ბოლომდე გამოუძიებლობისა და ძალადობის ორგანიზატორების დაუსჯელობის ფონზე, „ხელისუფლება ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ ჟურნალისტები ხელშეუხებლები არ არიან, ისინი დამნაშავეები არიან, რომლებიც უნდა დაისაჯონ. ჩვენ ფიზიკურად გვეხებიან“, - ამბობს „მთავარი არხის“ ჟურნალისტი.

2022 წელს მედიიდან პერსონალის (განსაკუთრებით ოპერატორების) გადინების ერთ-ერთ მიზეზად (მედიაში წარმოქმნილი ფინანსური კრიზისის პარალელურად) დასახელებულდა 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტების დარბევა და წინა წლებში წინასაარჩევნო „სისხლიან ბანერებზე“ გამოკრული ცნობილი ჟურნალისტების ფოტოები.

ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული გამოუძიებელია ან ჭიანურდება. „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა გაიხსენა ტელევიზიის შენობაში ფარული მიყურადების და ჩანაწერის ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ ტელევიზიაში გასაჯაროების შემთხვევა, რომელზეც გამოძიება დაიწყო. „ჩვენი დაკითხვისას ვივარაუდეთ, რომ უკანონო თვალთვალს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ახორციელებდა. შედეგად, დაკითხვაზე დაიბარეს იმ გადაცემის ავტორი, რომლის ეთერშიც მოხდა უკანონო ჩანაწერების გასაჯაროება. მან დაკითხვაზე აღნიშნა, რომ დაიცავდა წყაროს კონფიდენციალურობას და მორჩა - გამოძიება ამით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა დამატებითი საგამოძიებო პროცედურების ჩატარება“, - იხსენებს ჟურნალისტი.

ჟურნალისტების უკანონო თვალთვალი კვლავ პრობლემად რჩება და ამის საილუსტრაციოდ დისკუსიის მონაწილეებს არაერთი ისეთი მაგალი-

თი მოჰყავთ, რომელიც მათ ყოველდღიურ სამუშაო რუტინაში ვლინდება. „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა წყარომ ჩინოვნიკის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დარღვევაზე შეატყობინა: „ამ ამბის რედაქციაში მოყოლის შემდეგ, იმავე დღეს, იგივე წყარომ მაცნობა, რომ ჩინოვნიკმა უკვე იცოდა, რომ „მთავარი არხი“ აპირებდა მასალის მომზადებას და დარღვევა სასწრაფოდ გამოსწორდა. როგორც ჩანს, „ლაივში“ გვისმენენ“, - ამბობს ჟურნალისტი.

ჟურნალისტების ფარული თვალთვალი აძლიერებს შიშს და თვითცენზურას. ჟურნალისტებმა იციან, რომ მათი და პროდიუსერების, ასევე მათი წყაროებთან კომუნიკაცია ისმინება. ამის დასადასტურებლად დისკუსიის მონაწილემ გაიხსენა მაგალითი: „მედიაექსპერიმენტი ჩავატარეთ: ე.წ. ღია სატელეფონო ხაზით დავუკავშირდით ჩვენს ორ სხვადასხვა ჯგუფს და შევატყობინეთ, რომ თბილისის მერის, კახი კალაძის და ბიძინა ივანიშვილის სახლებთან აქციები იმართებოდა. ზუსტად 10 წუთში ორივე სახლთან პოლიცია იყო მობილიზებული. ჩვენს ფარულ თვალთვალზე სახელმწიფო რესურსი იხარჯება“, - ამბობს „ფორმულას“ ჟურნალისტი.

ხელისუფლების მხრიდან რეაგირების გარეშე რჩება ჟურნალისტების მიერ მომზადებული საგამოძიებო მასალები, რომლებიც შესაძლო დანაშაულს ეხება. საგამოძიებო სტუდია „აი,ფაქტის“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა არაერთგზის გადამოწმებული და დადასტურებული საგამოძიებო მასალის გამოქვეყნებას (მასალა შეეხებოდა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მიერ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულს[63]), ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება (მათ შორის, კომენტარი ან განცხადება) არ მოჰყოლია იმისდა მიუხედავად, რომ თემა, მოგვიანებით, ნაციონალურმა ტელევიზიებმაც ვრცლად გააშუქეს. ეს მედიის ფუნქციას - შეასრულოს „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქცია - ასუსტებს, აკნინებს თავად მედიის როლს და აჩვენებს, რომ ხელისუფლება ანგარიშვალდებულებით არ რეაგირებს მეოთხე ხელისუფლების საქმიანობაზე.

მონაწილეებმა გაიხსენეს სხვა შემთხვევებიც, როცა ჟურნალისტების მისამართით წინა წლებში ჩადენილი დანაშაულები კვლავ გამოუძიებელია. ერთ-ერთი ეხებოდა 2021 წელს პოლიტიკური თოკ-შოუს წამყვანის სახლის გაქურდვას და ლეპტოპების წაღებას[64].

[63] ასათიანი ი., იუსიფი ა., (10.05.2022), პროტოპრესვიტერი მამის "ზარი ახლობელთან", საგამოძიებო სტუდია „აი, ფაქტი“, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3GoV976 (ბოლო ნახვა: 22.12.2022).
[64] ჟურნალისტის ვინაობის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით მედიაწყაროს არ ვუთითებთ.

შეჯამებისთვის

დემოკრატიის მედეგობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია ის, თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს ჟურნალისტები პროფესიული საქმიანობისას და რამდენად ახერხებს სახელმწიფო თავისი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის - დაიცვას ადამიანები/ჟურნალისტები სიტყვის და გამოხატვის უფლების დაცვის კონტექსტშიც. მედიის ფუნქციაა, შეახსენოს ხელისუფლებას ანგარიშვალდებულებები, თუმცა სწორედ ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობის დასრულება არის ის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, შეუქმნას მედიას თავისუფლად ფუნქციონირების და განვითარების საშუალება.

3.7. ჟურნალისტების უსაფრთხოება: ფიზიკური და ვერბალური ძალადობა

ჟურნალისტებს უსაფრთხოდ მუშაობის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მათი ფიზიკური და იდეალური დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს შინაგანი უსაფრთხოების ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

საბინა ლოითჰოისერ-შნარენბერგერი
ადამიანის უფლებათა დამცველი

2022 წელს გამოწვევად რჩება ჟურნალისტების ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. წინა წლის მსგავსად, არაერთხელ გამოვლინდა ჟურნალისტების მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობა (ონლაინ და ფიზიკურ სივრცეში), დისკრედიტაციის მცდელობა, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა (მათ შორის, წყაროებთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და უკანონო თვალთვალი), ჟურნალისტების სტიგმატიზაცია და დამცირება.

მედიაგარემოში გამოკვეთილ საფრთხედ რჩება ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტებზე ფიზიკური და ვერბალური ძალადობის წახალისება. 2022 წელს მედიის დისკრედიტაციის კამპანიაში უფრო აქტიურად ჩაერთო საქართველოში ყველაზე გავლენიანი ორგანიზაცია - საქართველოს

საპატრიარქო, რომლის წარმომადგენლებიც გამოირჩევიან მედიის მიმართ აგრესიული რიტორიკით. გორის რეგიონული მედიის (რადიო „მოზაიკის“)

ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა კრიმინალებმა ასაკოვან მონაზონზე იძალადეს და მაღალი იერარქიის სასულიერო პირებმა ეს შემთხვევა მედიის საქმიანობას დააბრალეს[65]. ამის შემდეგ კი, რელიგიურ ქადაგებებში, დამახინჯებულ კონტექსტში ახსენეს კრიტიკული მედია. მათ მედია სასულიერო პირების მიმართ კრიმინალის წახალისებაში (მონაზვნის გაუპატიურებაში) დაადანაშაულეს იმის გამო, რომ ჟურნალისტებმა გააშუქეს მაღალი იერარქიის სასულიერო პირისთვის ძვირადღირებული მანქანის ჩუქება. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ ამ აგრესიული რიტორიკის შედეგად, ამ შემთხვევის განხილვის დროს სასამართლო პროცესზე საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ უფრო მეტი აგრესია წამოვიდა, ვიდრე თავად მოძალადეების მიმართ.

რეგიონებში მედიის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა ყოველდღიურია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო მასალა საპატრიარქოს შესახებაა. „აიფაქტის“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა რეგიონში უფასო გაზეთების დარიგებისას (სადაც იყო მასალა სახელწოდებით „პატრიარქის ფერისცვალება“), მას ფიზიკური და ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა მიაყენეს: „ეს ძალადობა შიშს და თვითცენზურას აჩენს კონკრეტული თემების მიმართ. თბილისსა და რეგიონებში ველზე მუშაობისას იმაზე ვფიქრობთ, შევძლებთ თუ არა ცოცხლები უკან დაბრუნებას“.

ფიზიკური უსაფრთხოებისთვის, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის რამდენიმე წარმომადგენელი იძულებულია ქუჩაში დაცვის თანხლებით გადაადგილდეს. 2021 წლის 5 ივლისს ერთ-ერთი დაზარალებულის გადმოსახედიდან, ხელისუფლების მედიისადმი აგრესიული რიტორიკაა მიზეზი იმისა, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა.

ჟურნალისტები თავს დაუცველად გრძნობენ ქუჩაში, ველზე მუშაობისას და განსაკუთრებით აქციებზე: „2022 წელს მე ისევ გავხდი თავდასხმის ობიექტი, მოქალაქე დანით ხელში ჟურნალისტური საქმიანობისას თავს დამესხა. ჩემს ყოველ გამოსვლას ქუჩაში თან ახლავს სიტყვიერი შეურაცხყოფა. 5 ივლისის შემდეგ მე დაცვით მიწევდა ქუჩაში გადაადგილება“, - ამბობს „ფორმულას“ ჟურნალისტი. „ტვ პირველის“ პოლიტიკური თოკ-შოუს ავტორი კი იხსენებს: „მე ეთერს საღამოს 11 საათზე ვასრულებ. მუდამ მაქვს იმის შიში, რომ შეიძლება არ მომკლან, მაგრამ დამხვდებიან სადმე და შემაშინებენ. შიშის ატმოსფერო არსად და არასდროს ქრება“.

[65] საპატრიარქო აცხადებს, რომ მედიამ მონასტერში ყაჩაღური თავდასხმისა და გაუპატიურების შემთხვევა “ამორალურად” გააშუქა, (19.11. 2022), რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32151617.html (ბოლო ნახვა: 21.12.2022)

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, ჟურნალისტიკის პროფესიაში შემოსვლა უკვე იმთავითვე ნიშნავს, რომ ადამიანი მზადაა ემოციური და ფსიქოლოგიური ჩაგვრისთვის. ჟურნალისტს სჭირდება სტრესმედეგობა. მათზე (განსაკუთრებით დამწყებ ჟურნალისტებზე) ემოციურად მოქმედებს ინტერნეტ-ტროლების აგრესია. რედაქციებში არსებობს სოციალური ქსელების მოდერაციის პრაქტიკა, რომელიც დასახვეწია. მაგალითად, შეიძლება მოდერატორი ფილტრავდეს სენსიტიურ თემებს და კომენტარებს, რომლებიც არასრულწლოვანებს ეხება, მაგრამ ნაკლებად კონტროლდება სიძულვილის ენა, რომელიც ჟურნალისტის მისამართითაა. ამ კუთხით აუცილებელია პროცედურების დახვეწა. ონლაინ-აგრესიისას, ჟურნალისტს (სურვილის შემთხვევაში) უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პასუხი დააფიქსიროს კომენტარებში, თუმცა, ამის პარალელურად, აუცილებელია სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების წაშლა/დარეპორტება.

სოციალურ ქსელებში ჟურნალისტები განსაკუთრებული აგრესიის მსხვერპლნი მაშინ ხდებიან, როცა ნეგატიურ კონტექსტში აშუქებენ ისეთ პრორუსულ, კრემლის პოლიტიკის ღიად მხარდამჭერ ჯგუფებს, როგორიცაა „ალტ-ინფო“ და/ან აკრიტიკებენ კრემლის პოლიტიკას. „აი,ფაქტის“ ჟურნალისტმა გაიხსენა ონლაინ-ბულინგის შემთხვევა, როცა მასალაში დაწერა, რომ „ალტ-ინფო“ რუსულ სერვერებს იყენებდა. ამის შემდეგ დაიწყო „აი,ფაქტის“ გვერდის მასიური დარეპორტება.

ტროლებისა და ბოტების მიერ ონლაინ-სივრცეში ჟურნალისტების დისკრედიტაცია პრობლემაა, მაგრამ ჟურნალისტებისთვის უფრო დამთრგუნველია ფიზიკურ გარემოში გამოვლენილი ძალადობა და ბულინგი. თუ ონლაინ-სივრცეში ფიზიკური დაცულობის ილუზია მაინც არის, ფიზიკურ გარემოში ეს წარმოსახვითი ბარიერები ქრება და ჟურნალისტზე ზეწოლა კიდევ უფრო ძლიერდება.

დისკუსიის მონაწილეები, როგორც ტრავმულ გამოცდილებას, იხსენებენ შემთხვევებს, რომლებიც მოხდა, მაგალითად, სამარშრუტო ტაქსიში და ავტობუსში, ქუჩაში გამვლელისა თუ ნაცნობის მხრიდან. დისკუსიის მონაწილემ აღნიშნა, რომ არ ახსოვს დღე, როცა ფიზიკურ გარემოში არ მომხდარიყოს მისი ფსიქოლოგიური შევიწროება: „ჩემთვის უცნობმა კაცმა ავტობუსში ნიშნისმოგებით მომაძახა: უყურე ხომ, რეები ილაპარაკა შენზე გუშინ შალვამ?“ (იგულისხმება „პოსტ ტვ”-ის წამყვანი შალვა რამიშვილი, რომელიც გამოირჩევა სიძულვილის ენით). ამგვარი დამოკიდებულება აძლიერებს ჩაგვრის ატმოსფეროს, ემსახურება ჟურნალისტების დემორალიზებას, უწევს ფიზიკურ სივრცეში ლეგიტიმაციას და ამკვიდრებს იმ ფსევდო-რეალობას, რომელსაც ონლაინ სივრცეში ტროლები და ბოტები მასიურად ქმნიან.

შიშის ატმოსფერო ვრცელდება ჟურნალისტის საახლობლოსა და ოჯახის წევრებზეც. ხდება მათი შევიწროება, დაშინება, სამსახურიდან გათავისუფლება. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა ამის რამდენიმე მაგალითი გაისხენეს:

- „გადაცემა რომ მთავრდება, დედაჩემი მირეკავს ანერვიულებული და მეკითხება, სახლამდე როგორ უნდა მივიდე“ („ფორმულას“ საგამოძიებო საავტორო გადაცემის ავტორი);

- „ჩემი შვილი გამოუშვეს „რუსთავი 2“- დან. მიზეზად რეორგანიზაცია დასახელდა. თითქმის ყველას შესთავაზეს ალტერნატივა და მას კი უარი უთხრეს“ („ტვ პირველის“ პოლიტიკური თოკ-შოუს ავტორი);

- „ჩემი ოჯახის წევრი შეავიწროვეს სამსახურში ჩემ გამო. ეს გაიძულებს, რომ თვითცენზურა გაგიჩნდეს და გარკვეულ თემებზე აღარ ილაპარაკო“(„ფორმულას“ საპარლამენტო ჟურნალისტი).

შარშანდლის მსგავსად, ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მმართველი გუნდი ჟურნალისტებს ექცევა როგორც პოლიტიკურ ოპონენტებს და, საბოლოო ჯამში, ეს ჟურნალისტების ავტორიტეტს ლახავს. მედიაში გასული მადისკრედიტირებელი სიუჟეტები ჟურნალისტებზე ახალისებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მათი მისამართით.

2022 წელი გამოირჩეოდა იმით, რომ ხელისუფლების მხრიდან გაიზარდა ზეწოლა არა მარტო ე.წ. ოპოზიციურ მედიაზე, არამედ ისეთ გამოცემებზე, რომლებიც, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით, პოლარიზებულ მედიაგარემოშიც ახერხებენ მიუკერძოებლობის შენარჩუნებას. ამ გამოცემებში, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2021 წლის მედიაგარემოს შეფასებისას, შედიან ისეთი ონლაინგამოცემები, როგორიცაა: „ნეტგაზეთი“, „პუბლიკა“, „რადიო თავისუფლება“ და სხვ[66]. დისკუსიისას დადასტურდა, რომ 2022 წელს ხელისუფლებამ გააფართოვა აგრესიული რიტორიკის სამიზნე აუდიტორია. წინა წლებში დისკრედიტაციის სამიზნე იყვნენ მაუწყებლები და მკვიდრდებოდა აზრი, რომ „ისინი [ოპოზიციური ტელევიზიები] არ არიან მედია, არამედ არიან ნაცმოძრაობის გაგრძელება“. სხვა ტიპის [ონლაინ] მედიას ხელისუფლება „არ ერჩოდა“. ამ პროცესში ონლაინ მედია, რომელიც ფინანსურად დამოუკიდებელი იყო, ახერხებდა საკუთარი ნიშის შენარჩუნებას. 2022 წელს ეს დამოკიდებულებაც შეიცვალა.

[66] Vibrant Information Barometer, (2022), IREX, available at: https://www.irex.org/VIBE_2022_Georgia (last seen: 19.12.2022)

დისკუსიის მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონკრეტულ ჟურნალისტებს და მათ საქმიანობას მიუძღვნეს ბრიფინგები. ამის მიზანი, მათი განმარტებით, მედიისა და კონკრეტული ჟურნალისტების სტიგმატიზაცია და დისკრედიტაცია იყო. დისკუსიის მონაწილე იხსენებს, რომ მას მმართველი გუნდის წევრებმა საჯაროდ „ეფ-ეს-ბეს აგენტი“ (რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის აგენტი) უწოდეს. ამგვარი იარლიყები განსაკუთრებით დამთრგუნველად მოქმედებს დამწყებ ჟურნალისტებზე. აგრესიული რიტორიკა ყოველთვის კამერის წინ არ ისმის და საზოგადოებისთვის შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს. გამორთული კამერის (Off-camera) ეფექტი ვლინდება ხელისუფლების და კრიტიკული მედიის წარმომადგენლების კომუნიკაციისას. ანუ, ჟურნალისტების განმარტებით, ხელისუფლება მედიასთან თამაშის დამაბნეველ წესს ამკვიდრებს, როცა არასამუშაო ფორმატში მმართველი გუნდის წევრები „არააგრესიულები და მეგობრულები“ ხდებიან ჟურნალისტებთან, პროფესიული საქმიანობისას კი მათი დამოკიდებულება რადიკალურად იცვლება. „თბილისის მერმა ჩემზე თავდასხმის მერე, ტელეფონით მზრუნველი ტონით მომიკითხა და ერთ კვირაში, როცა ინტერვიუ ვთხოვე „ზონდერი“ მეძახა“, - იხსენებს „ფორმულას“ ჟურნალისტი.

მედიისადმი აგრესიას ავლენენ მთავრობის მიერ შექმნილი ორგანიზაციების (იგულისხმება ა(ა)იპ-ების) თანამშრომლები. ისინი აგრესიას გამოხატავენ ისეთ კითხვებზეც კი, როგორიცაა, მაგალითად, „რატომ იღებს საკრებულოს თანამშრომელი, რომლის ხელფასი 3500 ლარია, დამატებით სოციალურ შემწეობას?“ - ამბობს “ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი.

შეჯამებისთვის:

პოლიტიკოსების (განსაკუთრებით ხელისუფლების) და გავლენიანი ორგანიზაციების (მაგალითად, საქართველოს საპატრიარქოს), ასევე ანტიდასავლური ჯგუფების აგრესიულ რიტორიკას ჟურნალისტების მიმართ აქვს ეფექტი: საზოგადოებაში მცირდება მედიის მიმართ ნდობა. პროფესიულ წრეებში იზრდება შიშის ატმოსფერო და თვითცენზურა, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნის პროცესზე და ასუსტებს მედიის, როგორც ინსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობას.

3.8. მიკროფონი, როგორც აგრესიის ტრიგერი

სიტყვები საშიში ხდება მაშინ, როცა მათ
მაგივრად სიჩუმე ჩნდება.

ლინა კოსტენკო
უკრაინელი საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი

ხელისუფლების მიერ ჟურნალისტების მიმართ უწყვეტმა აგრესიულმა რიტორიკამ, დანაშაულის გამოუძიებლობამ და დაუსჯელობამ ხელი შეუწყო ჟურნალისტიკის პროფესიის დისკრედიტაციას. შედეგად, პოლარიზებული საზოგადოება წახალისებულია და არ ერიდება საჯარო სივრცეში ანტისოციალური ქცევების (ვერბალურ და ფიზიკურ თავდასხმებს) ღიად დემონსტრირებას იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ „მხარეს" წარმოადგენენ. თავად მედიის წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტობა საშიში პროფესიაა. მათი თქმით, საქართველოში ყოველდღიურად, ქუჩაში გამოსვლისას, ფიზიკური გადარჩენისთვისაც უნდა იბრძოლო, იმისდა მიუხედავად, რომელი „მხარისთვის" მისაღები მედიასაშუალების ლოგოა მიკროფონზე.

2021 წლის კვლევაში უკვე გამოკვეთილი იყო პოლიტიკური პოლარიზაციის დამატებითი ეფექტი - „გამოიყენე მედია ჟურნალისტის წინააღმდეგ", რომელიც თავად მედიასაშუალებებში პოლარიზაციას და ჟურნალისტებს შორის კი ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებას იწვევს"[67].

2022 წლის კვლევამ გამოკვეთა ამ მიდგომის ნეგატიური შედეგი: დისკრედიტაცია ყველა ჟურნალისტს შეეხო, განურჩევლად იმისა, თუ რომელი მედიასაშუალების ლოგოს ქვეშ საქმიანობს. წუხილს ამის შესახებ გამოხატავენ როგორც ე.წ. სახელისუფლებო ასევე, ე.წ. ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები. თბილისსა და რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს აქვთ მოლოდინი იმისა, რომ, როცა სამუშაოდ მიდიან, მათ, შესაძლოა, აგრესიულად დახვდნენ. აგრესიის მთავარი ტრიგერი - მიკროფონზე დახატული ამა თუ იმ ტელეკომპანიის ლოგოა. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი სახელისუფლებო მედიას წარმოადგენს, აგრესია მოდის ოპოზიციის მხარდამჭერებისგან, თუ ჟურნალისტი ოპოზიციური არხიდანაა, აგრესია მოდის ხელისუფლების მხარდამჭერებისგან.

[67] Gersamia, M. ., & Toradze, M.,(2022), Media Environment in Georgia during the Crisis, GEORGIAN SCIENTISTS, 4(4), 220–242. Available at: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25 (last seen: 14.12.2022)

მოსახლეობის მხრიდან აგრესია განსაკუთრებით ვლინდება აქციების გაშუქებისას. ჟურნალისტების მისამართით მათი რიტორიკა (როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის მხარდამჭერების მხრიდან) ერთმანეთის მსგავსია (მაგ., „მკვლელო“, „აქ რატომ მოეთრიე“, სხვადასხვა უცენზურო გამონათქვამი). არის შემთხვევები, როცა ჟურნალისტები (როგორც ე.წ. სახელისუფლებო ასევე ე.წ. ოპოზიციური არხების) იმ მოვლენების გაშუქებისას, სადაც მოსალოდნელია აგრესია ჟურნალისტების მიმართ, ერთმანეთში წინასწარ თანხმდებიან, იმუშაონ მიკროფონის ლოგოების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ყველა სატელევიზიო არხის ჟურნალისტი, რომელიც კვლევაში მონაწილეობდა (დაწყებული „მთავარი არხიდან“ დამთავრებული ტელეკომპანია „იმედით“), აღნიშნავს, რომ აგრესიას არა რომელიმე ჟურნალისტის, არამედ ლოგოს დანახვა იწვევს: „განწყობას ხალხი ავლენს არხის სარედაქციო პოლიტიკის მიხედვით. შეიძლება კამერა ჩართული არც მქონდეს, კითხვაც არ იცოდნენ ჯერ და ლოგო უკვე აგრესიას იწვევდეს“, - აღნიშნავს „იმედის“ ჟურნალისტი.

ამგვარი პოლარიზება, ჟურნალისტების აზრით, თავად ჟურნალისტების ბრალიცაა, რადგან არის შემთხვევები, როცა მედიის მხრიდანაც ხდება სხვა კოლეგების მიმართ ძალადობის წახალისება. აგრესიული მუხტი და ატმოსფერო გავრცელდა ყველაზე, განურჩევლად მიკროფონზე ასახული ლოგოსა. კვლევის ფარგლებში, ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც გამოიკვეთა სოლიდარობის შემთხვევები: „ველზე მუშაობისას, არის შემთხვევები, როცა ჩვენ ყველა ერთმანეთის სოლიდარულები ვართ. ყოფილა შემთხვევა, როცა აქციაზე მე „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა კოლეგიალურად დამიცვა. ზოგადად, ნაკლები სოლიდარობა ჩანს ცნობილი ჟურნალისტების მხრიდან, რომლებიც სტუდიაში მუშაობენ. ჩემი აზრით, იმისთვის, რომ ჟურნალისტები ვიყოთ დაცულები პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, ჩვენ თავად არ უნდა მოვუწოდოთ აგრესიისკენ. გავხდეთ სოლიდარულები. გამოვძებნოთ არა საერთო პოლიტიკური, არამედ საერთო პროფესიული ენა“, - აღნიშნავს „იმედის“ ჟურნალისტი.

მიკროფონი საფრთხესთან ასოცირდება თავად წყაროებშიც და აძლიერებს შიშს და თვითცენზურას. „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა გაიხსენა შემთხვევა, როცა პოლონეთის ელჩის თანხლებით ქუთაისში ჩავიდა და იქ სიუჟეტი მოამზადა, რის შემდეგაც მას დაურეკა ერთ-ერთმა წყარომ და „ჟურნალისტს ჯერ მადლობა გადაუხადა, შემდეგ ბოდიში მოუხადა და უთხრა, რომ სოციალურ ქსელებში სიუჟეტს ვერ გააზიარებდა, თუმცა (!) თუ „მთავარი არხის“ ლოგოს გარეშე გაუგზავნიდა ამ სიუჟეტს და ამოჭრიდა იმ ადგილებს, სადაც თავად ჟურნალისტი ჩანდა, სიუჟეტს გაავრცელებდა.

პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს შორის ურთიერთობის მიუღებელ პრაქტიკაზე საუბრისას, დისკუსიის მონაწილეები იხსენებენ გასული წლის შემთხვევას, როცა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა თეა წულუკიანმა, კრიტიკული კითხვის მოსმენის შემდეგ, რეგიონულ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა, შემდეგ ამ მიკროფონით ხელში სცენაზე ავიდა, აუდიტორიას მიმართა და ჟურნალისტი საჯაროდ დაამცირა[68]. ჟურნალისტების აზრით, შემაშფოთებელია, როცა ჟურნალისტის მისამართით მთავრობის მხრიდან ასეთი ქცევა ყოველდღიური რუტინის ნაწილი ხდება.

თუ 2021 წელს კრიზისულ სიტუაციებში „ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის მათ რედაქტორები ურჩევდნენ, დაემალათ რომ ჟურნალისტები არიან და მაიდენტიფიცირებელი ნიშნებიც არ გამოეჩინათ[69], 2022 წელს, კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას (მაგალითად, აქციებისას), ჟურნალისტები გადაღების წინ თავად თანხმდებიან, რომ მოხსნან მიკროფონებიდან ამა თუ იმ მედიასაშუალების მაიდენტიფიცირებელი ლოგოები, რომ თავი უფრო დაცულად იგრძნონ.

შეჯამებისთვის:

პოლარიზებულ საზოგადოებასა და მედიაგარემოში ჟურნალისტების დისკრედიტაცია შეეხო ყველას, განურჩევლად იმისა, თუ რომელი მედიასაშუალების ლოგოს ქვეშ საქმიანობს. თავად მიკროფონი იქცა აგრესიის ტრიგერად და ამაზე წუხილს გამოხატავენ როგორც ე.წ. სახელისუფლებო ასევე, ე.წ. ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები. ამ პროცესში გამოკვეთილად დიდია საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მქონე ორგანიზაციებისა და ხელისუფლების პასუხისმგებლობა და ვალდებულება - თავად დაიცვან მედია ძალადობისგან.

3.9.მედიის სიცოცხლისუნარიანობა: ფინანსური გამოწვევები

2022 წელს კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა, რამაც ნეგატიურად იმოქმედა მედიის სიცოცხლისუნარიანობაზე. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, ეს პრობლემებიც ხელისუფლების მხრიდან ხელოვნური და მიზანმიმართული ჩარევითაა გამოწვეული და მოიცავს ზეწოლას კერძო მედია-კომპანიებზე, რეკლამის განმათავსებლებზე, კრიტიკული მედიის მეპატრონეებსა და დამფუძნებლებ-

[68] სატელევიზიო არქივებიდან: კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მიერ ჟურნალისტისთვის მიკროფონის წართმევის კადრები, ხელმისაწვდომია: https://youtu.be/IHaENvjetPQ (ბოლო ნახვა: 20.12.2022).

[69] გერსამია მ., ტორაძე მ., (2021), მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები, მედიის და კომუნიკაციის საგანმანთლებლო კვლევითი ცენტრი, გვ. 38.

ზე. მონაწილეთა აზრით, ეს სიტყვის თავისუფლებასთან საბჭოთა მეთოდოლოგიით ბრძოლაა. „მე ვიცხოვრე საბჭოთა ეპოქაში და ვხედავ, როგორ ვუახლოვდებით იმ მეთოდებს, რაზეც იდგა საბჭოეთი. სისტემა თითქმის არ შეცვლილა“, - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი.

მედიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებაზე იმოქმედა კერძო ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებლის და დირექტორის ნიკა გვარამიას დაპატიმრებამ, დანარჩენი კრიტიკული არხების („ტვ პირველის“ და „ფორმულა ტვ“-ის) დამფუძნებლების მიმართ სამართლებრივმა დევნამ და მიმდინარე სასამართლო პროცესებმა. ფინანსურ გამოწვევებს დისკუსიის მონაწილეები უკავშირებენ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის მაგალითებს. ესენია:

1) ახალი რეგულაციები, რომლებმაც შეამცირა ისედაც მწირი სარეკლამო ბაზრიდან თანხების შემოდინება;

2) ტელეკომპანია „მთავარი ახრის“ დამფუძნებლის და გენერალური დირექტორის დაპატიმრება პოლიტიკური მოტივებით;

3) ტელეკომპანია „ტვ პირველის“დამფუძნებლის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავა;

4) ტელეკომპანია „ფორმულას“ საკონტროლო წილის მფლობელის წინააღმდეგ წარმოებული გამოძიება;

მედიის ფინანსური მდგრადობისთვის აუცილებელია, რომ შემოსავლები იყოს გამჭვირვალე და არაპოლიტიკური. ამ კუთხით, საერთაშორისო დონორების ჩართულობა მნიშვნელოვანია, თუმცა დონორები გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ კერძო მედიაორგანიზაციების (განსაკუთრებით ნაციონალური მაუწყებლობების) დაფინანსებასთან დაკავშირებით იმიტომ, რომ არ არსებობს მედიის მფლობელების პოლიტიკური ინტერესებისადმი ნდობა და გამჭვირვალობა. კრიტიკული ტელევიზიის განვითარებისთვის გრანტების მიღება ძნელია, რადგან ხდება მათი, როგორც პარტიული ტელევიზიებად სტიგმატიზაცია.

ჟურნალისტებმა შეაფასეს, როგორი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ამ კუთხით და რა ტიპის მხარდაჭერა იყო და/ან იქნებოდა ეფექტური მათი მხრიდან. დისკუსიის მონაწილეთა აზრით, დონორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მედიის ამჟამინდელი გამოწვევები არასრულყო-

ფილად იციან და ვერ ხედავენ, რომ რუსეთის ჰიბრიდული ომის მთავარი სამიზნე მედიაა. ჟურნალისტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ნაციონალური მაუწყებლების მხარდაჭერას და საერთაშორისო პოლიტიკურ ანგარიშებში იმ ტონის გაჩენას, რომელიც დღევანდელ სიტუაციას რეალურად ასახავს.

დისკუსიისას აღინიშნა, რომ დონორების დაფინანსება ძირითადად მიმართულია პატარა კომპანიებისა და რეგიონული მედიისკენ, რაც, თბილისში დასაქმებული მედიის წარმომადგენლების აზრით, არარაციონალურია, რადგან რეგიონულ მედიის დიდ ნაწილს ბმა აქვს ადგილობრივ ბიუჯეტთან და ადგილობრივ ბიზნესთან, რაც მოქმედებს მათი პროდუქტის ხარისხზეც.

იმას, რომ სახელმწიფო შესყიდვების გზით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და რეგიონულ მედიას შორის ბმა მართლაც არსებობს, ადასტურებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ წინა წლებში ჩატარებული კვლევები. 2020 წელს, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად, 15-მა ადგილობრივმა ტელევიზიამ ჯამში 686 ათას ლარზე მეტი მიიღო. „ცალკეული მაუწყებლებისათვის სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებულ თანხებს მნიშვნელოვანი წილი უკავია საერთო შემოსავალში - უმეტეს შემთხვევაში 20%-ზე მეტია, ზოგჯერ კი 50%-საც აჭარბებს“. კვლევაში აღნიშნულია, რომ „შესყიდვის საგანი ძირითადად სოციალური რეკლამა, სარეკლამო რგოლების დამზადება-გაშვება და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებაა. თუმცა, ზოგიერთი ხელშეკრულება საინფორმაციო გამოშვებაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაშვებას, მუნიციპალიტეტის პრესცენტრის მიერ მომზადებული მასალების ეთერში განთავსებას და გადაცემების მომზადებას გულისხმობს“[70].

მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა ტიპის ხარჯებია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიისთვის. პირველ რიგში ესაა სახელფასო ვალდებულებები, საოფისე ხარჯი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნა. ასევე, მნიშვნელოვანია ხარისხიან ფოტოპროდუქციაზე წვდომა და ტექნიკური აღჭურვილობის განახლება. „დონორების ინტერესი ხშირად არის ტრენინგები და მედიასტანდარტების გაუმჯობესების მცდელობა სხვადასხვა გზით, თუმცა, თუ თანამშრომელი არ გვეყოლება და ოფისი არ გვექნება, ვერანაირ პროდუქტს ვერ შევქმნით“, - აღნიშნავს „ნეტგაზეთის/ბათუმელების“ წარმომადგენელი.

რეგიონული მედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დონორები უმეტეს შემთხვევაში აფინანსებენ ტრენინგებს და არა მედიაპროდუქტის შექმნას. მე-

[70] ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სატელევიზიო შესყიდვების მიმოხილვა, (2022), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/adgilobrivi-municipalitetebis-satelevizio-shesqidvebis-mimoxilva (ბოლო ნახვა: 17.12.2022)

დიაორგანიზაციებს უწევთ მოერგონ დონორების მოთხოვნებსა და პრიორიტეტებს (მაგალითად, იმუშაონ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ჩაატარონ ტრენინგები და სხვადასხვა აქტივობები, რაც დროს აღარ ტოვებს ჟურნალისტური საქმიანობისთვის). „მედიის მთავარი გამოწვევა სწორედ კონტენტის შექმნა, ამბის გაშუქება და ჟურნალისტებისა და ოპერატორების ანაზღაურებაა“ - ამბობს ტელეკომპანია „ბორჯომის“ წარმომადგენელი. „ძალიან მნიშვნელოვანია საგამოძიებო ჟურნალისტიკის დაფინანსება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დონორებმა საფუძვლიანად შეისწავლონ, თუ ვის აფინანსებენ“ - ამბობს „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელი.

რაც შეეხება მოქმედი (განსაკუთრებით დამწყები) ჟურნალისტებისთვის ტრენინგებისა და საგანმანათლებლო მოდულების შექმნას, დასახელდა ის მიმართულებები, სადაც სასურველია გადამზადება:

- რელიგიის საკითხების გაშუქება
- სოლიდარობის ჟურნალისტიკა: მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირების, ლგბტქ+ ჯგუფის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების და სხვ.) გაშუქება;
- კრიმინალური და სასამართლოს ამბების გაშუქება;
- მედიასამართალი და ადამიანის უფლებების გაშუქება;
- ქალთა უფლებების გაშუქება (მათ შორის, ოჯახური ძალადობის, დისკრიმინაცია-შევიწროების, ფემიციდის გაშუქება);
- არჩევნებისთვის მზადების პროცესის გაშუქება (პარტიის საქმიანობის შესწავლა, შიდაპარტიული დემოკრატიის გაშუქება, საარჩევნო პროგრამების გაშუქება და სხვ.)
- უსაფრთხოება: როგორ უნდა დაიცვას ჟურნალისტმა თავი თავდასხმისას?
- დარგობრივი ჟურნალისტიკა: როგორ გავაშუქოთ ევროპული ინსტიტუციების საქმიანობა, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი, საერთაშორისო ამბები.

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ყველაზე სწორი გზა ფინანსური მდგრადობისთვის არის, როცა მედიას თავად აუდიტორია აფინანსებს. ფინანსურ სოცოცხლისურნარიანობაზე საუბრისას, რეგიონული მედიის „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძირითადად სწორედ გამომწერების მხრიდან შემოსული ფინანსური წყაროებით არსებობენ. ბოლო პერიოდში, საერთო სოციალური ფონის გაუარესების და ფასების ზრდის გამო, გამომწერები შემცირდა. ამაზე იმოქმედა ინტერნეტ-მედიის პოპულარობა-

მაც. „ჩემი ხარაგაულის“ წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ მედიაში ინ-ფორმაციის განთავსებაზე რეგიონებში ხელისუფლებამ საკუთარი ა(ა)იპ-ები შექმნეს, რომლებიც ათავსებენ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ადგი-ლობრივ თვითმმართველობას და მერს უნდა.

ფინანსური მდგრადობის კუთხით, მსხვილი საინფორმაციო სააგენტოები (როგორიცაა „ინტერპრესნიუსი“) უფრო სიცოცხლისუნარიანია და რეკლამე-ბით ინარჩუნებს სტაბილურობას. განსხვავებული მდგომარეობაა სამაუწყე-ბლო კომპანიებში. ფინანსური კრიზისი ართულებს ნაციონალური მაუწყე-ბლების მიერ რეგიონული ამბების მომზადებას და ასუსტებს მაყურებელთან კავშირს. 2022 წელს არაერთმა მაუწყებელმა გააკეთა საჯარო განცხადება და/ან მიმართა მაყურებელს ფინანსური დახმარებისკენ, ფინანსური პრობ-ლემების გამო, რომელიც გამოიწვია გაუარესებულმა მედიაგარემომ. ასეთი იყო ტელეკომპანია “კავკასია”[71], ტელეკომპანია “მთავარი არხი[72]”, ასევე ისეთ მაუწყებლობას (რეგიონული მედია “ტვ 25”[73]) რომლებიც 29 წელია არსებობს.

მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის გამოწვევად რჩება კადრების გადინე-ბა, ე.წ. ბრეინდრეინი როგორც ნაციონალურ, ასევე რეგიონულ მედიაში. ფინანსური პრობლემების გამო, ტელევიზიები ვერ გასცემენ ხელფასებს და რეგიონულ მივლინებებში ვერ უშვებენ კორესპონდენტებს. თანამშრომლე-ბის გადინების გამო, უარესდება მედიაპროდუქტის ხარისხი. აღინიშნა ისიც, რომ საქართველოს მედიაბაზარზე, რომელიმე მედიასაშუალებაში დიდი ფულის ინტერვენცია იწვევს პროფესიულ მიგრაციას და ასევე, აზიანებს მე-დიაგარემოს.

შეჯამებისთვის:

ქართული მედიის სიცოცხლისუნარიანობა საფრთხის ქვეშ არის იმ ფინან-სური წნეხის გამო, რომელიც ხელისუფლებიდან მოდის. მეტი ფინანსური დამოუკიდებლობისთვის, მნიშვნელოვანია მედიის და პარტიების ჯანსაღი სეპარაციის პროცესის ხელშეწყობა და „სიმბიოზური ურთიერთობის“ დას-რულება. ეს მოიცავს ფინანსების მეტი გამჭვირვალობისა და აუდიტორი-ისადმი ანგარიშვალდებულების გაზრდის სხვადასხვა მექანიზმის ამუშავებას/ დანერგვას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორების ჩართულობის გაზრდა.

[71] ტელეკომპანია „კავკასია“ მხარდაჭერისთვის მოგმართავთ, (2022), ხელმისაწვდომია :https://kavkasiatv.ge/2022/07/14/%e1%83%97%e1%83%98%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98/ (ბოლო ნახვა: 19.12.2022)

[72] ტელეკომპანიის პირველივე გვერდზე არის ვიდეოკლიპი “თქვენ შეგიძლიათ გადაარჩინოთ ‘მთავარი არხი’, სადაც განთავსებულია საბანკო ანგარიშები დონაციისთვის, ხელმისაწვდომია: https://mtavari.tv/ (ბოლო ნახვა: 19.12.2022)

[73] TV 25 აცხადებს, რომ დახურვის საფრთხის წინაშეა - მიზეზი ფინანსური კრიზისია, (07.09.2022), ბათუმელები, ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/434174/ (ბოლო ნახვა: 19.12.2022)

3.10 სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და მედიაგარემოს მედეგობა

ეთიკური რეპორტირების მთავარი პრინციპი სოლიდარობის ფართოდ გააზრებას გულისხმობს.

ანიტა ვარმა

სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონცეფციის ავტორი

მედიის მხარდამჭერი გარემოს გაძლიერებისთვის დასახელდა სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია და ამ პროცესში სხვადასხვა ჯგუფების ინკლუზიურობის გაზრდა. საკითხი მნიშვნელოვანია სამი მიმართულებით:

1) სოლიდარობის ჟურნალისტიკა – მედიის მხარდაჭერა საზოგადოების მიმართ

სოლიდარობის ჟურნალისტიკის კონტექსტში მნიშვნელოვანია ადამიანების ცხოვრების და მათი პრობლემების მეტად გაშუქება. იმისთვის, რომ გაიზარდოს ჟურნალისტების მიმართ სოლიდარობა, აუცილებელია მოსახლეობისთვის აქტუალური თემების მუდმივად წინ წამოწევა. ასევე, მნიშვნელოვანია მაყურებელთან უშუალო კონტაქტის დამყარება, მათ შორის კამერის გარეშეც, როცა ისინი უფრო კომფორტულად გაესაუბრებიან ჟურნალისტს. „საზოგადოება და მედია ერთ ნავში ვართ. ჩვენ მეტად უნდა გავაშუქოთ მათი პრობლემები“, - ამბობს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი.

2) ურთიერთსოლიდარობა მედიაორგანიზაციებს შორის

პოლარიზებულ მედიაორგანიზაციებში ჟურნალისტები ვეღარ და აღარ გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას და ეს მათ კოლეგიალურ, პირად ურთიერთობებზეც აისახა. შედეგად, პრობლემების არსებობისას,

ურთიერთსოლიდარობა ჩანს მეტწილად კრიტიკული მედიის წარმომადგენლებს შორის.

სხვადასხვა მედიას შორის სოლიდარობის ელემენტები იკვეთება პარლამენტში მუშაობისას. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენელი იხსენებს, რომ კოლეგები სახელისუფლებო არხიდან მას კონფიდენციალურად ატყობინებენ, როცა პარლამენტის წევრი მმართველი გუნდიდან კომენტარის გაკეთებას ჩვენგან მალულად გეგმავს. „კოლეგები გვაფრთხილებენ, რომ არ გავთქვათ ისინი, თორემ მათ დასჯიან“, - ამბობს „მთავარის“ ჟურნალისტი.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს შორის არის პროფესიული კონკურენცია, განსაკუთრებით მაუწყებლობებში, პარალელურად, არსებობს მხარდამჭერი გარემო, როცა საქმე პირად/ინდივიდუალურ მხარდაჭერას ეხება. ჟურნალისტების ნაწილი თვლის, რომ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის რესურსი არსებობს და შესაძლებელია თანამედროვე, პროფესიული გაერთიანების შექმნა. სოლიდარობის დემონსტრირების აქტუალიზაციას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ფრაგმენტულად, ველზე მუშაობისას, ჟურნალისტები იძულებულნი არიან ერთმანეთს გვერდში დაუდგნენ.

არის ამის საპირისპირო რეალობა, რომელიც აზიანებს მხარდამჭერ გარემოს: „საზოგადოება უყურებს მმართველი გუნდის აგრესიულ დამოკიდებულებას მედიის მიმართ და იქვე ხედავს ჟურნალისტებს, რომლებიც არ იცავენ კოლეგას. სწორედ ესაა შესაცვლელი, ამის უფლება არ უნდა მივცეთ. ხმაურის ატეხა ზრდის სოლიდარობას, ამიტომ არ უნდა გავჩუმდეთ და სადაც სახელმწიფო არ გვიცავს, თავად მედიაორგანიზაციებმა და ჟურნალისტებმა უნდა დავიცვათ ერთმანეთი“, - ამბობს „აი,ფაქტის“ წარმომადგენელი. „სამწუხაროდ, ჟურნალისტებს ისევ ჟურნალისტებმა გავუფუჭეთ სახელი და საზოგადოების ნდობაც ჩვენი დასაბრუნებელია. სანამ ხალხთან ვისაუბრებთ პრობლემებზე, ჯერ ერთმანეთთან ლაპარაკი უნდა შევძლოთ“, - ამბობს „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი.

დისკუსიისას აღინიშნა, რომ სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია უნდა დაიწყოს იმით, რომ, ნებისმიერი ჟურნალისტის მისამართით აგრესიის გამოხატვისას, ყველა ჟურნალისტმა, კოლეგის სოლიდარობის ნიშნად დემონსტრაციულად უნდა დაიცვას კოლეგა (მაგ: ზურგი უნდა შეაქციონ რესპონდენტს).

3. სოლიდარობა მედიის მიმართ საზოგადოების მხრიდან

ჟურნალისტების აზრით, რთულია საზოგადოებას მედიის მიმართ სოლიდარობა მოსთხოვო მაშინ, როცა ეს აგრესია მთავრობის რიტორიკითაა წახალისებული. არიან ჯგუფები (პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, გავლენიანი ჯგუფების სახით), რომლებიც მონაწილეობენ ჟურნალისტების მიმართ პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულების შექმნაში. მნიშვნელოვანია მათი მხრიდან დროული რეაგირება ჟურნალისტების და მედიის შევიწროების ფაქტებზე. დისკუსიის მონაწილეების აზრით, ამ კუთხით აუცილებელია მხარდაჭერის მეტი სისტემატიზაცია. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები კი მუდმივად უნდა ახდენდნენ მედიის მხარდამჭერი თემებისა და პრობლემების აქტუალიზაციას იმ პირობებში, როცა ხდება მთავრობის მხრიდან მედიაზე თავდასხმები.

დისკუსიაზე აღინიშნა, რომ ოპოზიციაც თავს იკავებს საპატრიარქოს ღია კრიტიკისგან მაშინ, როცა მათი მხრიდან ხდება ღია თავდასხმა მედიაზე. ეს აჩენს განცდას, რომ პოლიტიკოსებისთვის საპატრიარქო და მათი მართული ჯგუფები ანგარიშგასაწევი ძალაა. მედიისადმი ორივე მხარის პოლიტიკოსების დამოკიდებულება კვლევის მონაწილეების მხრიდან კრიტიკას იმსახურებს. „ოპოზიცია არ არის საბოლოოდ შენი მეგობარი, გიყენებს. ხელისუფლებას კი არ სჭირდება მედიის ისეთი გუნდი, რომელიც არის გამოცდილი და ხვდება ცენზურის და თვითცენზურის ეფექტს“, - ამბობს „ფორმულას“ ჟურნალისტი.

შეჯამებისთვის:

წინა წელთა შედარებით, ჟურნალისტებისთვის უფრო აქტუალური გახდა ურთიერთსოლიდარობაზე საუბარი და ამ სიტუაციიდან გამოსავლის ძიების არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური მედეგობის გზებზე მსჯელობა. ამ შემთხვევაში, სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაცია, შესაძლოა, პროფესიული სტანდარტების გადარჩენის და მეტი დაცულობის გარანტიაც იყოს. მნიშვნელოვანია სოლიდარობის არა მხოლოდ ფრაგმენტული, არამედ ყოველდღიურ რუტინაში გამყარება. სწორედ ამიტომ, ადამიანის უფლებების (განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფების) დაცვა - სოლიდარობის ჟურნალისტიკის ქვაკუთხედია. „სოლიდარობის მატრიცას“ აძლიერებს სხვადასხვა მხარის ინკლუზია და „ხმაურის ატეხვა“. მედიისადმი ნდობის აღდგენაც შესაძლებელია სწორედ ადამიანის უფლებების დაცვით და მათი ხმის გაძლირებით მედიაში.

დასკვნა

2022 წლის თებერვლის თვიდან მედიის დღის წესრიგი მეტწილად მოიცვა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ომმა, რომელიც „ლაკმუსის ქაღალდი“ აღმოჩნდა რუსული დეზინფორმაციის საფრთხეების გააზრებისთვის. წინა წელთან შედარებით, ჟურნალისტებმაც უფრო მკაფიოდ დაინახეს ქართულ მედიაში „რუსული მოდელის“ დამკვიდრებასა და გავლენების კონტურები.

მედიაში გამოწვევად რჩება პოლარიზაცია და შიშის ატმოსფერო, რომელიც ზრდის თვითცენზურას, აზიანებს მედიის სანდოობას და სიცოცხლისუნარიანობას. საქართველოში გავლენიანი ორგანიზაციების (როგორიცაა საქართველოს საპატრიარქო) და ხელისუფლების მხრიდან ჟურნალისტის პროფესიის მიზანმიმართული დისკრედიტაციის და აგრესიის წახალისების ფონზე, გამოწვევად რჩება ჩადენილი დანაშაულების დაუსჯელობა და გაჭიანურებული გამოძიებები. ხელისუფლების ანგარიშვალდებულება დაბალია როგორც მედიის მიმართ, ასევე იმ საგამოძიებო მასალებზე რეაგირების კუთხით, რომელიც სავარაუდო დანაშაულს ეხება. ბოლომდე გამოუძიებელ საქმეებს შორის რჩება 2021 წლის 5 ივლისის ტრაგედია, უკანონო მოსმენები და სხვ.

მედიაგარემო საგრძნობლად დაამძიმა მთავარი კრიტიკული მედიის დირექტორის ნიკა გვარამიას დაჭერამ პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებით (როგორც ამას ადასტურებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები). წნეხი გაიზარდა სხვა კრიტიკულ მედიაზე, მათ შორის მათზე, რომლებსაც პარტიული აფილირება არასდროს ჰქონდათ.

მედიაგარემო გააუარესა განხორციელებულმა და დაგეგმილმა ცვლილებებმა მაუწყებლობის შესახებ კანონში, რაც უარყოფითად აისახა კრიტიკული მედიის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე. დაფიქსირდა პროფესიიდან ჟურნალისტებისა და ოპერატორების გადინება, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ფინანსური არასტაბილურობაა.

მედიისთვის კიდევ უფრო გართულდა საჯარო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა და პოლიტიკოსების ინტერვიუირება. პოლიტიკური პოლარიზება და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გავლენას ახდენს თავად მედიის კონტენტის ხარისხზე და, შესაბამისად, მედიის სანდოობაზეც, რადგან მაყურებელი არასრულყოფილადაა ინფორმირებული პოლიტიკური გარემოს და პროცესების შესახებ. ჟურნალისტების ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან შეზღუდვა სისტემურია და ის განსაკუთრებით მოქმედებს, როცა საქმე ეხება მმართველი გუნდისთვის სენსიტიურ თემებსა და საგამოძიებო მასალებს.

კვლავ პრობლემად რჩება ჟურნალისტების უკანონო თვალთვალი, რომელიც აძლიერებს შიშს და თვითცენზურას. ჟურნალისტებმა იციან, რომ მათი და პროდიუსერების კომუნიკაცია, მათი წყაროებთან კომუნიკაცია, დიდი ალბათობით, ისმინება.

გამოწვევად რჩება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ხელისუფლების აგრესიული რიტორიკა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე.

პოლარიზებულ გარემოში და მედიის სანდოობის კლების ფონზე, მედიის წარმომადგენლებზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან ძალადობის ტრიგერი არის ის, თუ რომელ მედიას წარმოადგენს ჟურნალისტი. ყველა სატელევიზიო არხის წარმომადგენელი, რომელიც კვლევაში მონაწილეობდა, აღნიშნავს, რომ აგრესიას არა რომელიმე ჟურნალისტის, არამედ უკვე მიკროფონის ლოგოს დანახვა იწვევს. იმისდა მიუხედავად, თუ რომელ „მხარეს“ წარმოადგენენ ჟურნალისტები, ისინი ფიზიკური და ვერბალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. ამ პროცესში ფრაგმენტულად ფიქსირდება მედიის წარმომადგენლებს შორის სოლიდარობა, როგორც თავდაცვის მექანიზმი. მხარდამჭერი გარემოს გაძლიერებისთვის იკვეთება სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის შესაძლებლობები და ამ პროცესში სხვადასხვა ჯგუფების ინკლუზიურობის გაზრდის აუცილებლობა.

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, გაიზარდა რუსეთიდან მართული დეზინფორმაციის ნაკადი, რომლის ერთ-ერთი სამიზნე პროდასავლური მედია, სამოქალაქო სექტორი და ოპოზიციაა. უფრო ფართო სურათში, საქართველოსა და უკრაინაში დემოკრატიის გამარჯვება უკვე

იქნება იმპერიალისტური აზროვნებისა და რუსული ოცნების დამარცხების მანიშნებელი.

გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის უკრაინაში დამარცხების შემთხვევაშიც კი, საქართველოსთვის არსებული საფრთხეები კვლავ გამოწვევად დარჩება, რადგან რუსეთის დამარცხება არ გამოიწვევს ამ ქვეყნის მყისიერ დემოკრატიზაციას. იმპერიული მისწრაფებები გარკვეული დროის მანძილზე კვლავ გამოვლინდება საინფორმაციო ომში, რომლის სამიზნედ საქართველო ისევ დარჩება. ამ კუთხით, საქართველოსთვის უსაფრთხოების მთავარი გარანტიები ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებით, ევროპასთან სიახლოვით გაჩნდება. საქართველოს გამოწვევები ექნება ოლიგარქიის დასრულების შემდეგაც და საჭირო იქნება მანკიერი სისტემის ევოლუცია. ამ საბჭოთა მენტალიტეტით შექმნილ სისტემას კი საკუთარი საცეცები აქვს მედიაში. მედიის დემოკრატიზაცია და მედეგობის გაძლიერება ამ პროცესში არსებითია. მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეასრულონ არა მარტო „მოდარაჯე ძაღლის“ (watchdog) ფუნქცია, არამედ თავად ჩაერთონ რეფორმების განხორციელებაში, რასაც კონსოლიდირებული დემოკრატიის განვითარებაში დამატებითი ღირებულება ექნება. ამ კუთხით, მნიშვნელოვანი იქნება თავად სამოქალაქო სექტორის ინკლუზიურობის გაზრდა, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის სიმბიოზური კავშირის გაწყვეტა და მედიის ნდობის აღდგენა.

ბოლო წლებში შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულებაც მედიის მიმართ, რაც აისახება იმაში, რომ შემცირებულია სანდოობა და გაზრდილია აგრესია ჟურნალისტის მიმართ. ამას ყველაფერს ხელს უწყობს ნიჰილიზმი, პოლარიზაცია, სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები. დემოკრატიის მედეგობისთვის სწორედ თავისუფალი მედიის როლი არის მთავარი რესურსი და ის გადის საკვანძო სიტყვაზე, რომელიც ამასთან არის მთავარი მიმართულება მედიაგარემოს გაუმჯობესებისთვის. ესაა - ნდობის აღდგენა.

რეკომენდაციები

მედიაორგანიზაციებისთვის:

- ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ბოლომდე გამოძიების, დაუსჯელობის დასრულების სისტემატური მოთხოვნა;

- მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა: მაგალითად, პროფესიული საქმიანობისას, კოლეგების მიმართ ურთიერთსოლიდარობის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის წახალისება;

- მედიისა და პოლიტიკური პარტიების „სიმბიოზური“ ურთიერთობის დასრულება, მედიის ფინანსური მდგრადობისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის გაძლიერების მიზნით;

- საჯარო პირებისა და უწყებებისთვის საზოგადოების წინაშე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მუდმივი შეხსენება, მათ შორის, პროფესიული საქმიანობისას საჯარო მნიშვნელობის მქონე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა და/ან უარის შემთხვევაში;

- მედიის მიმართ ნდობის გაზრდისთვის: მოსახლეობის პრობლემების გაშუქებაზე ფოკუსირება და პროფესიული საქმიანობისას პოლიტიკურ პარტიებთან სეპარაციის ხაზგასმა;

- თვითცენზურის შესამცირებლად, პოლიტიკოსებთან არაფორმალური ურთიერთობების შეზღუდვა და საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკის გაძლიერება;

- საზოგადოების მხრიდან სანდოობის გასაზრდელად, სოლიდარობის ჟურნალისტიკის ყოველდღიურ პრაქტიკაში დამკვიდრება: ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მოწყვლადი ჯგუფების (რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, ლგბტქ+ თემის, ბავშვთა და ქალთა, შშმ პირების შესახებ) მხარდამჭერი მასალების მომზადება; მოსახლეობის პრობლემების თემატური გაშუქება; მოსახლეობასთან დაახლოება - ჩართული კამერის

გარეშე შეხვედრების ორგანიზება და აქტუალურ თემებზე, სხვადასხვა მხარეების ჩართულობით, დისკუსიის ორგანიზება;

- ჟურნალისტების მედეგობის გაზრდისა და თვითცენზურის შემცირებისთვის, ნიუსრუმებში სანდო გარემოს შექმნისა კოლექტიური სოლიდარობის ჩვენების პრაქტიკის დამკვიდრება;

- სოციალურ ქსელებში მოდერაციის გაძლიერება: ჟურნალისტების მისამართით სიძულვილის ენის შემცველი კომენტარების, ინტერნეტ-ტროლებისა და ბოტების აქტივობებისგან დაცვა;

- რუსული პროპაგანდის ეფექტის შესუსტებისთვის საზოგადოების ინფორმირებულობისა და მედეგობის გაძლიერება იმ თემების პროაქტიულად (მაგ: ევროინტეგრაცია, ევროპის ისტორია, ადამიანის უფლებები და სხვ.) გაშუქებით, რომლებზეც საზოგადოებას არასაკმარისი ცოდნა აქვს;

- კრიზისულ სიტუაციებსა და მედიაზე გაძლიერებული წნეხის პირობებში, დამატებითი ძალისხმევით, პროფესიული სტანდარტების დაცვა;

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის წახალისება;

არასამთავრობო სექტორისა და დონორი ორგანიზაციებისთვის:

- ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ბოლომდე გამოძიების, დაუსჯელობის დასრულების სისტემატური მოთხოვნა;

- მედიის დემოკრატიზაციისა და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობისთვის, მსხვილი მედიაკომპანიების დაფინანსების ჯანსაღი მოდელის დამკვიდრებაზე მსჯელობის დაწყება. მათ შორის, ჩართულ მხარეებთან, პოლიტიკურ პარტიებთან სეპარაციის მოდელებზე დისკუსიის დაწყება;

- დარგობრივი ჟურნალისტიკის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს: ადამიანის უფლებების სისტემატურ გაშუქებას; სოლიდარობის ჟურნალისტიკას, კერძოდ, მოწყვლადი ჯგუფების, ოჯახური ძალადობისა და ფემიციდის, რელიგიის საკითხების გაშუქებას; ასევე, ევროპის ისტორიისა და ევროინტეგრაციის გაშუქების

გაუმჯობესებას, სასამართლო რეპორტირებას;

- რუსული პროპაგანდის ეფექტის შესუსტებისა და ჟურნალისტების კომპეტენციების გაძლიერებისთვის, იმ თემებზე პროაქტიულად (მაგ: ევროინტეგრაცია, ევროპის ისტორია, მოწყვლადი ჯგუფების/ უმცირესობების უფლებები და სხვ.) მუშაობის წახალისება (მათ შორის საგანმანათლებლო მოდულების შექმნისა და კვლევების წახალისების კუთხით), რომლის სამიზნეც არის რუსული დეზინფორმაცია და ამით, საზოგადოების მედეგობის, ინფორმირებულობის გაძლიერება.

- მედიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების მონიტორინგის გაძლიერება;

- მედიის მიმართ და მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობის ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა (მაგ: პროფესიული გაერთიანებების დაფუძნების შესახებ მსჯელობებისა და შეხვედრების ორგანიზება, სოლიდარობის გაძლიერებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერა);

- მედიის (განსაკუთრებით, მეინსტრიმული სამაუწყებლო ორგანიზაციებისა და ონლაინ მედიის) სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი კომპონენტების მხარდაჭერა. მაგალითად: მედიაკონტენტის შექმნისა და სახელფასო ვალდებულებების, ტექნიკური აღჭურვილობის განახლების კუთხით მხარდაჭერა;

- საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულების გაძლიერებისა და ამ კუთხით, მედიაკონტენტის შექმნის მხარდაჭერა;

- პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების გადამზადება მედიასთან ურთიერთობის კუთხით; მედიისა და პოლიტიკოსების ინსტიტუციურ ფორმატში თანამშრომლობისთვის აუცილებელი პლატფორმის შექმნა და ერთობლივი დისკუსიების ორგანიზება;

- ჟურნალისტების გადამზადება არჩევნებამდე (და არჩევნების შემდეგ) მიმდინარე შიდა-პარტიული პროცესებისა და აქტუალური თემების (შიდაპარტიული დემოკრატია, პროგრამების და კანდიდატთა ფორმირება და სხვ.) გასაშუქებლად;

- საზოგადოების ცნობიერების გაზრდა თავისუფალი, პლურალისტური და მრავალფეროვანი მედიის შესახებ და საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ სოლიდარობის წახალისება;

- მედიაომბუდსმენის, როგორც მხარდამჭერი ინსტიტუციის, ჩამოყალიბების პროცესზე დისკუსიის დაწყება.

პოლიტიკური ორგანიზაციები:

- ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების ბოლომდე გამოძიების, დაუსჯელობის დასრულების სისტემატური მოთხოვნა სხვადასხვა პლატფორმიდან;

- მედიის წარმომადგენლებთან ფორმალური, საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკის დამკვიდრება;

- მედიაში დასაქმებულებისთვის პარტიული იარლიყების მიკუთვნებისგან, აგრესიული რიტორიკისგან და სიძულვილის ენისგან თავის შეკავება;

- პოლარიზაციის დასრულებისთვის, მედიაორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ დებატებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობის მიღება;

სახელისუფლებო უწყებებისთვის:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მხარის (მათ შორის, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის) ინკლუზიურობის გაზრდა;

- პოლარიზაციის დასრულებისთვის: კრიტიკულად განწყობილ მედიასა და გადაცემებში, განსაკუთრებით, დებატებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობა;

- ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და დაუსჯელობის დასრულება (მათ შორის, მედიის წარმომადგენლების უკანონო თვალთვალის საქმეების ბოლომდე და მიუკერძოებლად გამოძიება);

- მედიის მფლობელების მიმართ წარმოებული დევნის შეწყვეტა და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების გადახედვა;

- ჟურნალისტების მიმართ ძალადობის წამახალისებელი რიტორიკის შეწყვეტა და სიძულვილის ენის წახალისების დასრულება;

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ხელოვნური ბარიერების მოხსნა;

აკადემიური წრეებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის:

- სასწავლო მოდულებისა და ტრენინგების ორგანიზება სტუდენტებისა და მედიაში დასაქმებულთათვის იმ თემებზე, რომლებიც რუსული დეზინფორმაციის სამიზნეა (მაგ: ადამიანის უფლებები, ევროკავშირის ინსტიტუციები, ევროპის ისტორია, რუსული პროპაგანდა და სხვ.);

- სოლიდარობის ჟურნალისტიკის გაძლიერება (ადამიანის უფლებების / მოწყვლადი ჯგუფების გაშუქება); სასამართლო რეპორტირების სწავლების გაძლიერება;

- ჟურნალისტის პროფესიისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა;

- ინტერდისციპლინური (მაგალითად., ჟურნალისტიკამცოდნეობის, მედიაფსიქოლოგია, სამართალმცოდნეობა, პოლიტიკის მეცნიერებები) მოდულებისა და კვლევების ხელშეწყობა.

ბიბლიოგრაფია

Amnesty International (2022), Georgia: Sentencing of pro-opposition media owner Nika Gvaramia a political motivated silencing of dissenting voice, available at: https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia-sentencing-of-pro-opposition-media-owner-nika-gvaramia-a-political-motivated-silencing-of-s-dissenting-voice/ (last seen: 20.12.2022).

Chivvis Ch., (2017), *Understanding Russian "Hybrid Warfare"And What Can Be Done About it, RAND Corporation*, USA, p. 3; available at: https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf. (last seen: 13.12.2022)

Dosenko, Anzhelika and Iuksel, Gaiana and Sydorenko, Nataliia and Sytnyk, Oleksii and Dubetska, Oksana (2022), *Crimean Citizen Journalism: Genesis and Trends in Communication Network,* International Journal of Computer Science and Network Security (2). pp. 63-74. ISSN 1738-7906

Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COM(2022) 405 final, (17.06. 2022) Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, available at: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf (last seen: 12.12.2022)

Geissler D., Bär D., et al, (2022), *Russian propaganda on social media during the 2022: Invasion of Ukraine,* Cornell University, p. 2; online archive available at: https://arxiv.org/pdf/2211.04154.pdf (last seen: 17.12.2022)

Georgia: TV channel director Nika Gvaramia sentenced to prison (2022), International Press Institute, Available at: https://ipi.media/georgia-tv-channel-director-nika-gvaramia-sentenced-to-prison/ (last seen: 19.12.2022)

Georgian pro-opposition journalist Nika Gvaramia sentenced to 3.5 years in prison,(2022), Committee to Protect Journalists available at: https://cpj.org/2022/05/georgian-pro-opposition-journalist-nika-gvaramia-sentenced-to-3-5-years-in-prison/ (last seen: 20.12.2022).

Gersamia, M. ., & Toradze, M. . (2022). *Media Environment in Georgia during the Crisis, GEORGIAN SCIENTISTS*, 4(4), 220–242. Available at: https://doi.org/10.52340/gs.2022.04.04.25, (last seen: 12.12.2022)

Griffen, S. (2022), *Analyses the cost to journalism.* British Journalism Review, 33(2), pp.21–24. doi:10.1177/09564748221103429.

Hanley, H. W., Kumar, D., & Durumeric, Z. (2022). *"A Special Operation": A Quantitative Approach to Dissecting and Comparing Different Media Ecosystems' Coverage of the Russo-Ukrainian War,* arXiv preprint arXiv:2210.03016.

IPI Tracker: 707 media freedom alerts linked to Russia-Ukraine war, (2022), International Press Institute (IPI), available at: https://ipi.media/ipi-tracker-russia-ukraine-war-visualisations/ (last seen: 15.12. 2022)

Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020.

Kitty A.,(2005), *Don't Believe It, How lies Become News,* published by Desinformation Company, 2005, p. 140

Liaropoulos N.,(2002), *Information as an Instrument of Power - Lessons learned from the War in Ukraine,* NATO OPEN Publications, vol.7, no.6, p. 20; available at: http://bit.ly/3PXE86Y (last seen: 15.12.2022)

Makhortykh, M. and Bastian, M. (2020), *Personalizing the war: Perspectives for the adoption of news recommendation algorithms in the media coverage of the conflict in Eastern Ukraine,* Media, War & Conflict, p.175063522090625. doi:10.1177/1750635220906254.

Newman N., (2022), *Digital News Project, Journalism, Media, and Technology Trends and Predictions 2022,* Published by the Reuters Institute for the Study of Journalism with the support of the Google News Initiative. p. 28, available at: https://reutersinstitute.politics.ox.ac.uk/sites/default/files/2022-01/Newman%20-%20Trends%20and%20Predictions%202022%20FINAL.pdf (last seen: 17.12.2022)

Norén P., (2022), *The Three Pillars of Solidarity Journalism and Why It Is So Important,* "Media Voice" Center, available at: https://www.mcerc.ge/post/journalist-subject-society-the-three-pillars-of-solidarity-journalism-and-why-it-so-important (last seen: 13.12.2022)

Pavlik, J. (2022). *The Russian War in Ukraine and the Implications for the News Media.* Athens Journal of Mass Media and Communications.

Russia's War: How will it affect the regions's future? [2022], Conference at Chatham House – Royat Institute of International Affairs, London, recording available at: https://www.chathamhouse.org/events/all/conference/russias-war-how-will-it-shape-regions-future (last seen: 21.12.2022)

Scott M.,(2022), *As war in Ukraine evolves, so do disinformation tactics,* available at: https://www.politico.eu/article/ukraine-russia-disinformation-propaganda/ (last seen: 17.12.2022)

Tóth, F., Mihelj, S., Štětka, V., & Kondor, K. (2022). *A media repertoires approach to selective exposure: news consumption and political polarization in Eastern Europe.* The International Journal of Press/Politics, 19401612211072552.

UNESCO observatory of killed journalists – Ukraine, (2022), available at: https://en.unesco.org/themes/safety-journalists/observatory/country/223833 (last seen: 15.12.2022)

Varma A.,(2021), *What Solidarity Journalism Reveals to Us,* available at: https://indypendent.org/2021/12/what-solidarity-journalism-reveals-to-us/(last seen: 20.12.2022).

Varma A., (2020), *Solidarity Journalism,* Available at: https://www.scu.edu/ethics/focus-areas/journalism-and-media-ethics/resources/solidarity-journalism/ (last seen: 22.12.2022)

Vibrant Information Barometer, (2022), IREX, available at: https://www.irex.org/VIBE_2022_Georgia (last seen: 19.12.2022)

Wooley S.,(2022) *In Many Democracies, Disinformation Targets the Most Vulnerable, Center for International Governance Innovation,* available at: https://www.cigionline.org/articles/in-many-democracies-disinformation-targets-the-most-vulnerable/ (last seen: 13.12.2022)

Zheng, N. (2022). *The Content Analysis of BBC Live News Reports of the RussiaUkraine War.* In 2022 International Conference on Science Education and Art Appreciation (SEAA 2022), Atlantis Press.

გერსამია მ., გიგაური ე., მამასახლისი ს., ბოდოკია მ., ნაკოევი მ., (2022) *რუსეთის ომი უკრაინაში და ქართული მედიის სოლიდარობა უკრაინის მიმართ,* მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის „მედიახმის" კვლევა.

გერსამია მ., ტორაძე მ.,(2021), *მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები,* მედიის და კომუნიკაციის საგანმანთლებლო კვლევითი ცენტრი.

ვარდიაშვილი მ., (2022), *საქართველოს მთავრობამ ფუნდამენტურ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება - ADB;* ხელმისაწვდომია: https://bm.ge/ka/article/saqartvelos-mtavrobam-fundamentur-sakitxebze-unda-gaamaxvilos-yuradgeba---adb/117502 (ბოლო ნახვა: 25.12.2022).

კაკაჩია კ., კანდელაკი ს.,(2022), *მიგრაცია რუსეთიდან: საფრთხე თუ შესაძლებლობა საქართველოსთვის?,* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, პოლიტიკის მემორანდუმი, №61. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3WNbmIx (ბოლო ნახვა: 21.12.2022)

კომისიის მოსაზრება საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადზე, (2022), ევროკომისია, ქართული თარგმანის ბმული იხ. საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებ-გვერდზე: http://bit.ly/3WBQ0xH (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

კომუნიკაციების კომისიის განცხადება: 2022 წლის მეორე კვარტალში ტელევიზიებისა და რადიოების სარეკლამო შემოსავალი 19 მილიონი ლარი იყო, (2022), ხელმისაწვდომია: https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/2022-wlis-meore-kvartalshi-televiziebisa-da-radioebis-sareklamo-shemosavali-19-milioni-lari-iyo.page (ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2022).

კომუნიკაციების კომისიის განცხადება: 2022 წლის მესამე კვარტალში ტელევიზიებისა და რადიოების სარეკლამო შემოსავალი 16,3 მილიონი ლარი იყო, (2022), https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/2022-wlis-mesame-kvartalshi-televiziebisa-da-radioebis-sareklamo-shemosavali-163-milioni-lari-iyo.page (ბოლო ნახვა: 13 დეკემბერი, 2022).

ლოითჰოისერ-შნარენბერგერი ს., (2019), *შიში ჭამს თავისუფლებას, რატომ უნდა დავიცვათ ჩვენი ძირითადი უფლებები,* ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის, (ქართულ ენაზე, თარგმანი: ფანჯიკიძე მ.)

მედიის ადვოკატირების კოალიციის განცხადება ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ (2022), ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/7bfc46e7, (ბოლო ნახვა: 13.12.2022).

მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე: კანონმდებლობა ***v.*** *რეალობა* (2022), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2022, გვ. 1-3. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/Analysis/access_to_public_information_by_the_media_legislation_v_reality.pdf (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

საზოგადოების განწყობა საქართველოში 2022 წლის აგვისტოში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები, NDI-CRRC, ხელმისაწვდომია: www.ndi.org/georgia-polls, www.caucasusbarometer.org (ბოლო ნახვა: 16 დეკემბერი, 2022).

სამხარაძე ნ., (2022), *რა სახე აქვს პოლარიზაციას საქართველოში და როგორ გავზომოთ ის?,* საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პოლიტიკის მემორანდუმი №60, გვ. 3. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BHPp5F (ბოლო ნახვა: 20 დეკემბერი, 2022)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებულ შენიშვნები და რეკომენდაციები ,,მაუწყებლობის შესახებ"საქართველოს კანონში ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით (07-3/236/10), (2022), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ხელმისაწვდომია: *https://gdi.ge/uploads/other/1/1552.pdf* (ბოლო ნახვა: 13.12.2022).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

ტურავა პ., ავალიშვილი ლ., ჯორბენაძე ს., *ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის* (მეორე გამოცემა), ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/public/upload/courts/EBRD/Freedom%20of%20Information%20Guidebook%20%20Second%20Edition.pdf (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი), (2022), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტრიტუტი, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

მედია კონტენტი (ქართულად)

*ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სატელევიზიო შესყიდვების მიმოხილვა, საერთაშორისო, (2022) გამჭვირვალობა საქართველო, ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/*ge/post/adgilobrivi-municipalitetebis-satelevizio-shesqidvebis-mimoxilva (ბოლო ნახვა: 17.12.2022)

ასათიანი ი., *რატომ ვუხდით ფულს „მარშალპრესს"?,* საგამოძიებო სტუდია "აი,ფაქტი", 12.12.2022. ხელმისაწვდომია: *http://bit.ly/3HZAAPM* (ბოლო ნახვა: 20.12.2022)

ასათიანი ი., იუსიფი ა., *პროტოპრესვიტერი მამის "ზარი ახლობელთან"*, საგამოძიებო სტუდია "აი,ფაქტი", 10.05.2022. ხელმისაწვდომია: *http://bit.ly/3GoV97б* (ბოლო ნახვა: 22.12.2022).

ასათიანი ი., კაჭკაჭიშვილი მ., მიხელიძე ნ., *მთავრობა, როგორც რუსული დეზინფორმაციის გამტარი,* 22.12.2022, საგამოძიებო სტუდია "აი,ფაქტი", ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3YRGZlX (ბოლო ნახვა: 23.12.2022)

არ მისცეთ საშუალება ოლიგარქიულ რეჟიმს, საბოლოოდ მოკლად დემოკრატია - 4 ოპოზიციური არხის მიმართვა დასავლეთს, 16.05.2022, ონლაინ-გამოცემა ონ.გე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I9lrLX (ბოლო ნახვა: 25.12.2022)

გადაწყვეტილებაში იკითხება პოლიტიკური მოტივი — TI ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე, 12.01.2022, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/586308/ (ბოლო ნახვა: 22.12.2022)

მოუწოდეთ ზურაბიშვილს გვარამიას შეწყალებისკენ -NGO-ების და მედიის წერილი შარლ მიშელს; ნეტგაზეთი, 07.11.2022; ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/639477/ (ბოლო ნახვა: 12.12.2022)

ოლიგარქის ტყე, შაბათის ფორმულა, „ფორმულა ტვ", 12.11.2022; ხელმისაწვდომია: *http://bit.ly/3GkxSD1* (ბოლო ნახვა: 24.12.2022)

საპატრიარქო აცხადებს, რომ მედიამ მონასტერში ყაჩაღური თავდასხმისა და გაუპატიურების შემთხვევა "ამორალურად" გააშუქა, რადიო თავისუფლება, 29.11.2022. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32151617.html (ბოლო ნახვა: 21.12.2022)

სახეზეა „ფორმულას" დახურვის განზრახვა - კეზერაშვილი, ნეტგაზეთი, 30.09.2021, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/566021/ (ბოლო ნახვა: 22.12.2022)

უკანონო მოსმენების საქმეზე 10 ჟურნალისტის საჩივარი ევროსასამართლოში გაიგზავნა, რადიო თავისუფლება, 13.07.2022. ხელმისაწვდომია: https://www.radio-tavisupleba.ge/a/31941548.html (ბოლო ნახვა: 18.12.2022).

ტელეკომპანია „კავკასია" მხარდაჭერისთვის მოგმართავთ, ხელმისაწვდომია: https://kavkasiatv.ge/2022/07/14/%e1%83%97%e1%83%98%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98/ (ბოლო ნახვა: 19.12.2022)

TV 25 აცხადებს, რომ დახურვის საფრთხის წინაშეა - მიზეზი ფინანსური კრიზისია, ბათუმელები, 07.09.2022; ხელმისაწვდომია: https://batumelebi.netgazeti.ge/news/434174/ (ბოლო ნახვა: 19.12.2022)

სოციალური მედია (ინგლისურად)

Max Katz, @Max_Katz [YouTube] (2022), available at: https://www.youtube.com/c/max-katz1/videos (last seen: 12.12.2022)

Reporters Without Borders (2022), @RSF_inter [Twitter]. Available at: https://twitter.com/RSF_inter/status/1529044780809871361?s=20&t=_7pRp54_hFQKMlcWMx777A (last seen: 20.12.2022).

სოციალური მედია (ქართულად):

TV Kavkasia, @Tv.kavkasia, [YouTube] (2022), კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მიერ ჟურნალისტისთვის მიკროფონის წართმევის კადრები, ხელმისაწვდომია: https://youtu.be/lHaENvjetPQ (ბოლო ნახვა: 20.12.2022).

დანართი

კვლევაში ჩართული იყო 16 ნაციონალური და რეგიონული მედიასაშულებ-ის 25 წარმომადგენელი. მათ შორის იყვნენ მედიის დამფუძნებლები, ჟურ-ნალისტები, პროდიუსერები, ტოქ-შოუების და გადაცემების ავტორები, რედაქტორები.

კვლევაში ჩართული მედიასაშუალებებია:

1. საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი;
2. ტელეკომპანია „რუსთავი 2“;
3. ტელეკომპანია „მაესტრო“;
4. ტელეკომპანია „მთავარი არხი“;
5. ტელეკომპანია „ტვ პირველი“;
6. ტელეკომპანია „ფორმულა“;
7. ტელეკომპანია „იმედი“;
8. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“;
9. რადიო „კომერსანტი“;
10. ონლაინ გამოცემა „პუბლიკა”;
11. ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთი / ბათუმელები“
12. საგამოძიებო სტუდია „აი,ფაქტი“;
13. ინგლისურენოვანი გაზეთი „Georgia Today”
14. ტელეკომპანია „ბორჯომი“;
15. ონლაინგამოცემა „ჩემი იმერეთი“ და გაზეთი „ჩემი ხარაგაული“;
16. გორის რადიო „მოზაიკა“;

ავტორების შესახებ

მარიამ გერსამია არის ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრ „მედიახმის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე. მარიამი არის მედიაფსიქოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. სადოქტორო ხარისხი მოიპოვა 2004 წელს ჟურნალისტიკის განხრით. 2015-2017 წლებში მიიღო პოსტ-დიპლომური განათლება სხეულზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიაში. აკადემიურ სფეროში 22-წლიანი საქმიანობისას, იყო ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარატმენტის და პროგრამების ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ორგზის არჩეული წევრი (2010-1015), არის არაერთი ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი. მარიამი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მუშაობდა განათლების და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მრჩევლად (2006-2009), აღმასრულებელ დირექტორად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (2009-2014). ამჟამად მარიამი ხელმძღვანელობს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ თსუ-ში. არის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის და სარედაქციო საბჭოს წევრი. არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიატი (2022). არის ქალაქ ლუივილის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

მაია ტორაძე არის ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრ „მედიახმის“ გამგეობის წევრი და უფროსი მკვლევარი. მაია არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი. მას აქვს სხვადასხვა მედიაგამოცემაში მუშაობის 30-წლიანი პრაქტიკა, მათ შორის ბეჭდური გამოცემებში („შანსი“, კავკასიონი“, „აქცენტი“) კორესპონდენტად და რედაქტორად; ამჟამად არის თსუ–ის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედიაცენტრის თანამშრომელი.

მაია ტორაძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 2005 წელს. სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 2006 წელს ჟურნალისტიკის განხრით და ამჟამად არის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. იგი არის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი, ასევე, 13 პუბლიცისტური კრებულის თანაავტორი და ხუთი წიგნის რედაქტორი. მაია ტორაძე ჩართულია სამეცნიერო–კვლევით პროექტებში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

ცენტრის შესახებ

ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი - „მედიახმა“ დაარსდა 2015 წელს. ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება და ახალი ცოდნის შექმნის გზით, მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა, მედიაგარემოს შეფასება; ასევე, ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და კონსულტირება - მედიის, კომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, მედიასამართლის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. სამეცნიერო კვლევების წარმართვა, სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის წარმოჩენა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიაორგანიზაციებთან.

ცენტრის ვებ-გვერდი: *www.mcerc.ge*
ცენტრის ელ-ფოსტა: *info@mcerc.ge*

Facebook: https://www.facebook.com/mcerc.ge
LInkedIN: https://www.linkedin.com/company/media-and-communication-educational-research-center-mcerc/
Instagram: https://www.instagram.com/mcerc_georgia/